ლომი

ვეფხვიტრა მეღია

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

15 ივნისი **ოთხშაბათი** 2011

№ 138 (13435) ფასი 80 თეთრი

ზაზა ალიმბარაშვილი ფარიკაობის შესახებ

12

ავთანდილ ხურცილაძემ ტიტული შეინარჩუნა

მისჯერ ნოკაუტი ნოკაუტში

10

ეძებეთ კრეაცია საქართველოში

თორნიკე ოქრიაშვილი შახტარმა გამოისყიდა

3



კადიროვმა გულიტი დაითხოვა

ჩეჩნეთში დიდი ზარ-ზეიმით ჩაყვანილი რუუდ გულიტის იქაურმა კარიერამ ნახევარ წელიწადსაც ვერ გასტანა. გუშინ „ტერეკი“ პერმში „ამკართან“ 0:1 დამარცხდა, რის შემდეგაც გროზნოული კლუბისა და ჩეჩნეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა „ინტერფაქსს“ განუცხადა, გულიტის გათავისუფლება გუნდის ცუდმა შედეგებმა გვაიძულაო. „ტერეკი“, რომლის პროგრამა-მინიმუმიც ევროპის ლიგის საგზურის მოპოვება იყო, დღეისთვის რუსული პრემიერლიგის სატურნირო ცხრილში ბოლოდან მესამე ადგილზეა.

ლევან ჯანეზაშვილი

წარმოგიდგენთ ჩემპიონატის რჩეულებს

საუკეთესო შემცვლელი
რატი წინამძღვრიშვილი

ისე ხომ დავფრინავთ და ასეთ მოედნებზე...

2

წარმოგიდგენთ ჩემპიონატის რჩეულებს

საუკეთესო შემცვლელი: რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი)

"ლელომ" გასული სეზონის საუკეთესო შემცვლელად "ზესტაფონის" 23 წლის თავდამსხმელი რატი წინამძღვრიშვილი დაასახელა. მისი შეცვლაზე შესვლა მოწინააღმდეგისთვის ცუდის ნიშანი იყო – ძირითადში თამაშს მოწყურებული თავდამსხმელი თავს არ ზოგავდა, 13 გოლი გაიტანა, ცამეტჯერვე შეცვლაზე და სეზონში ყველაზე მეტი - 4 „დუბლი" შეასრულა!

დოსიე

დაიბადა: 22 მარტი, 1988

სიმაღლე 187 სმ

კარიერა:

2003-09 - ამერი (თბილისი) -75 მატჩი, 27 გოლი

2009 წლიდან - ზესტაფონი - 29 (13)

სანაკრებო კარიერა

2003-04 - U 17 - 5 (3)

2004-06 - U19 - 13 (11)

2006-07 - U 21 - 7 (2)

ეროვნულ ნაკრებში ჩაატარა 3 მატჩი

ტიტულები:

საქართველოს თასის 2-გზის მფლობელი (2006 - ამერი, 2007 - ამერი)

საქართველოს ჩემპიონი (2011 — ზესტაფონი)

რატი წინამძღვრიშვილი

ისე ხომ დავფრინავთ და ასეთ მოედნებზე...

- გასულ სეზონში ყველას შეახსენე თავი. ალბათ, ამით იყო სეზონი დასამახსოვრებელი.

- მიხარია, რომ "ლელომ" საუკეთესოებში დამასახელა. შემცვლელის კვალობაზე ცოტა მართლაც არ გამიტანია. თუმცა მეტიც შემეძლო. იყო მომენტი, ძირითადში დამკვიდრების შანსი მომეცა, რამდენჯერმე სასტარტოშიც მათამაშეს, მაგრამ ისე ვერ გამოვიჩინე თავი, როგორც შეცვლებისას.

- თავის დროზე ხომ "ამერშიც" ასე იყო - შეცვლაზე გაგქონდა.

- მაშინ 17 წლის ვიყავი და შეცვლაზე თამაშს ჩვეულებრივ ამბად მივიჩნევდი. ახლა 23 წლის ვარ, მეტი ამბიცია მაქვს, ფორმაშიც ვარ და მეტის გაკეთებაც შემიძლია. თუ ნიკა გელაშვილი "ზესტაფონს" დატოვებს, მეტი შანსი მომეცემა.

- "ზესტაფონში" დიდი კონკურენციაა, მაგრამ ეროვნულ ნაკრებში ნათამაშებ ფეხბურთელს სათადარიგოთა სკამზე ჯდომა, გეტყობა, არ გაკმაყოფილებს.

- ნაკრებში რომ არ მეთამაშა, მაინც უკმაყოფილო ვიქნებოდი. მაგრამ ჩვენ ძლიერი თავდასხმის ხაზი გვყავს და ვცდილობ, მწვრთნელის კეთილგანწყობა დავიმსახურო. უკმაყოფილება არ ნიშნავს, რომ ვბუზღუნებ, ეს ერთსულოვანი გუნდია და მწვრთნელის აზრს პატივს ვცემ.

- 17 წლისა ნაკრებში გათამაშეს, ახლა თუ გრძნობ ან იცი, რომ ნაკრებში ყურადღებას გაქცევენ?

- მე არ ვიცი, ქეცბაია ყურადღებას მაქცევს თუ არა, მაგრამ იმას კი ვხედავ, ვინც თავი გამოიჩინა, ნაკრებში თითქმის ყველა მიიწვია. ეს მაიმედებს, რომ ადრე თუ გვიან შანსს მეც მომცემს. თუმცა ახლა ალბათ, გამოძახებას არც ვიმსახურებ. არაფერია, ჩემს შანსს დაველოდები.

- "ზესტაფონში" ჩარიცხვის შემდეგ შენთვის რა შეიცვალა?

- ბევრი რამ. არაადგილობრივისთვის ზესტაფონში ცხოვრება, გზაში ხშირად ყოფნა შეიძლება ძნელია, მაგრამ გუნდია ძლიერი. ეს ყველაფერი საჭიროც იყო, რადგან სეირნობა-გართობისკენ გული აღარ მიმიწევს, სულ რეჟიმში ვარ და ვგრძნობ, ძალიან შევიცვალე. ასეც სჯობდა, რათა ნამდვილი პროფესიონალის ცხოვრება მესწავლა. ფეხბურთის თამაში თუ გინდა, ყველაფერი უნდა გაიღო და რამდენიმე წელი დაუთმო. კარიერა დიდხანს არ გრძელდება და უნდა მოითმინო. თანაც, მჯერა, რომ თამაში შემიძლია, წინსვლის შანსი მაქვს და ყველაფერი მართლა ჩემზეა დამოკიდებული.

- მომავალ სეზონში ბომბარდირობა მიზნად თუ გაქვს?

- რა თქმა უნდა. ბომბარდირობა მაშინაც მინდოდა, როდესაც უმაღლეს ლიგაში პირველ სეზონს ვატარებდი. წლეულსაც ასე იყო და მომავალშიც ასე იქნება. მაქსიმალურად შევეცდები, ბომბარდირი გავხდე.

- ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში კარგია, მაგრამ აქედან რას ელი?

- თუ გაგვიმართლა და ძალიან ძლიერი მეტოქეები არ შეგვხვდა, მესამე ეტაპამდე გაღწევა და ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლაც შეგვიძლია, იქ უკვე ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგეები იქნებიან

- შენი აზრით, დღეს ქართული კლუბები ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად მზად არიან?

- წინასწარ მხოლოდ ის ვიცი, რომ მესამე ეტაპზე სუსტი მეტოქე აღარ ითამაშებს. რა შეუძლია "ზესტაფონს", ეს უშუალოდ ტურნირზე გამოჩნდება. ევროპის ლიგაში მოხვედრა უფრო რეალური მგონია.

- ეს გუნდი სამი წელი ყალიბდებოდა და ბევრი იმედოვნებს, რომ ბრძოლა შეგიძლიათ.

- მართლაც ასეა, შარშანდელზე უკეთესი გუნდი გვყავს, ჩემპიონატი ერთი ამოსუნთქვით ჩავატარეთ და, რაც მთავარია, დამსახურებული ჩემპიონები ვართ. ახლა არ მინდა დაკონკრეტება, მაგრამ, როდესაც იცი, რომ ოქროს მედალს პატიოსანი თამაშით აღწევ, ასეთი ჩემპიონობა ორმაგად სასიხარულოა.

მოთამაშეების მხრივაც საუკეთესოდ დაკომპლექტებულები ვართ, გვყავს ყველაზე დაბალანსებული გუნდი, სადაც სერიოზული კონკურენციაა.

- უმაღლეს ლიგაში შენი სადებიუტო სეზონის შემდეგ ჩემპიონატის დონე უკეთესობისკენ შეიცვალა?

- რომ ვთქვა, დიდი პროგრესია-მეთქი, მოგატყუებთ. თითქმის იგივე დონე და ბევრად უარესი სტადიონები და მოედნებია. როდესაც ესეც კი სანატრელია, რომელი მაღალი დონის და ლამაზ ფეხბურთზეა ლაპარაკი? ისედაც ხომ დავფრინავთ, ასეთ მოედნებზე კი, საერთოდ...

სიმართლე ეს არის. დიდ ფულს და გრანდების პირობებს არავინ ითხოვს, მაგრამ ნუთუ არ შეიძლება, თამაშის საშუალება მოგვცენ?! ორი სტადიონია, სადაც ფეხბურთი მსიამოვნებს, ზესტაფონში და ეროვნულზე, ამბობენ, ახლა ქუთაისშიც აკეთებენო და გამიხარდა. წარმოიდგინეთ, ფეხბურთელები რაზე ვფიქრობთ.

მერაბ მამულაშვილი

● U17

ესპანეთის გოლი არ დავუდეთ

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ბაქოში მიმდინარე "კასპიის თასზე" გუშინ ესპანეთს შეხვდა და სახელიან მეტოქესთან თავი არ შეურცხვენია – მატჩი 1:1 დასრულდა. **ვასილ მაისურაძის** გუნდმა წინა ორი შეხვედრა დამაჯერებლად კი მოიგო, მაგრამ ესპანეთს ბურთების შეფარდებით ჩამოუვარდებოდა და ფინალში გასასვლელად მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა.

საბოლოოდ, ჩვენს ჯგუფში სატურნირო ცხრილმა ასეთი სახე მიიღო:

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ესპანეთი	3	2	1	0	15-1	7
2. საქართველო	3	2	1	0	11-2	7
3. ყაზახეთი	3	1	0	2	2-14	3
4. ტაჯიკეთი	3	0	0	3	1-13	0

16 ივნისს ფინალში ერთმანეთს ესპანეთი და თურქეთი შეხვდებიან, მესამე ადგილისთვის მატჩში კი საქართველოს ნაკრები მასპინძელ აზერბაიჯანს დაუპირისპირდება.

ლევან ჯანეზაშვილი

2011 CASPIAN CUP AZERBAIJAN

● პროექტი

ოთხთა ტურნირის მორიგი მცდელობა

ნიკო პატარქალიშვილი დიდი ხანია, საქართველოში საერთაშორისო ოთხთა ტურნირის მოწყობას აპირებს, მაგრამ მიზეზთა გამო პროექტი დღემდე განუხორციელებელია. პატარქალიშვილი იმედოვნებს, რომ მისი ჩანაფიქრი წლეულს მაინც განხორციელდება. პროექტის მიხედვით, 23 ნოემბერს თბილისში ოთხთა ტურნირი საქართველოს, ბრაზილიის, არგენტინისა და ურუგვაის ახალგაზრდული ნაკრებების მონაწილეობით უნდა დაიწყოს.

პატარქალიშვილის თქმით, სამხრეთამერიკელებთან ყველა დეტალი შეთანხმებულია და წინასწარი თანხმობაც მიღებულია, მთავარია, საქართველოში ტურნირისთვის საჭირო სახსრები გამოინახოს. ამჟამად პროექტის მხარდასაჭერად მუშაობა უკვე სახელმწიფო დონეზე მიმდინარეობს, რაც, ბუნებრივია, მისი განხორციელების შანსებს ზრდის.

როგორც იცით, პატარქალიშვილს არგენტინასთან მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს და სწორედ ამის წყალობით გაიხსნა თბილისში არგენტინული სახლი, უახლოეს პერიოდში კი არგენტინაში ქართული სახლიც დაფუძნდება. არგენტინული სახლი ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის არაერთ ასპექტს მოიცავს, რომელთა შორისაც სპორტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ლევან ჯანეზაშვილი

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ლეგიონერები

თორნიკე ოქრიაშვილი შახტარმა გამოისყიდა

თორნიკე ოქრიაშვილისთვის "გაგრას" ეპოქა დასრულდა – საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა გუშინ საღამოს უკრაინის ჩემპიონ დონეცკის "შახტართან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

"შახტარში" იჯარით ყოფნისას თორნიკეს პერსპექტივაში დარწმუნდნენ და როდესაც იჯარის ვადა დასრულდა, მისი გამოსყიდვა გადაწყვიტეს. ამიერიდან თორნიკე შახტარელია. ვფიქრობ, ამ ნიჭიერ ახალგაზრდას ასეთ სოლიდურ კლუბში მოხვედრა ძალიან წაადგება. სხვათა შორის, ოქრიაშვილის პერსპექტივამ და საქართველოში სტუმრად ჩამოსული სერგეი ატელკინის მინოდებულმა ინფორმაციამ დონეცკელები დააფიქრა, რომ კრეატიული ფეხბურთელები საქართველოში უნდა ეძებნონ და რომ უფრო სერიოზული თანამშრომლობა ულირთ" – გვითხრა "გაგრას" პრეზიდენტმა **ბესიკ ჩიხრაძემ**, რომელსაც გუშინ დონეცკში ველაპარაკეთ.

"შახტართან" კონტარქტი სულ რაღაც ათი წუთის წინ გავაფორმე. კლუბის გადაწყვეტილებით, ნახევარი წლით ისევ მარიუპოლის "ილიჩივეცში" გამანათხოვრეს. „შახტარის" ვიცე-პრეზიდენტი პალკინი მელაპარაკა, შენზე მეტად მე მინდა, ჩვენთან რომ დარჩე, მაგრამ აქ ჯერ ძირითადში ვერ მოხვდები, სკამზე ჯდომას კი "ილიჩივეცში" თამაში გიჯობსო და დავეთანხმე. სხვათა შორის, მარიუპოლში გუნდი გაძლიერდა, 7 ფეხბურთელი დაიმატეს, ფინანსურად კი უკრაინაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბიუჯეტი აქვთ" – გვითხრა ოქრიაშვილმა.

მერაბ მამულაშვილი

ქართული გუნდები უცხოურ შეკრებაზე

დინამოს ფრე, მეგალურგის გამარჯვება

სლოვენიურ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" პირველი საკონტროლო მატჩი ლუგანსკის "ზარიასთან" გამართა და 0:0 ითამაშა. უკრაინული კლუბის ოფიციალურ ვებგვერდს თუ ვენდობით, პირველ ტაიმში უკეთ "ზარია" გამოიყურებოდა, შესვენების შემდეგ კი შეტევაში ბედი "დინამომაც" სცადა.

"დინამომ" ამ შემადგენლობით ითამაშა: **ლორია, თომაშვილი, კაკუბავა, რეხვიაშვილი, კახელიშვილი, ფირცხალავა, შ. კაშია, თექთურმანიძე, ჯიღაური, რობერტინიო, ჯუისი.**

შეცვლაზე შევიდნენ: ჰომოლა, კვეკვესკირი, ხმალაძე, ოდიკაძე, ჰაჯიბულიჩი, ლექვთაძე, ახალაია, იაშვილი.

"ზარიას" შემაგენლობაში ითამაშეს **ჯაბა ლიპარტიამ** და სინჯებზე მყოფმა **გიორგი ფოფხაძემ**.

გუშინვე უცხოურ შეკრებაზე მყოფმა რუსთავის "მეტალურგმა" 1:0 სძლია ავსტრიულ "მატერსბურგს".

ლევან ჯანეზაშვილი

ლეგიონერები

ორი ქართული გოლი რუსეთში

ჯანო ანანიძე

გუშინ რუსულ პრემიერლიგაში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა და ქართული გოლების გარეშე არც გუშინდელ დღეს ჩაუვლია. ნალჩიკის "სპარტაკი" მოსკოვში "ლოკომოტივთან" 1:3 დამარცხდა, არადა, პირველი ტაიმი დამაჯერებლად ჩაატარა. 21-ე წუთზე ანგარიში **დავით სირაძემ** გაათანაბრა. საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი ამჯერადაც ძირითად შემადგენლობაში გაამწესეს და 81-ე წუთზე შეცვალეს, "ჩემპიონატ.რუ"-სგან მან 6-იანი მიიღო.

ზედიზედ მეორე ტურია, მოსკოვის "სპარტაკის" ძირითადში ხვდება **ჯანო ანანიძე**. "სახალხო გუნდმა" "ტომთან" სტუმრად გამარჯვება ბოლო წუთზე გაუშვა ხელიდან – 1:1. ახალგაზრდა ქართველი ნახევარმცველი 67-ე წუთზე შეცვალეს.

"ტერეკი" პერმში "ამკართან" 0:1 დამარცხდა. გროზნოელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო **ლევან გვაზავა**, რომელმაც მოედანი 74-ე წუთზე დატოვა და 5.5 დაიმსახურა. "ანჟი" მოსკოვში ცსკა-სთან 0:3 განადგურდა. მახაჩყალელთა კარში **ნუკრი რევიშვილი** იდგა, საქართველოს ნაკრების მეკარეს 5-იანი დაუნერეს.

გაიმართა "ქართული დერბიც". "კრასნოდარის" კაპიტანი **ალექსანდრე ამისულაშვილი** "ვოლგას" ერთბაშად ხუთ ქართველს დაუპირისპირდა. "კრასნოდარმა" 4:2 გაიმარჯვა. ამისულაშვილმა სრულად ითამაშა, ისევე, როგორც ვოლგელებმა, **ლაშა სალუქვაძემ, გია გრიგალავამ** და **გოგიტა გოგუამ**. **ოთარ მარცვალაძე** 75-ე წუთზე შეცვალეს, **მათე ვანაძე** კი თამაშში 57-ე წუთიდან ჩაერთო. 63-ე წუთზე სალუქვაძემ ანგარიში 3:2 გახადა. მან და გოგუამ ყვითელი ბარათები მიიღეს.

ქართველთა კლუბებიდან საუკეთესო, მეოთხე პოზიცია "ანჟის" უკავია, ნალჩიკის "სპარტაკი" კი ბოლო ადგილზეა.

ლევან ჯანეზაშვილი

დაჯილდოება

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

დინამოს ჰეთ თრიქი

თბილისის "დინამომ" ოქროს ჰეთ თრიქი შეასრულა - დუბლშემადგენლობამ და ჭაბუკთა ლიგაში მოასპარეზე ორმა ასაკობრივმა გუნდმა საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვეს.

გუშინ გამარჯვებულები "დინამოს" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილების უფროსმა **ნოდარ კაკულიამ** და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის თავმჯდომარე **ვაჟა ჟვანიამ** დააჯილდოეს, ფეხბურთელებს მედლები და თასები მათ "დინამოს" გენერალურ დირექტორ **ზურაბ პოლოლიკაშვილთან** ერთად გადასცეს.

ცერემონიალს ვერ დაესწრო გასულ სეზონში დუბლშემადგენლობის მთავარი მწვრთნელი **რამაზ მუმლაძე,** რომელიც "დინამოს" სლოვენიურ შეკრებაზე ახლავს.

"დინამოს" 1993-94 წლებში დაბადებულთა გუნდს **თამაზ სამხარაძე, ბაგრატ ჩადუნელი** და **ოთარ გაგნიძე** ავარჯიშებდნენ, 1995-96-წლიანებს კი **კახა გოგოლაძე** წვრთნიდა, ასაკობრივი გუნდების მეკარეთა მწვრთნელი კი **რევაზ ნაჭყეპიაა**.

"ჩვენთვის მნიშვნელოვანია ეს წარმატებები, რადგან გვაძლევს იმედს, რომ მოდის წარმატებული და ნიჭიერი თაობა, რომელმაც "დინამოს" აღორძინება უნდა შეძლოს. თუმცა ძირითადში მოსახვედრად სერიოზულ კონკურენციასთან გამკლავება მოუწევთ, რადგან ნიჭიერი ბავშვების შერჩევას რეგიონებშიც ვიწყებთ.

სხვათა შორის, ნლეუულს პირველად მივიღებთ ბავშვებს რვა ასაკობრივ ჯგუფში, რომელთა ხელმძღვანელიც "ბარსელონადან" მოწვეული სპეციალისტი ანდრეს კარასკო იქნება. ის მუშაობას 25 ივნისიდან შეუდგება. მომავალი კვირის ბოლოს გვეცოდინება, სად იქნება აკადემიის ინფრასტრუქტურა განთავსებული. ამდენ ასაკობრივ გუნდს ახალი მწვრთნელები დასჭირდება და საუკეთესო სპეციალისტებს შევარჩევთ, ნიჭიერი თაობები რომ გაზარდონ, აკადემიაში მოხვედრა კი ადვილი არ იქნება" – გვითხრა პოლოლიკაშვილმა.

მერაბ მამულაშვილი

ბავშვთა ფეხბურთი

ფული ხელზე ხელს გვაძლევს?

საფეხბურთო წარმატებებსა თუ წარუმატებლობებს, უპირველესად, ბავშვთა ფეხბურთში მიმდინარე პროცესები განაპირობებს. იმ ქვეყნებში, სადაც ამ სფეროში სწორად მუშაობენ, შედეგები ყოველთვის აქვთ, ხოლო იქ, სადაც ბავშვთა ფეხბურთში განუკითხაობაა, პროფესიულ დონეზე ბევრს ვერ აღწევენ.

ქართველებს საფეხბურთო ნიჭი გვაქვს და უმთავრესად სწორედ ამის ხარჯზე ვახერხებთ აქა-იქ წარმატებების მიღწევას, თორემ ბავშვთა ფეხბურთში ისეთი მდგომარეობაა, ხვალინდელი დღის იმედი ნაკლებად უნდა გვქონდეს. ვითარება სახარბიელო არც დედაქალაქშია, თუმცა თბილისში რამდენიმე საფეხბურთო სკოლა მაინც მუშაობს მეტ-ნაკლებად გამართულად, რეგიონებში კი გაცილებით უარესი მდგომარეობაა. რაც ყველაზე სავალალოა, სისტემაა ისეთი, კვალიფიციურად მომუშავე სკოლებსა თუ მწვრთნელებსაც უშლის ხელს განვითარებასა და სასურველი შედეგის მიღწევაში.

დღეს გვინდა, თქვენი ყურადღება ჩვენი ბავშვთა ფეხბურთის ერთ კონკრეტულ პრობლემაზე, მსაჯთა საკითხზე, კონკრეტულად კი მათ ანაზღაურებაზე, პოპულარული ენით რომ ვთქვათ, "მსაჯის ფულზე" შევაჩეროთ.

ბავშვთა ზოგიერთ ტურნირზე, მაგალითად, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ "ელიტლიგაზე" ეს პრობლემა ეფექტურადაა გადაჭრილი. ლიგის მონაწილე გუნდები სეზონის წინ იხდიან დაწესებულ თანხას, სადაც სხვა ხარჯებთან ერთად მსაჯთა გასამრჯელოცაა გათვალისწინებული.

სამაგიეროდ, საბავშვო შეჯიბრებათა უმრავლესობაში მსაჯთა ხელფასების საკითხი არცთუ დელიკატურადაა "მოგვარებული". ეს დედაქალაქსაც ეხება და რეგიონებსაც. მართალია, რეგიონული ფედერაციების საშეჯიბრო დებულება გუნდებს სამსაჯო თანხის გადარიცხვას ავალდებულებს, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა ესა თუ ის გუნდი გადარიცხვას აგვიანებს და სხვა გამოსავალი არ რჩება იმის გარდა, რომ მასპინძელმა გუნდმა მსაჯებს ანაზღაურება უშუალოდ მატჩის წინ გადასცეს.

შეიძლება, ეს საგანგაშოდ არ მოგეჩვენოთ, მაგრამ გვაქვს ინფორმაცია, რომ მასპინძელთა მწვრთნელები საკუთარ ფეხბურთელებში ხშირად დადგენილზე მეტ ფულს აგროვებენ, საიდანაც ნაწილს ჯიბეში იდებენ, ნაწილით კი მსაჯებს ზედმეტ "პატივს სცემენ". ამას კი, თავადაც ხვდებით, დიდი ალბათობით, მასპინძელთა მიმართ მსაჯთა გადამეტებული "სიმპათია" მოსდევს.

ხშირია შემთხვევები, როცა რეგიონული ფედერაცია მსაჯების მგზავრობის პრობლემას "იოლად" წყვეტს და მათ ცალკე ტრანსპორტით კი არ უზრუნველყოფს, გუნდთან ერთად ამგზავრებს. დაგვეთანხმებით, მიზანშეწონილი არ არის, მწვრთნელი და მსაჯი თამაშამდე თუ თამაშის შემდეგ ერთად რამდენიმე საათს ატარებდნენ. რაღა თქმა უნდა, საქართველოში კეთილსინდისიერი მწვრთნელებიცა და მსაჯებიც გვეგულება, მაგრამ მათ შორის უკანონო შემოსავლების მოყვარულებიც არიან და მათთვის სასურველი პირობების შექმნა დაუშვებელია.

ზემოთ მოყვანილი მაგალითით პატარა ქალაქის გუნდი უფრო იჩაგრება, რადგან რეგიონული ფედერაციები რეგიონების მთავარ ქალაქებშია განთავსებული. მაგალითისთვის: მსაჯი შეიძლება დაემგზავროს ზუგდიდიდან სენაკში მიმავალ გუნდს, ტყიბულისკენ მიმავალ ქუთაისის გუნდს, კასპისკენ მიმავალ გორის გუნდს, მარნეულში მიმავალ რუსთავის გუნდს და ა. შ.

ასეთი უსამართლობების შემდეგ კი ბევრ ნიჭიერ ბავშვს მიუტოვებია ფეხბურთი და სხვა სპორტი აურჩევია, ან უარეს შემთხვევაში გზას ასცდენია. რეგიონებში ხომ სპორტის გარდა მოზარდებს დიდი გასაქანი არც აქვთ.

გვესმის, რომ რეგიონულ ფედერაციებს არ აქვთ დიდი დაფინანსება, მაგრამ იმის რესურსი ნამდვილად გააჩნიათ, რომ მსგავსი ელემენტარული საკითხები უფრო მკაცრად დააყენონ და ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთონ ყბადაღებული "მსაჯის ფულის" ხელიდან ხელში გადაცემის მავნე ტრადიცია.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს რეგიონული ფეხბურთის ფედერაციების უმრავლესობას წლებია, ერთი და იგივე ხალხი მართავს. ყველას ერთ ქვაბში ვერ მოვხარშავთ და მათ შორისაც არიან კეთილსინდისიერი ადამიანები, მაგრამ ყველას გაცილებით მეტი მოეთხოვება. ამაში, ვფიქრობთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებიც დაგვეთანხმებიან. ბოლო დროს ხომ არაერთი რეგიონული ფედერაციის ყრილობა გაიმართა და **ზვიად სიჭინავამ** მათი მუშაობა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა.

ლევან ჯანეზაშვილი

ქართული ფეხბურთი

● ზესტაფონი

გიორგი გეთიაშვილი

ზვიად ქანთარია

ორნი სინჯებზე

"ზესტაფონის" სამწვრთნელო შტაბი ორ პოტენციურ ახალწვეულს აკვირდება – გუნდის შემადგენლობაში **გიორგი გეთიაშვილი** და **ზვიად ქანთარია** ვარჯიშობენ. ბოლო წლები ორივემ თბილისის "დინამოში" გაატარა, მაგრამ თამაში, უმეტესად, დუბლშემადგენლობაში უწევდათ.

სინჯები სულ რამდენიმე დღეში დასრულდება და **გია გეგუჩაძე** ამ ფეხბურთელების საკითხს, ალბათ, 21 ივნისამდე, ანუ ავსტრიულ შეკრებაზე გამგზავრებამდე გადაწყვეტს.

შეგახსენებთ, "ზესტაფონს" ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ახალწვეული ჰყავს – ექსდინამოელი მარჯვენა მცველი **თემურ ღონღაძე**. ვნახოთ, კიდევ ვის დაიმატებენ საქართველოს ჩემპიონები.

ლევან ჯანელიძაშვილი

● პირველი ლიგის ამბები

ლოკომოტივი რჩება

თბილისის "ლოკომოტივი" ჯერ უმაღლეს ლიგას დაემშვიდობა, წლეულს კი პირველი ლიგიდანაც გავარდა. რა ბედი ელის საქართველოს ერთ-ერთ უძველეს კლუბს?

კლუბის დირექტორი **უჩა ნებიერიძე** ამბობს, რომ დაშლის საფრთხე არ არსებობს: *"ჩვენი კლუბის პირველ ლიგაში დარჩენის საკითხი მალე გადაწყდება. დიდი შანსია, "ლოკომოტივმა" კვლავ პირველ ლიგაში ითამაშოს, რადგან ამ ლიგის ბევრ კლუბს აქვს ფეხბურთის ფედერაციის დავალიანება. არაერთმა არათუ გასული სეზონის, არამედ იმის წინას საწევრო ვერ გადაიხადა. "ლოკომოტივმა" კი ფინანსური ვალდებულებები ჩემპიონატის დაწყებამდე გაისტუმრა, კლუბს აქვს გამართული ინფრასტრუქტურა და ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის საჭირო ლიცენზია. ასე რომ, მომავალი სეზონისთვის, იმედია, კვლავ პირველ ლიგაში ვითამაშებთ".*

სხვათა შორის, ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტშიც დაგვიდასტურეს, რომ, შესაძლოა, "ლოკომოტივი" პირველ ლიგაში დარჩეს. თუმცა ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რომელი კლუბი ვერ გაივლის ლიცენზირების "ფილტრს".

აქვე პირველ ლიგასთან დაკავშირებულ სხვა საინტერესო ამბებსაც გეტყვით: მიუხედავად ფინანსური სირთულეებისა, ტურნირში მონაწილეობის სურვილი აქვს "ნორჩ დინამოს", რომელიც, ტრადიციულად, სკოლის აღზრდილი ახალგაზრდების დაწინაურებას განაგრძობს.

გაურკვეველია, დააფინანსებენ თუ არა პირველ ლიგაში გავარდნილ "სამტრედიას". იმედია, გასული სეზონის მოვლენები არ განმეორდება და საფეხბურთო ქალაქის გუნდს პატრონი გამოუჩნდება. სხვათა შორის, "სამტრედიას" მიხედვა საქართველოს ნაკრების კაპიტან **კახა კალაძეს** სურდა, მაგრამ "არსენალ-სიტისთან" დაკავშირებულმა და სხვა პრობლემებმა ჩანაფიქრზე დროებით ხელი აიღებინა. არადა, კარგი ჩანაფიქრი ჰქონდა, სამტრედიელი ახალგაზრდების ხელშეწყობა, სტადიონის მოვლა-პატრონობა და სხვა, მაგრამ...

საჩხერის "ჩიხურას", რომელიც უმაღლესი ლიგის გადათამაშების მატჩში ცხინვალის "სპარტაკთან" დამარცხდა, **ბიძინა ივანიშვილი** კვლავ დააფინანსებს და კვლავ გააგრძელებენ ახალგაზრდების გაზრდას.

ბათუმში "დინამოს" აღორძინების იმედს სტადიონის აშენებას უკავშირებენ. არადა, 2011 წელი ეკვატორზეა, სტადიონის მშენებლობა კი, ვერ გეტყვით, რამდენად რეალურია. უპატრონო გუნდი ნამდვილად არ ეთქმის, მაგრამ ბათუმის "დინამოს" სხვა ამბიციები აქვს, ვიდრე ელემენტარულად დაფინანსებულ კლუბს.

ვიცოდით, ლანჩხუთის "გურიას" აღორძინება ირლანდიელმა ბიზნესმენმა გადაწყვიტა, მაგრამ ის ირლანდიაშია, გურულთა სატკივარს კი საშველი არ დაადგა.

როგორც გვითხრეს, არსებობს ბიზნესმენი, რომელსაც პირველ ლიგაში გადასული "ზოოვეტის" დაფინანსება სურს. მაისში კლუბების წარმომადგენლებთან გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** თქვა, რომ მოსკოვში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი წალენჯიხის გუნდის მიხედვას აპირებს. მას შემდეგ კონკრეტული არაფერია ცნობილი.

პირველ ლიგაში კლუბს საგარანტიო ნერილს და მინიმალურ ბიუჯეტს მოსთხოვენ, მაგრამ ჯერ მისი ოდენობა ზუსტდება. უმაღლეს ლიგაში კი, სიჭინავას თქმით, მინიმალური ზღვარი 300 ან 500 ათასი ლარი იქნება. თუმცა ჯერ მინიმუმი არ დადგენილა.

რამდენი გუნდი იასპარეზებს პირველ ლიგაში, პარასკევს ან კვირას, კლუბებთან შეხვედრის შემდეგ გადაწყდება, სავარაუდოდ - 16 ან 14. რაოდენობაზეა დამოკიდებული, როდის დაიწყება ტურნირი. 16-გუნდიანი თუ იყო - ივლისის ბოლოს, 14 გუნდით კი ტურნირის ადრე დაწყების საჭიროება აღარ იქნება და სტარტს აგვისტოში აიღებს. დღევანდელი მონაცემებით, პირველი ლიგის არც ერთ კლუბს მონაწილეობაზე უარი არ უთქვამს.

პირველი და რეგიონული ლიგები ის ტურნირებია, რომელთა უმაღლესი ლიგის და, საერთოდ, ქართული ფეხბურთის მასაზრდოებლის ფუნქცია აკისრია და სანამ მათი დონე არ ამოიწევა, გუნდები არ გაძლიერდებიან და დაძაბული ტურნირები არ გვექნება, მანამ უმაღლეს ლიგას და ნაკრებებსაც არაფერი ეშველებათ – ეს ყველაფერი ერთმანეთზეა მიბმულ-გადაჯაჭვული.

მერაბ მამულაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი

შეჯამება. სამტრედია

10		სულ							შინ							სტუმრად						
	გუნდი	თ	მ	ფ	წ	ბურთები		ქ	თ	მ	ფ	წ	ბურთები		ქ	თ	მ	ფ	წ	ბურთები		ქ
						გატ	გაშვ						გატ	გაშვ						გატ	გაშვ	
	სამტრედია	36	6	7	23	27	72	25	18	6	5	7	15	17	23	18	0	2	16	12	55	2

„სამტრედიას" ყველა მატჩი

I ეტაპი

I წრე

II ტური	სპარტაკი-სამტრედია	2:2
III ტური	სამტრედია-სიონი	0:1
IV ტური	ვიტ ჯორჯია-სამტრედია	4:2
V ტური	სამტრედია-ტორპედო	1:0
I ტური	კოლხეთი-სამტრედია	1:0
VI ტური	დინამო-სამტრედია	3:2
VII ტური	სამტრედია-ზესტაფონი	1:3
VIII ტური	ოლიმპი-სამტრედია	3:0
IX ტური	სამტრედია-გაია	3:1

II წრე

X ტური	სამტრედია-კოლხეთი	1:1
XI ტური	სამტრედია-სპარტაკი	1:0
XIV ტური	ტორპედო-სამტრედია	0:0
XII ტური	სიონი-სამტრედია	1:0
XIII ტური	სამტრედია-ვიტ ჯორჯია	1:0
XV ტური	სამტრედია-დინამო	1:0
XVI ტური	ზესტაფონი-სამტრედია	7:0
XVII ტური	სამტრედია-ოლიმპი	1:1
XVIII ტური	გაია-სამტრედია	3:1

II ეტაპი

III წრე

XIX ტური	კოლხეთი-სამტრედია	2:1
XXI ტური	სამტრედია-სიონი	1:1
XXII ტური	ვიტ ჯორჯია-სამტრედია	2:0
XX ტური	სპარტაკი-სამტრედია	1:0
XXIII ტური	სამტრედია-ტორპედო	0:1
XXIV ტური	დინამო-სამტრედია	7:1
XXV ტური	სამტრედია-ზესტაფონი	0:1
XXVI ტური	ოლიმპი-სამტრედია	4:0
XXVII ტური	სამტრედია-გაია	3:0

IV წრე

XXVIII ტური	სამტრედია-კოლხეთი	0:0
XXIX ტური	სამტრედია-სპარტაკი	0:0
XXX ტური	სიონი-სამტრედია	5:0
XXXI ტური	სამტრედია-ვიტ ჯორჯია	0:1
XXXII ტური	ტორპედო-სამტრედია	2:1
XXXIII ტური	სამტრედია-დინამო	1:2
XXXIV ტური	ზესტაფონი-სამტრედია	4:1
XXXV ტური	სამტრედია-ოლიმპი	0:4
XXXVI ტური	გაია-სამტრედია	4:1

„სამტრედიას" ფეხბურთელების მონაგარი

ლევან ანჯაფარიძე

მწვრთნელი

გელა სანაია (I-XVIII ტური)
ლევან ანჯაფარიძე (XIX-XXXVI ტური)

მეკარეები: ლაშა ძაგანია-16, კახა ჯინჭარაძე-14, დავით კეკელიძე-5, ნიკა ბანძავა-4;

მცველები: გიორგი ხუმარაშვილი-28 (2), სპარტაკ გოგია-25, დავით ჩხიკვაძე-24, თორნიკე შალიკაშვილი-21, კახაბერ კირთაძე-21, აკაკი კუპრეიშვილი-11, აკაკი დვალიშვილი-10 (1), გიორგი სოსელია-9, რევაზ ნინუა-9, ზურაბ ენდელაძე-9, არჩილ შენგელია-6, ირაკლი შალიკაშვილი-5, ლაშა ხაჭაპურიძე-3, ცოტნე ხარაბაძე-1, ზაზა მიქელთაძე-1, დავით ჭაჭუა-1;

ნახევარმცველები: შოთა ჩომახიძე-19 (3), დავით კირკიტაძე-17 (2), ლაშა ქებაძე-16 (2), გიორგი ცხადაია-16 (1), ლევან ბაკურაძე-15 (3), გიგა ბურჯანაძე-15 (1), ვაჟა ლომაშვილი-14 (2), ვაკო ტყემალაძე- 14(1), თემურ ფურთუხია-6, ვალტერ გუჩუა-6, შოთა კერძევაძე-2 (1), შალვა ცქიფურიშვილი-1, თორნიკე კაპანაძე-1, ბუჭუნა სოხანეიშვილი-1, ლევან სუთიძე-1, ვახტანგ თევზაძე-1;

თავდამსხმელები: პაატა ბაკარანძე-20 (1), გიორგი მიქაბერიძე-16 (1), ილია პავლიაშვილი-16 (1), ტარიელ რუხაია-16, ირაკლი ხვადაგიანი-15, მიხეილ კაკალაძე-14 (1), გიორგი ალავერდაშვილი-13, გიგა კვერენჩხილაძე-13 (2), მურად გოგიშვილი-9 (1), ზურაბ ეცადეიშვილი-4 (1), გრიგოლ იმედაძე-4, ბაქარ ახობაძე-3.

შოთა ჩომახიძე

● მანჩესტერ სიტი

ქისას პირი მოხსნეს

ალექსის სანჩესი

„მანჩესტერ სიტიმ", ბოლოს და ბოლოს, ქისას პირი მოხსნა და ხმამაღლა თქვა, რით იწყებს სატრანსფერო ბაზარზე მოღვაწეობას — ისტლენდელებს „უდინეზესგან" 27 მილიონ ფუნტად, 22 წლის ჩილელი გარემარბის, **ალექსის სანჩესის** ყიდვა უნდათ. აქამდე, მთელი ინგლისური მედია გაოცებული უყურებდა, როგორ აქტიურობდა ბაზარზე „მანჩესტერ იუნაიტედი", „სიტი" კი, მიუხედავად იმისა, რომ უმდიდრესი არაბი პატრონები ჰყავს, ჩუმად იყო.

შეგახსენებთ „იუნაიტედის" აქტიურობის შედეგებს: **ეშლი იანგში**, **ფილ ჯონსსა** და **დავიდ დე ხეაში** ინგლისის ჩემპიონმა დაახლოებით 50 მილიონი ფუნტი გაიღო. ერთი ხანობა დაიწერა, რომ ამ კონტრაქტებიდან ყველა ბოლომდე მიყვანილი არ იყო, მაგრამ ამ ბუნდოვანებებზე ახლა არაფერს გეტყვით, იმას კი მოგახსენებთ, რომ ალექსის სანჩესის ყიდვა „იუნაიტედსაც" სურდა, თუმცა, აი, გამოჩნდა ჯიბესქელი „სიტი" და ყველაფერი ყირაზე დადგა. ისტლენდელთა აღმასრულებელი შეფი **გერი კუკი** და საფეხბურთო საქმეთა ადმინისტრატორი **ბრაიან მერვუდი** გასულ უქმეებზე იტალიაში გადაფრინდნენ, რათა უდინელებთან ჩილელის შესახებ ელაპარაკათ.

სხვათა შორის, მხარეებს შორის სანჩესის თაობაზე მოლაპარაკებები ჯერ კიდევ მარტში დაიწყო. მაშინ „სიტიმ" „უდინეზეს" 21 მილიონი ფუნტი შესთავაზა, მაგრამ იტალიურმა კლუბმა თავისი მოთამაშე 30 მილიონი დააფასა - 21 მილიონი ფუნტი 23,8 მილიონი ევროა, ხოლო 30 მილიონი ფუნტი 34 მილიონ ევროზე ცოტათი მეტი.

მიუხედავად იმისა, რომ შეთავაზებულ და მოთხოვნილ თანხებს შორის განსხვავება მთელი 9 მილიონი ფუნტი იყო, „უდინეზეს" პრეზიდენტის, **ჯამპაოლო პოცოს** შვილი **ჯინო** (სწორედ ის აწარმოებს „სიტის" ხალხთან მოლაპარაკებებს) ამბობს, რომ სანჩესის მყიდველთა შორის ფავორიტი სწორედ ისტლენდელები არიან. მათ შემდეგ განიხილება დანარჩენი მსურველების, „ბარსელონას", „ინტერისა" და „იუვენტუსის" წინადადებები.

„თუ სანჩესი საერთოდ გაიყიდება, მისი შეძენის ყველაზე დიდი შანსი „მანჩესტერ სიტის" აქვს. საქმე ის არის, რომ ინგლისურ ფეხბურთში დიდი ფული ტრიალებს და იქაურმა კლუბებმა მოთამაშეთა ფასი და ყადრი იციან. ჩვენი მოთამაშის შეძენა „სიტის" გარდა „ბარსელონას", „ინტერს" და „იუვენტისს" სურთ, მაგრამ ჯერჯერობით რეალური თანხა არც ერთმა მათგანმა არ შემოგვთავაზა. მე ალექსისსაც ველაპარაკე და მის აგენტსაც და ვფიქრობ, მათ გაიგეს, რატომ არ შემიძლია პირველივე წინადადებაზე ასე იოლად დათანხმება".

ინგლისური გაზეთები წერენ, რომ სანჩესს, როგორც ესპანურენოვან ადამიანს, კარიერის გაგრძელება „ბარსელონაში" ურჩევნია, ასე რომ, მას პრემიერლიგაში გადასასვლელად დაყოლიება სჭირდება. მაისში, საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ „ბარსელონა" ჩილელის შეძენასთან მართლაც ახლოს იყო. ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული უდინელებს მის სანაცვლოდ ფულთან ერთად **ბოიანს** და **ტიაგო ალკანტარასაც** სთავაზობდა, მაგრამ პოცოების მადა კატალონიელთა შესაძლებლობებზე დიდი აღმოჩნდა. რამდენადაც ცნობილია, „ბარსას" სატრანსფერო ბიუჯეტი 40 მილიონი ფუნტით შემოფარგლება და ამ თანხაში უნდა ჩაეტიოს „არსენალის" კაპიტნის **სესკ ფაბრეგასისა** და „ვილიარეალის" თავდამსხმელის, **ჯუზეპე როსის** შესაძლო ტრანსფერები.

მოგეხსენებათ, „მანჩესტერ სიტის" მეპატრონეებმა სამი წლის განმავლობაში სატრანსფერო ბაზარზე დიდძალი თანხები ხარჯეს, წლეულს კი, თუ ისტლენდიდან გამოსულ ხმებს ვენდობით, მათი მიზანი მხოლოდ ორი გამორჩეული ფეხბურთელის ყიდვაა.

სანჩესი „უდინეზეში" 2006 წელს „დეპორტეს კობრელოადან" 2 მილიონ ფუნტად გადავიდა.

● ბირმინგემული ამბები

ოგი მიდლენდში

ინგლისში, მიდლენდად წოდებული რეგიონის უდიდეს ქალაქ ბირმინგემში ნამდვილი ომი გაჩაღდა. მის „ლურჯ ნანილში", რომელიც „ბირმინგემ სიტის" გულშემატკივრებს ეკუთვნით, აღშფოთება და ბრაზი გულში ვეღარ ეტეოდა „სიტის" შოტლანდიელი მწვრთნელი, **ალექს მაკლიში** გაექცა. თან წასვლის შესახებ თანამშრომლებს მეილით აცნობა. ხოლო „ღვინისფერ ნანილში", სადაც „ასტონ ვილა" ბატონობს, სულ სხვა ჭკუაზე იყვნენ - „ვილას" ოფისიდან „სიტის" ოფიციალური წერილი გაგზავნეს, თუ არ ვცდებით, თქვენი მწვრთნელი თავისუფალი აგენტი გახდა და სამსახური რომ შევთავაზოთ, ხომ არ გეწყინებათო.

„ლურჯები", რომლებიც დარწმუნებულები არიან, რომ მაკლიშის გაპარვის უკან სწორედ „ვილას" ხელმძღვანელობა დგას ანუ შოტლანდიელმა ისინი მათი წაქეზებით დატოვა, ზემოთ ნახსენებმა წერილმა აღაშფოთა. ახლა, „ბირმინგემ სიტის" ხელმძღვანელობა აპირებს გაქცეულ მწვრთნელს საკომპენსაციო თანხა, 5,4 მილიონი ფუნტი მოსთხოვოს და ამ ფულის კლუბის ანგარიშზე დაჯდომამდე მას „ასტონ ვილაში" გადასვლის ნებართვა არ მისცეს.

„ლურჯების" თავმჯდომარე **პიტერ პენუმ** შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით პრესასთან ფრიად უკმეხად ილაპარაკა. „ვილას" და მისი წარმომადგენლების მიმართ არც უხეში გამოთქმები დაუშურებია.

„ყველა ღონეს ვიხმარ, რათა „ასტონ ვილამ" მაკლიში სამსახურში ვერ აიყვანოს. ეს კლუბი მას ან მთელ დავალიანებას დაუფარავს, ან მე ოფიციალური განცხადებით მივმართავ პრემიერლიგას და ყველაფერს იქ გავარკვევთ. „ასტონ ვილას" განცხადება, რომ ახლა მაკლიში თავისუფალი აგენტია და მასთან მოლაპარაკებები სურს, ყველაზე ცუდ ეჭვს მიძლიერებს. საკმარისია ერთი პატარა სამხილი ვიშოვო, რომ მაშინვე ვიჩივლებ. ვაცხადებ, ბოლომდე ვიბრძოლებ. ასეთი შემთხვევებისთვის კანონები არსებობს და იქ ყველაფერი მკაფიოდ წერია. მაკლიშის დაბრუნება, რასაკვირველია, არ მსურს, მაგრამ ფულს კი ბოლო პენიმდე გამოვწურავ.

ის, რაც ჩვენ მოგვინყვეს, პირწმინდა თაღლითობა გახლდათ. ეს არც მეტი არც ნაკლები, კრიმინალია, უბრალო საფეხბურთო გაუგებრობა არ გეგონოთ".

სანამ თავის პოზიციას არ განმარტავს, მაკლიში მართლაც ლაჩრულად გაპარულ კაცს ჰგავს. დღეს ის კორსიკაზე ისვენებს და ბირმინგემში ამტყდარ ჩხუბს თვალს ძორიდან ადევნებს. მას „ლურჯებთან" კონტრაქტი ჰქონდა, რომელიც 1-ელი ივლისიდან ავტომატურად უნდა შეცვლილიყო - „სიტის" პრემიერლიგიდან გავარდნის გამო მწვრთნელს გასამრჯელო უნახევრდებოდა. უფრო ზუსტად, ამიერიდან ალექს მაკლიშს წელიწადში მხოლოდ 800 ათასი ფუნტი ერგებოდა. მეორე მხრივ, ამბობენ, რომ ეს მაკლიშს ხელს აძლევს, რადგან თუ საკომპენსაციო თანხა მართლა გადასახდელი გაუხდება, მას ახალი, შემცირებული ხელფასიდან იანგარიშებენ და მხოლოდ 3 მილიონი გამოვაო.

მაკლიშმა, ჯერჯერობით, კომენტარისგან თავი შეიკავა, პენუ კი გაკვირვებულია, რომ „ასტონ ვილა" და შოტლანდიელი მწვრთნელი ჩქარობენ და კონტრაქტის გაფორმებას 1-ელ ივლისამდე (ძველი ხელფასის პირობებში) აპირებენ. მან თქვა:

„რასაკვირველია, მათ შეეშინდათ, ჩემთვის პირდაპირ რომ მოემართათ. იფიქრეს, რომ „ასტონ ვილას" ხალხს მაკლიშთან მოლაპარაკების ნებას არ მივცემდი. შესაბამისად, აკრძალულ გზებს მიმართეს. აი, ალექსი კორსიკაზეა, „ვილას" მეპატრონე რენდი ლერნერს კი თვითმფრინავი ჰყავს. აბა, რა ვიცი, იქნებ ისინი შეხვდნენ ერთმანეთს და იქ დაგეგმეს ჩვენს საწინააღმდეგოდ ეს ყველაფერი. ჯაშუში-თანამგზავრი მე არ მაქვს და როგორ გავიგებდი რა ხდება? თუმცა, მას მერე, რაც „ასტონ ვილასგან" მეილი მომივიდა, ჩემს ყველა ეჭვს ნათელი მოეფინა.

დღესავით ნათელია, მაკლიშმა იცოდა, რომ „ვილასთვის" საკომპენსაციო თანხის, 5,4 მილიონი ფუნტის გადახდა იოლი საქმე არ არის და იფიქრა, მოდი, მე თავად გავიქცევი, „ბირმინგემი" ფულს არ მომთხოვს და ყველაფერი კარგად იქნებაო. იმდენად სულმოკლენი არიან, რომ 1-ელ ივლისამდეც კი ვერ ითმენენ, არადა 1-ელ ივლისის შემდეგ საკომპენსაციო თანხა 3 მილიონ ფუნტამდე შემცირდება. მგონი, ეს მაგალითი თვალნათლივ გვაჩვენებს რა ხალხთან და რა ურთიერთობებთან გვაქვს საქმე. ახლა, ერთადერთი, რაც მაკლიშსა და მის მრჩეველებს დარჩენიათ, ჩვენი კლუბის მეპატრონის, კერსონ იუნგის წინააღმდეგ ჩივილი ან რაიმე სისულელის მოფიქრებაა. მოკლედ, წყლიდან მშრალად რომ ვერ ამოვლენ, ცხადია.

მაკლიშმა დაინახა, რომ ხელფასი უმცირდება, კლუბისგან სატრანსფერო ბაზარზე დასახარჯავად დიდძალ თანხას ვეღარ მიიღებს გა გაქცევა გადაწყვიტა. ახლა იგონებს, თითქოს „ბირმინგემში" პრობლემა ჰქონდა, ასე მუშაობა აღარ შეეძლო და სხვა. არადა, ამ საქმის მოგვარება ძალიან ჩვეულებრივად, კანონის ფარგლებში შეიძლებოდა. ალექსი ჩემთან უნდა მოსულიყო და ეთქვა, რომ „ასტონ ვილაში" უნდა გადასვლა. მე მას ვეტყოდი, რომ 5,4 მილიონი ფუნტი გადასახდელი აქვს და გზას დავულოცავდი".

● ჩელსი ინგლისი

ლუკა მოდრიჩი

მოდრიჩის ლურჯი ელფერი

„ჩელსი" მზადაა ხორვატ გამთამაშებელ **ლუკა მოდრიჩს** კვირაში 130 ათასი ფუნტი დაუნიშნოს. რასაკვირველია, კვირაში 130 ათასი შთამბეჭდავად ეღერს, მაგრამ ეს რიცხვი უფრო მეტყველი გახდება თუ მას იმ ხელფასს შევადარებთ, რომელსაც 25 წლის ვარსკვლავი „ტოტენჰემ ჰოთსპურში" იღებს. დღეს, „უაით ჰართ ლეინზე" მოდრიჩის გასამრჯელო კვირაში 50 ათასი ფუნტის ტოლია.

„ლურჯები" იმედოვნებენ, რომ ხელფასის მნიშვნელოვანი ზრდა საფეხბურთელს, რომლის სატრანსფერი ღირებულებაც 15 მილიონი ფუნტის ტოლფასია, აიძულებს ლონდონის ერთი უბნიდან მეორეში გადავიდეს. მოდრიჩის დამატებით „ჩელსი" იმ ნაკლს შეივსებს, რომელიც გასულ სეზონში ასე აშკარად გამოიკვეთა — გუნდს ნახევარდაცვაში შემოქმედებითი პოტენციალი აკლდა.

„დეზების" ვარსკვლავი „ტოტენჰემთან" ჯერ კიდევ სამი წლით არის შეკრული, მაგრამ „ლურჯებს" ის მიზანში ჰყავთ ამოღებული. ამბობენ, რომ **რომან აბრამოვიჩის** ჯერჯერობით უმწვრთნელო გუნდს კიდევ ორი პოზიცია აქვს გასაძლიერებელი: მარჯვენა მცველი და გარემარბი სჭირდებათ.

„ჩელსის" ერთ-ერთმა თანამშრომელმა ტაბლოიდებს გაანდო: *„ის, რომ ჯერჯერობით მწვრთნელი არ გვყავს, არაფერს ცვლის. სატრანსფერო გეგმა შედგენილია და კლუბი მას მისდევს. სასურველი ფეხბურთელების სია ჩამოწერილია და მასში მოდრიჩს ზედა პოზიცია უკავია".*

გუნდის კაპიტანი **ჯონ ტერი** კი დარწმუნებულია, რომ ახალი ფეხბურთელებით გაძლიერების შემდეგ „ჩელსი" სულ სხვანაირად ათამაშდება. ტერიმ თქვა:

„იანვარში ორი ფანტასტიკური ფეხბურთელი დავიმატეთ, ფერნანდო ტორესი და დავიდ ლუიზი. მათ ჩვენი თამაში აშკარად გაახალისეს. დარწმუნებული ვარ, რომ ზაფხულში კიდევ შევიძენთ ახალ მოთამაშეებს რომლებიც ასევე დაატყობენ „ჩელსის" თავიანთ დაღს".

28 წლის განელი ნახევარმცველი **მიკაელ ესიენი** კი „რეალში" არ გადავა და დასაავლეთ ლონდონში დარჩება. ეს ესიენის აგენტმა **ფაბიენ პივეტომ** განაცხადა:

„ის და „რეალის" მწვრთნელი ჟოზე მოურინიო რეგულარულად ურეკავენ ერთმანეთს, რადგან საუცხოო ნაცნობობა აქვთ. ჟოზე ხომ „ჩელსის" მწვრთნელი იყო და მათი მეგობრობაც სწორედ იმ დროიდან მოდის. რაც შეეხება ტრანსფერს, ამაზე ლაპარაკიც კი არ ყოფილა, რადგან „რეალს" ესიენის შესახებ „ჩელსისთვის" არ მიუმართავს. თავად მიკაელსაც „სტემფორდ ბრიჯზე" კონტრაქტის თანაბრად კიდევ 4 წელიწადი აქვს გასატარებელი. ესიენი ლონდონში თავს საუცხოოდ გრძნობს. ის დიდებულ ქალაქშია და დიდებული გუნდის წევრია, რომლის შემადგენლობაშიც ყოველ კვირას საუცხოო მეტოქეებს ეთამაშება. რატომ უნდა წავიდეს სხვაგან?"

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

● სავარაუდო ტრანსფერი

ამაურის 4 ვარიანტი

და ყველაზე სასურველი ნაპოლი

ამაურის კავანისთან უნდა

გასული სეზონის მეორე ნახევარი **კარვალიო ამაურიმ** საკმაოდ კარგად ჩააატარა და დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ „პარმამ" უპრობლემოდ შეინარჩუნა ადგილი სერია A-ში. ბრაზილიელ-იტალიელი „იუვენტუსის" საკუთრებაა და ემილიურ გუნდში იჯარის წესით ითამაშა - შესაბამისად, ჯერაც გაურკვეველია სად იასპარეზებს მომდევნო სეზონში. ფეხბურთელის პირადი აგენტი **ერნესტო ბრონძეტი** პრესასთან შემდეგ კომენტარს აკეთებს:

„ისეთი პირი უჩას, რომ ამაური არც „პარმაში" დარჩება და არც „იუვენტუსში" დაბრუნდება. ოთხი სერიოზული წინადადება გვაქვს და იქიდან ერთ-ერთს ავარჩევთ. ორი იტალიური გუნდია, ორიც ინგლისური. გადაწყვეტილების მიღებას არ ვჩქარობთ, რადგან ჯერ სატრანსფერო ფანჯარაც კი არ გახსნილა. რომელ გუნდებზეა ლაპარაკი? - იტალიურების დასახელება შემიძლია, რადგან ეს ისედაც ყველასთვის ცხადია: ერთი „ნაპოლია", ხოლო მეორე „ლაციო". აი რაც შეეხება ინგლისურ გუნდებს, მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ პრემიერლიგის წარმომადგენლებზე გვაქვს საუბარი. უფრო მეტად დღეს ვერ დავკონკრეტდები, რადგან ამით შეიძლება მოლაპარაკების პროცესი შევაფერხო".

ჟურნალისტები თავად ამაურისაც დაუკავშირდნენ და მისგან შემდეგი მოისმინეს: *„დიახ, ჩემით რამდენიმე გუნდია დაინტერესებული, რომელთა შორის „ნაპოლის" გამოვარჩევდი. ვალტერ მაძარის ძალიან უნდა ჩემი დამატება და ბუნებრივია, რომ ეს მახარებს. ამ გუნდში შესანიშნავი შემტევები ასპარეზობენ, რომელთა შორის ყველაზე გამორჩეული მაინც ესეკილ ლავეცია. არგენტინელი გუნდის სული და გულია, რომელიც თითოეულ თამაშში მაქსიმუმს დებს. ედინსონ კავანის ახლოს ვიცნობ, მასთან ერთად „პალერმოში" ვთამაშობდი და ვიცი მისი შესაძლებლობები. კოჭებში ეტყობოდა, რომ დიდი ფეხბურთის თამაში შეეძლო, თუმცა გასულმა სეზონმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ვფიქრობ, რომ ლავეცისთან და კავანისთან ერთად კარგად შემტევ ტრიოს შევქმნიდი".*

ლაშა წიკლაური

● მანჩესტერ იუნაიტედი

ფილ ჯონსი

ფილ ჯონსი ამბობს, რომ ბედმა მას სწორედ ის შანსი უბოძა, ადამიანს ცხოვრებაში ერთხელ რომ ეძლევა ხოლმე. 19 წლის მცველი „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელი გახდა. „ბლექბერნის" მხრიდან ერთი-ორი დამატებითი დაბრკოლების მიუხედავად, ყველაფერი მოგვარდა და საბოლოოდ გადაწყდა, რომ როგორც კი ჯონსი დანიიდან ანუ 21- წლამდელთა ევროპის ჩემპიონატიდან ინგლისში დაბრუნდება, ჩემპიონთან ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

მოგვარებულ საქმესთან დაკავშირებით განცხადება „იუნაიტედმაც" გააკეთა. კლუბმა დაადასტურა, რომ ჯონსის სანაცვლოდ „ბლექბერნს" 16,5 მილიონ ფუნტს უხდის და ფეხბურთელმა „ოლდ ტრეფორდზე" სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა. თავად მოთამაშემ კი თავისი გრძნობების გამოსახატავად „ტვიტერს" მიმართა.

„ჩემი კომენტარი „ბლექბერნისადმი" დიდი სიყვარულის გამოხატვით მინდა დავიწყო. მთელი ცხოვრების განმავლობაში ამ გუნდის დიდი გულშემატკივარი ვიქნები, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედის" სახით მე გამომიჩნდა ისეთი შანსი, როგორიც ადამიანს ცხოვრებაში ერთხელ ეძლევა".

„ტვიტერისავე" დახმარებით ჯონსის მიმართ დიდი სითბო გამოხატეს მისმა ახალმა თანაგუნდელებმა, **რიო ფერდინანდმა**, **უეინ რუნიმ** და **მაიკლ ოუენმა**. რაც შეეხება **კრის სმოლინგს** ის ჯონსის მხარდამხარ დანიაში, 21-წლამდელთა ნაკრებში გამოდის და ასე ამბობს:

„ძალიან მიხარია, რომ მე და ფილი ერთ კლუბში ვიქნებით. მის მხარდამხარ თამაში დიდი სიამოვნებაა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი დონის ფეხბურთელი მხოლოდ 19 წლისაა. იმედი მაქვს, რომ ჩვენს პარტნიორობას დიდი მომავალი აქვს. მინდა მჯეროდეს, რომ ჩვენს თამაშში ვიდიჩის და ფერდინანდის გამოცდილება გადმოვა. ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი სტიუარტ პირსი ჩვენ ერთი მხრივ მეტოქეების მჭიდრო მეურვეობას გვთხოვს, მაგრამ იმავდროულად შეტევაში ჩართვასაც გვავალებს. ვფიქრობ, ესპანეთთან 1:1 დასრულებულ შეხვედრაში საქმეს თავი კარგად გავართვით".

ილია ბაბუნაშვილი

● მილანური ამბები

ტიაგო სილვამ ბარსა დაადასტურა

ასტორი შეიძლება დაბრუნდეს

სერია A-ს გასულ სეზონში არაერთმა ფეხბურთელმა წარმოაჩინა თავი საუკეთესო კუთხით – ერთ-ერთი ასეთია **დავიდე ასტორი**, "კალიარის" 24 წლის მცველი, რომელმაც იმდენი მოახერხა, რომ **ჩეზარე პრანდელის** ყურადღება დაიმსახურა და ეროვნულ ნკრებშიც კი გამოიძახეს. ასტორი "მილანის" აღზრდილია და მისი სატრანსფერო უფლებების 50%-ს დღემდე ლომბარდიული გრანდი ფლობს. იტალიურ სპორტულ პრესაში უკვე არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "როსონერის" მესვეურები ასტორის დაბრუნებით არიან დაინტერესებული და ამ საქმეს ამავე ზაფხულს მოაბამენ თავს. **ადრიანო გალიანიმ** არაერთხელ განაცხადა, რომ დაცვის ცენტრის გაძლიერებას აპირებს. ეს ბუნებრივიც არის, რადგან **ალესანდრო ნესტას** ქრონიკული ტრავმა აწუხებს და სეზონის გარკვეულ ნაწილს ყოველთვის ტოვებს. სწორედ ამიტომ, "მილანმა" უკვე დაიმატა ერთი მცველი **ფილიპ მექსეს** სახით და როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაძლოა მეორეც დაიმატოს. მოვუსმინოთ ასტორის და მის პოზიციასაც გავიგებთ:

"არასდროს დამიმალავს, რომ ბავშვობიდან "მილანის" თავგადაკლული ქომაგი ვარ – გამომდინარე აქედან, სრულიად ბუნებრივია, რომ „როსონერის" ღირსების დაცვა მსურს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ გუნდის აღზრდილი ვარ. თანაც, ვგრძნობ, რომ მზად ვარ "მილანში" სათამაშოდ და მაქვს იმის ძალა, რომ მშობლიურ გუნდს გამოვადგე. ადრიანო გალიანისთან საკმაოდ დიდხანს ვისაუბრე და მითხრა, რომ დიდია შანსი, უკვე ამ ზაფხულს დავბრუნდე "როსონერიში". ასეც რომ არ მოხდეს, ყურებს არ ჩამოვყრი და ვეცდები, მიზანს მომდევნო სეზონში მივაღწიო. ჩემი უმთავრესი მიზანი სწორედ "მილანში" და იტალიის ეროვნულ ნაკრებში ასპარეზობაა".

ცენტრალური მცველები ტოვებენ კიდეც "მილანს" და ესეც ბუნებრივი პროცესია. გადაწყვეტილი ამბავია, რომ **სოკრატის პაპასტატოპულოსი** მომავალი სეზონიდან "ჯენოას" ღირსებას დაიცავს და სავარაუდოდ, **კახა კალაძეს** შეუწყვილდება. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი ლომბარდიულ გრანდს **ნიკოლა ლეგროტალიეც** დატოვებს, რომელსაც ინგლისური პრემიერლიგის გუნდები ეპატიჟებიან. დანარჩენს უშუალოდ მისგან შევიტყობთ:

ტიაგო სილვა

"მთელი კარიერა იტალიაში მაქვს გატარებული და სიმართლე გითხრათ, უკვე დიდი ხანია უცხოეთში ასპარეზობის სურვილი მაქვს. გამოჩნდა ვარიანტები და თანაც იმ ქვეყნიდან, სადაც ყველაზე მეტად მსურს ასპარეზობა. ყველაზე რეალური ჩემი "ქუინზ პარკ რეინჯერსში" გადაბარგების შესაძლებლობაა და დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ტრანსფერი შედგება. ლონდონი საოცარი ქალაქია, სადაც დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი – მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს და იმედია, წარმატებით დასრულდება".

ყველაზე ხმაურიანი ამბავი კი ბოლოსთვის შემოვინახეთ - „გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, საკმაოდ დიდია შანსი, რომ **ტიაგო სილვამ** „მილანი" დატოვოს და კარიერა „ბარსელონაში" გაგრძელოს. ბრაზილიელ მცველზე დიდი მოთხოვნაა, მაგრამ მის გასხვისებას ლომბარდიული გრანდის მესვეურები არ აპირებენ. თუმცა, თუ თავად ფეხბურთელი მოისურვებს გარემოს გამოცვლას და სადმე სხვაგან გადაბარგებას, მის ძალით დაკავებას ყოველგვარი აზრი დაეკარგება. მოვუსმინოთ სილვას და ყველაფერი ნათელი გახდება:

„მილანში თავს შესანიშნავად ვგრძნობ, აქ ყველაფერი მაკმაყოფილებს და შესაბამისად, სხვაგან წასვლაზე არც მიფიქრია. არაერთ შეთავაზებაზე ვთქვი კატეგორიული უარი, თუმცა როდესაც შენით „ბარსელონაა" დაინტერესებული, ძნელია წინადადება არც კი განიხილო. ვადასტურებ, რომ კატალონიელებს შევხვდი და მოლაპარაკებაც გავმართეთ - საკმაოდ კარგი პირობები შემომთავაზეს, თუმცა მთავარი ის არის, რომ ჩემით ევროპის საუკეთესო კლუბია დაინტერესებული. რა იყო ჩემი პასუხი? - ნათლად განვუმარტე, რომ „მილანთან" 2016 წლამდე მაკავშირებს ხელშეკრულება და პირველ რიგში კლუბის მესვეურებთან უნდა დაილაპარაკონ. თუ ლომბარდიელებმა მოისურვეს ჩემი გასხვისება, წინააღმდეგი ალბათ არ ნავალ, რადგან „ბარსელონაში" თამაშის პერსპექტივა საკმაოდ მომხიბვლელია. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ამისთვის ჯერ კლუბების მესვეურები უნდა შეთანხმდნენ".

ლაშა წიკლაური

● დებიუტანტი

ნოვარა ბრძოლას გვპირდება

სერია B-ს გასული სეზონი საკმაოდ საინტერესო გამოვიდა, რადგან ბრძოლა ბოლო ტურებამდე გაგრძელდა. ორი გუნდი, რომლებმაც სერია A-ს საგზური მოიპოვეს, ჩვენთვის კარგად ნაცნობია, რადგან წლების განმავლობაში ელიტარულ დივიზიონში ასპარეზობდნენ. მართალია, არც "ატალანტა" და არც "სიენა" უმაღლესი ადგილებისთვის არასდროს იბრძოდნენ, მაგრამ არც იოლად თმობდნენ არაფერს. ან მესამე აღზევებული კი "ნოვარა" გახლავთ, გუნდი, რომლის შესახებ იტალიაშიც კი ძალიან ცოტა იციან. მოკრძალებული შესაძლებლობის გუნდი წლების განმავლობაში სერია C-ში, ანუ პრო ლიგაში ასპარეზობდა და თანაც, ძირითად ადგილის შენარჩუნებისთვის უნევდა ბრძოლა. ამიტომ, ვერავინ წარმოიდგენდა, თუ სულ რაღაც ორ წელიწადში "ნოვარა" ჯერ სერია B-ში გადავიდოდა, შემდეგ კი სულაც ელიტარულ დივიზიონში ამოჰყოფდა თავს. დაახლოებით ასე გზა გაიარა "ჩეზენამ", თითო წელი მოანდომა პროლიგიდან ჯერ სერია B-ში, შემდეგ კი სერია A-ში გადასვლას, რაც როგორც ჩანს "ნოვარასთვისაც" სტიმული გამოდგა.

"ნოვარას" ყველასათვის უცნობი სპეციალისტი **ატილიო ტესერი** უდგას სათავეში – სწორედ მის ხელში განიცადა გუნდმა პროგრესი და ასეთ სიმაღლეებს მიაღწია. 53 წლის მნვრთნელი ბედნიერია და ამას არც ჟურნალისტებთან მალავს: *"რას ვგრძნობდი, როდესაც სერია A-ს საგზური მოვიპოვეთ? – ეს იყო საოცარი განცდა, რომელმაც გონება დამიბინდა და პრინციპში, ეს პერიოდი ამ წუთამდე გრძელდება. ბევრი ვიშრომეთ იმისთვის, რომ "ნოვარა" განვითარების ახალ საფეხურზე აგვეყვანა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ასე მოკლე დროში სერია A-ში აღზევებაზე არ გვიფიქრია. ეს თავისთავად მოხდა და თითოეული ჩვენგანი უზომოდ გაგვახარა. რაც მთავარია, "ნოვარას" უკეთ თამაშიც შეუძლია და სერია A-ში იოლად არაფერს დავთმობთ. წარმატების საიდუმლო? – დიდი ხანია ფეხბურთში ვარ და ერთში დავრწმუნდი – თუ გუნდი ერთ მუშტად არ არის შეკრული, ვერაფერს მიაღწევ. "ნოვარა" ერთი ოჯახია, აქ ყოფნა ყველას უხარია და წარმატებაც ერთმანეთისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ მოიტანა. ბედნიერი ვარ, რომ ბედმა ამ გუნდს დამაკავშირა, ეს საუკეთესო წამები და წუთებია ჩემს სამწვრთნელო კარიერაში".*

ლაშა წიკლაური

„ნოვარას" ტიფოზები

ვარსკვლავები

ისინი ითამაშებენ დიდ ფეხბურთს

ევროპაში პრაქტიკულად ყველა წამყვანი ჩემპიონატი დასრულდა. სატრანსფერო სეზონი გაიხსნა და კლუბები გამალებით ეძებენ ტალანტებს. დგება ათასნაირი რეიტინგი იმისა, ვინ ვისზე უფრო ნიჭიერია. ჩვენ ჩვენი მხრივ გთავაზობთ ერთ-ერთ ასეთ სიას, სადაც საკმაოდ საინტერესო სახელები და გვარები გვხვდება. ალბათ ყველა მათგანი რა ხანია, ევროპის ყველაზე მდიდარი კლუბების მენეჯერებისა და სკაუტების თვალთახედვის არეში არიან მოქცეული. ჩვენს დღევანდელ სტატიაში მხოლოდ ისეთ ფეხბურთელებს შეხვდებით, მათი ნიჭიერება რომ შეამჩნიო, სატრანსფერო ბაზრის დიდი კვლევა-ძიება საჭირო სულაც არ არის. მაშ ასე, დავიწყეთ:

ჟერდან შაჩირი („ბაზელი", შვეიცარია), ამპლუა: ნახევარმცველი, ასაკი: 19 წელი, მოქალაქეობა: შვეიცარია, მიახლოებითი სატრანსფერო ღირებულება: 7 მილიონი ევრო.

ალექს ვიტსელი

ედენ აზარი

სიმონ კიაერი („ვოლფსბურგი", გერმანია), ამპლუა: მცველი, ასაკი: 22 წელი, მოქალაქეობა: დანია, მიახლოებითი სატრანსფერო ღირებულება: 11-12 მილიონი ევრო.

კიაერმა თავისი პროფესიული საფეხბურთო კარიერა სამშობლოში, მოკრძალებული შესაძლებლობების „მიდტიულანდში" დაიწყო. დაიმსახურა რა დანიის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის პრიზი, უმალ მიიპყრო ევროპის წამყვანი ჩემპიონატების წარმომადგენელთა ყურადღება. 2008-10 წლებში ის „პალერმოში" თამაშობდა, სადაც უმაღლეს დონეზე ასპარეზობდა. გარდა უშუალო მოვალეობებისა, ის შეტევაშიც ეხმარებოდა თავის გუნდს და სიცილიელთა შემადგენლობაში 5 გოლიც გაიტანა. გასული სეზონი კი მან „ვოლფსბურგში" გაატარა, გუნდში, რომელიც საშინელ კრიზისში ჩაეფლო. კიაერის პოტენციალს გერმანელი გულშემატკივარი მხოლოდ მომავალ სეზონში თუ იხილავს.

ესეკილ მატიას მუნიოსი („პალერმო", იტალია), ამპლუა: მცველი, ასაკი: 20 წელი, მოქალაქეობა: არგენტინა, მიახლოებითი სატრანსფერო ღირებულება: 7 მილიონი ევრო.

არგენტინელი ვუნდერკინდი გასაოცარი აღნაგობით გამოირჩევა – 186სმ, 85კგ. ფეხბურთელმა „ბოკა ხუნიორსში" ზემოხსენებული „პალერმო" გულგრილი ვერ დატოვა. იტალიელებმა მისი გადაბირება უმალ მოინდომეს და მიზანსაც მიაღწიეს. ბოლო წლებში სიცილიური კლუბი სატრანსფერო ბაზარზე ტალანტების აღმოჩენით აშკარად გამოირჩევა სხვებისგან. 2010-11 წლების სეზონში იტალიის ჩემპიონატში მუნიოსმა 34 შეხვედრა ჩაატარა და მათ შორის გამორჩეული შინ, „მილანთან", როცა **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** თამაშს მთლიანად გამოთიშა.

ახალგაზრდა შვეიცარიელი ვინგერი ალბანური წარმოშობისაა და მისი გვარის უცნაურ ფორმასაც ნუ გაიკვირვებთ. მთავარია, რომ ის უკვე აღიარებულია როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტალანტი დღევანდელ ფეხბურთში, რასაც ის ევროპის მიმდინარე ახალგაზრდულ ჩემპიონატზეც ამტკიცებს. მისი ტალანტი შეუმჩნეველი არ დარჩენია არც **ოტმარ ჰიტცფელდს**, ვინც თინეიჯერ ფეხბურთელს ეროვნულ გუნდში უხმო. ჟერდანს მშვენივრად გამოსდის დრიბლინგი, ორივე ფეხიდან უმძლავრეს დარტყმას ფლობს, რაც უადვილებს საქმეს, როცა **არიენ რობენის** სტილში ფლანგიდან ცენტრისკენ ინევს და კარში ურტყამს ხოლმე. მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, რომელი ფლანგიდან გააკეთებს ამას.

ედენ აზარი („ლილი", საფრანგეთი), ამპლუა: ნახევარმცველი, ასაკი: 20 წელი, მოქალაქეობა: ბელგია, მიახლოებითი სატრანსფერო ღირებულება: 18-20 მილიონი ევრო.

აზარის უსაზღვრო ნიჭზე ლაპარაკი 2-3 წლის წინ დაიწყეს. შეუძლებელია, ეძებდე ახალგაზრდა ტალანტებს და აზარი თვალში არ მოგხვდესო, ამბობენ საფეხბურთო ექსპერტები. მისი სატრანსფერი ფასი ზემოთ კი წერია, მაგრამ ნუ გამორიცხავთ, რომ „ლილმა" ბევრად მეტიც მოითხოვოს. საფრანგეთის ლიგა 1-ის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელმა, საფრანგეთის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა სეზონის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე განაცხადა, რომ კარიერის სხვა კლუბში გაგრძელებაზე ფიქრობდა, მაგრამ კეთილისმსურველებმა დარჩენა ურჩიეს.

მასზე ფრანგი ჟურნალისტები წერენ, რომ ის **კრიშტიანო რონალდოსა** და **ლიონელ მესის** ერთგვარი სინთეზია ნახევარდაცვაში.

პაულუ ენრიკე „განსო" (სანტოსი, ბრაზილია), ამპლუა: შემტევი ნახევარმცველი, ასაკი: 21 წელი, მოქალაქეობა: ბრაზილია, მიახლოებითი სატრანსფერო ღირებულება: 15-20 მილიონი ევრო.

თუკი პაულუ ენრიკე („განსო" მეტსახელია და ბატს ნიშნავს) თავის მონაცემებს გამოიყენებს, ის უახლოეს ხანებში ჩაანაცვლებს ბრაზილიის ნაკრებში ბოლო წლებში აშკარად ძალიან ცუდ ფორმაში მყოფ **კაკას**. ის არის ძალიან სწრაფი და გამოუცნობი ფეხბურთელი, ახასიათებს ბურთთან ძალზე „თბილი ურთიერთობა" და დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ერთი ერთზე მას ნებისმიერი მცველის მოტყუება შეუძლია მსოფლიოში. სწორედ „განსოს" მსგავს ფეხბურთელებს უწოდებენ მის სამშობლოში „ფანტაზისტას". რამდენიმე წლის წინ „სანტოსი" **რობინიო-დიეგოს** დუეტით აშინებდა მეტოქეებს, ახლა კი „განსო"-**ნეიმარის** წყალობით ახდენს ფსიქოლოგიურ ზეწოლას მათზე. შემთხვევითი არაა, რომ ორივე ფეხბურთელმა უკვე მოიკიდა ფეხი „სელესაოში" და ორივეს ასე აქტიურად უხმობენ ბებერ კონტინენტზე.

კრისტიან ერიკსენი (აიაქსი, ჰოლანდია) ამპლუა: შემტევი ნახევარმცველი, ასაკი: 19 წელი, მოქალაქეობა: დანია, მიახლოებითი სატრანსფერო ღირებულება: 10-12 მილიონი ევრო.

„აიაქსის" საფეხბურთო აკადემია წლების განმავლობაში იყო სახელგანთქმული სწორედ იმით, რომ უამრავი დიდი აღზრდილი ჰყავდა. ერთ-ერთი, ვისაც ნამდვილად აქვს პოტენციალი, ძველი ვარსკვლავების გზა გაიმეოროს, სწორედ კრისტიან ერიკსენია. გასული სეზონის განმავლობაში მისი პროფესიული ზრდის ტემპები თვალში საცემი იყო, ხოლო მას მერე, რაც **ლუის სუარესი** „ლივერპულში" გადავიდა, თინეიჯერმა ვარსკვლავმა თავის თავზე ბომბარდირის ფუნქციის აღებაც სცადა. სულ მან სეზონის განმავლობაში 6 გოლი გაიტანა.

ერიკ ლამელა („რივერ პლეიტი", არგენტინა) ამპლუა: მარჯვენა ნახევარმცველი, ასაკი: 19 წელი, მოქალაქეობა: არგენტინა, მიახლოებითი სატრანსფერო ღირებულება: 4 მილიონი ევრო.

აზარტი, დაუღალავი მუშაობა, ტექნიკა, ფეთქებადი სიჩქარე - ყველა ამ ღირსებით რივერპლეიტელი 19 წლის ნახევარმცველია დაჯილდოებული. თუ ხმებს დავუჯერებთ, ლამელას შეძენას „მილანი" და „რომა" გეგმავენ, თუმცა ამ ეტაპზე არც ფეხბურთელს და არც თავად „რივერს" განშორება არ ეჩქარებათ. თუმცა პრაქტიკას თუ ვენდობით, კლუბები მიუხედავად განცხადებებისა, მხოლოდ და მხოლოდ საჭირო მომენტსა და საჭირო წინადადებას ელოდებიან ხოლმე, რათა ფეხბურთელი ევროპულ კლუბებს დაუთმონ. გამონაკლისს ფინანსურად მოძლიერებული რამდენიმე კლუბი (ძირითადად ბრაზილიური) წარმოადგენს, მაგრამ მათ შორის ნამდვილად არ არის „რივერი".

აქსელ ვიტსელი („სტანდარდი", ბელგია), ამპლუა: ცენტრალური ნახევარმცველი, ასაკი: 22 წელი, მოქალაქეობა: ბელგია, მიახლოებითი სატრანსფერო ღირებულება: 10 მილიონი ევრო.

„სტანდარდის" აღზრდილი ფეხბურთელი 2006 წელს სულ რაღაც 17 წლისა იყო, როცა ჟუპილერ-ლიგაში დებიუტი ჰქონდა. 2007-08 სეზონიდან კი გუნდის ძირითადი შემადგენლობის წევრია. ის თავიდანვე გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი ბუნებრივი მონაცემებით. დიდებულად მუშაობს ბურთის ართმევაზე და ეხერხება კარგი პასიც. აქსელი სეზონიდან სეზონამდე ზრდიდა შედეგიანობას და 22 წლისას ანგარიშზე ჩემპიონატში უკვე 32 გოლი აქვს. წარმოიდგინეთ რამდენიმე წლის შემდეგ ბელგიის ნაკრების ნახევარდაცვა, სადაც ედენ აზარი-აქსელ ვიტცელი და **სტივენ დეფური** ითამაშებენ. დიდებული რამ უნდა გამოვიდეს.

იანის ფეტფაციდისი („ოლიმპიაკოსი", საბერძნეთი), ამპლუა: თავდამსხმელი, ასაკი: 20 წელი, მოქალაქეობა: საბერძნეთი, მიახლოებითი სატრანსფერო ღირებულება: 5 მილიონი ევრო.

ფეტფაციდისი თამაშის მანერით საოცრად ჰგავს... **ლიონელ მესის**. ასეთი შედარება ყოველთვის სარისკოა, მაგრამ მაინც იყოს ასე. ტანმორჩილი თავდამსხმელი მსუბუქი მოძრაობებით, ძალიან მაღალი სასტარტო სიჩქარით, მოედნის ხედვით, ტექნიკით გამოირჩევა. მასა და მესის შორის განსხვავება ჯერჯერობით მასშტაბებსა და მოგებულ ტიტულებშია. იმედია, იანისიც მიაღწევს იმ სიმაღლეებს, რაც არგენტინელმა უკვე დაიპყრო.

სიმონ კიაერი



ესეკილ მატიას მუნიოსი



ერიკ ლამელა

ჟერდან შაჩირი

ანდრეა ბელოტი

ანდრეა ბელოტი („ბარი", იტალია), ამპლუა: ცენტრალური ნახევარმცველი, ასაკი: 22 წელი, მოქალაქეობა: იტალია, მიახლოებითი სატრანსფერო ღირებულება: 10 მილიონი ევრო.

ბელოტი ბარის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად ითვლება. ის ბურთს ბრაზილიურ სტილზე ფლობს, ბურთის ართმევაზე ეხერხება ბრაზილიელ ბიჭებზე ბევრ ფეხბურთელს. ბელოტი ბარის ერთ-ერთ ლიდერად ითვლება. ის ბარის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად ითვლება. ბელოტი

უცხოური ფეხბურთი

● ინტერვიუ. ფილიპ ლამი

კანი და ბეკენბაუერი მნარედ ცდებიან

ჩვენი მიზანი პირველიდან ბოლო ტურამდე პირველობაა!

ბაიერნის კაპიტანი ფილიპ ლამი

„ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში „ბაიერნის“ 27 წლის კაპიტანი ფილიპ ლამი გასულ სეზონს აჯამებს, საომომავლო გეგმებზე საუბრობს და ფრანც ბეკენბაუერისა და ოლივერ კანის კრიტიკას ეხმაურება.

- ჰერ ლამ, რამდენიმე დღის წინ ფრანც ბეკენბაუერმა „ბაიერნის“ სპორტული დირექტორი კრისტიან ნერლინგერი გააკრიტიკა. „კაიზერის“ აზრით, ნერლინგერი ძალიან იშვიათად ჩანს, ყურადღება გაურბის, რაც „ბაიერნის“ მენეჯერისთვის არასახარბიელო ქცევაა. ფრანცი ამბობს, თუ ნერლინგერს უნდა, რომ ყველამ მიიღოს და დააფასოს, უფრო ხშირად უნდა ჩანდეს, უფრო მეტი უნდა ილაპარაკოსო.

- ბეკენბაუერს არ ვეთანხმები. ჩვენ, ფეხბურთელებმა ვიცით, რას აკეთებს და როგორ მუშაობს ნერლინგერი, რადგან მასთან ურთიერთობა ყოველდღიურ რეჟიმში გვიწევს. კრისტიანი ნამდვილი პროფესიონალია, რაც იმ ტრანსფერებიდანაც ჩანს, რომლებიც მან ამ პოსტზე დანიშვნის შემდეგ განახორციელა.

- თქვენ გინდათ თქვათ, რომ ბეკენბაუერი ცდება?

- ფრანცის მოსაზრება მოვლენებს მიღმა მყოფი ადამიანის მოსაზრებაა და არ მიკვირს, შეფასებისას შეცდომას რომ უშვებს. სწორ შეფასებას მხოლოდ ისეთი ადამიანისგან უნდა ელოდო, რომელიც გუნდში მიმდინარე პროცესებს ყოველდღე აკვირდება. ყველა, ვინც „ბაიერნში“ ნერლინგერს ყოველდღე ხედავს, დამეთანხმება, რომ კრისტიანი ძალიან მაღალი დონის სპეციალისტია.

- კრიტიკული მოსაზრებები ოლივერ კანმაც გამოთქვა. მისი აზრით, „ბაიერნის“ სატრანსფერო პოლიტიკა დაუგეგმავი და უკონცეფციოა. ოლი მიიჩნევს, რომ მიუხხენური კლუბი ამ მხრივ ნელ-ნელა მადრიდის „რეალს“ ემსგავსება...

- გადახედეთ ჩვენს აქტუალურ ტრანსფერებს და მიხვდებით, რომ კანიც ცდება. ყველა შემდგარი თუ დაგეგმილი ტრანსფერი კარგადაა მოფიქრებული და გათვლილია სუსტი რგოლების გაძლიერებაზე. ჩემი აზრით, „ბაიერნი“ სწორედ იმ ფეხბურთელებს ყიდულობს, რომლებიც ყველაზე მეტად სჭირდება. „რეალთან“ პარალელების გავლება კი, ვფიქრობ, არასწორია. მადრიდელები ყოველ ზაფხულს ხუთ ახალ სუპერვარსკვლავს ყიდულობენ ხოლმე...

- დასასვენებლად საბერძნეთში მიდიხართ. შვებულებას კარგ ხასიათზე ხვდებით?

- რა თქმა უნდა! ეს სეზონი აშკარად ჩავაგდეთ, მაგრამ მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ. დავიწყოთ იმით, რომ გუნდში იუპ ჰაინკესის სახით ძალიან გამოცდილი, უმაღლესი დონის მწვრთნელი მოდის, რომელსაც „ბაიერნის“ თითოეული ფეხბურთელი თვალდახუჭული ენდობა. ამავდროულად, „ბაიერნმა“ უკვე ძალიან საინტერესო ტრანსფერები სრულყო – მარტო მანუელ ნოიერის ხსენება რად ღირს. მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს ნოიერის გარშემო ატეხილი დავიდარაბა დამთავრდა და ის უკვე სრულფასოვანი ბავარიელია. ერთი სიტყვით, დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ სეზონში „ბაიერნი“ ისევ მოწოდების სიმაღლეზე იქნება.

- ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ ნოიერზე თქვა, მას „ბაიერნის“ გენები აქვსო. მანუელს ეს თქვენც შეამჩნიეთ?

- ნოიერი გამარჯვებული მენტალიტეტის მქონე ფეხბურთელია და რუმენიგემაც, პირველ რიგში, ალბათ სწორედ ეს იგულისხმა, როცა თქვა, „ბაიერნის“ გენები აქვსო. ნოიერს ეტყობა, რომ გუნდი 5:0-საც რომ იგებდეს, ერთი გოლის გაშვების გამო ძალიან გაბრაზდება – ასეთი იყო ოლივერ კანიც.

- ახალწვეულმა რაფინიამ თქვა, ნერვებს მარტო მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეებს კი არ ვუშლი, ხანდახან საკუთარ თანაგუნდელებსაც ვაბრაზებ ხოლმეო. ექსპერტები ფიქრობენ, რომ რეკორდმაისტერს ახლა ყველაზე მეტად სწორედ ასეთი ტიპი სჭირდებოდა...

- მთავარია, კარგად ვითამაშოთ და ასეთ შემთხვევაში ნერვებს მხოლოდ მეტოქეებს მოვუშლით. „ბაიერნს“ ხარისხიანი ფეხბურთელები სჭირდება და მიხარია, რომ რაფინიას სახით სწორედ ხარისხიანი ახალწვეული გვყავს.

- პრეზიდენტ ული ჰაინესის აზრით, მარკ ვან ბომელის წასვლის შემდეგ „ბაიერნს“ აკლია მოთამაშე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ხმას აიმაღლებს და თანაგუნდელებს შორის მთავარი მოტივატორის როლს შეასრულებს...

- თუ პრეზიდენტი ამას ამბობს, ე.ი. ასეცაა. ული დიდი ხანია, ამ საქმეს აკეთებს და იცის, როდის რა არის საჭირო.

- თქვენ სიმაღლეში 1.70 მეტრი ხართ, რაფინია კი თქვენზე მხოლოდ ორი სანტიმეტრით მაღალია. გამოდის, რომ „ბაიერნს“ ბუნდესლიგაში ფლანგის ყველაზე დაბალი მცველები ეყოლება...

- არა მგონია, რომ ეს პრობლემა იყოს. ჩემი აზრით, ფლანგის ფეხბურთელს სიმაღლე არაფერში სჭირდება. აი, თუნდაც „ბარსელონას“ დავაკვირდეთ – კატალონიელებს დაბალი ფეხბურთელები მხოლოდ დაცვაში არ ჰყავთ და მაქსიმუმ ერთი საყრდენია მაღალი. მთავარია, როგორ თამაშობს ესა თუ ის ფეხბურთელი.

- ჰაინკესმა თქვა, ახალ სეზონში „ბაიერნი“ პირველი ტურიდანვე უნდა გალიდერდეს და ბოლომდე პირველი უნდა იყოსო. ეს რეალურია?

- ყოველ შემთხვევაში, ასეთია ჩვენი მიზანი. გვინდა, რომ პირველიდან ბოლო ტურამდე ვდომინირებდეთ – როგორც „ბაიერნს“ სჩვევია. თუმცა ისიც ვიცით, რომ ეს ადვილი არ იქნება.

- შვებულებაში კარგად დაისვენებთ. ხომ არ შიშობთ, რომ წონაში მოიმატებთ?

- ცოტათი ყოველ ზაფხულს ვიმატებ ხოლმე, მაგრამ ეს ტრაგედია არ არის. სამაგიეროდ, როგორც კი ვარჯიშს დავიწყებ, მომატებულ წონას მაშინვე დავიგდებ. ამასთან, შვებულებისას ჩოგბურთს ვთამაშობ ხოლმე, რაც ფორმას მინარჩუნებს.

● ბუნდესლიგა. შეჯამება: ახალწვეულები

როგორ გვიჭირან ახალი ცოცხები

გეკასისა და აინტრახტის დაუჯერებელი ამბავი

დასრულდა თუ არა სეზონი, „კიკერმა“ ბუნდესლიგა 2010/2011-ის სტატისტიკისა და შედეგების შეჯამება დაიწყო და ტრადიციული ბალანსიც გამოაქვეყნა, თუმცა აქამდე თქვენი ყურადღება სეზონის შემაჯამებელ ციფრებსა და ანალიზებზე არ გაგვიმახვილებია, რადგან სასაუბრო და განსახილველი სხვაც ბევრი იყო. ახლა კი, როცა შედარებით „მკვდარი სეზონია“ და სატრანსფერო ორომტრიალიც არ გახურებულა ისე, როგორც ეს ივლის-აგვისტოშია ხოლმე, თამამად შეგვიძლია, დრო და ადგილი ამა თუ იმ საინტერესო ფაქტებს დავუთმოთ.

დღეს რუბრიკის მთავარი თემა წინა ზაფხულსა და ზამთარში განხორციელებული ტრანსფერებია. მოდით, ერთად გადავხედოთ, ვინ როგორ ითამაშა გასულ სეზონში ახალწვეულებიდან.

პირველ რიგში ფრანკფურტის „აინტრახტის“ ბერძენი თავდამსხმელი **თეოფანის გეკასი** უნდა გამოვყოთ, რომელიც ფრანკფურტულ კლუბში ზუსტად ერთი წლის წინ, „ლევერკუზენიდან“ გადავიდა. გამოცდილმა თავდამსხმელმა, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა (მაშინ „ბოხუმის“ ღირსებას იცავდა), სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო და მთელი პირველი რვე მაღალ დონეზე ჩაატარა, სეზონის მეორე ნახევარში კი წარმოუდგენელი რეგრესი განიცადა. ახალწვეულთაგან საუკეთესოდ კი უდავოდ კაიზერსლაუტერნელი **კრისტიან ტიფერტი** უნდა დავასახელოთ, რომელსაც ლომის წვლილი მიუძღვის იმაში, რომ „წითელი ეშმაკები“ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას გადაურჩნენ. მასთან ერთად, გამოსაყოფია **რაულიც**, რომელმაც შარშან „შალკეს“ მადრიდის „რეალიდან“ მიაშურა და საკმაოდ კარგი სეზონი ჩაატარა. სამაგიეროდ, იმედები გაგვიცრუა „იუვენტუსიდან“ „ვოლფსბურგში“ გადასულმა **დიეგომ**. სეზონის მთავარი აღმოჩენა დორტმუნდის „ბორუსიას“ იაპონელი გამთამაშებელი **შინჯი კაგავა** გახდა, მაგრამ მის თამაშს მთელი სეზონის მასშტაბით მაინც ვერ შევაფასებთ, რადგან კაგავამ ზამთარში უმძიმესი ტრავმა მიიღო და მეორე წრეში აღარ უთამაშია – მხოლოდ ბოლო ტურისთვის შეძლო მომჯობინება და შეცვლაზე რამდენიმე წუთი იასპარეზა.

თეოფანის გეკასმა პირველ წრეში 14 გოლი გაიტანა და ბომბარდირობისთვის იბრძოდა, სეზონის მეორე ნახევარში კი მხოლოდ 2-ჯერ დაამწუხრა მეტოქეები. ის და „აინტრახტი“ მეორე ბუნდესლიგაში გავარდნენ

გეკასით დავიწყოთ: ერთი შეხედვით, „აინტრახტის“ ბერძენმა თავდამსხმელმა საკმაოდ კარგი სეზონი ჩაატარა, რადგან 34 მატჩში 16 გოლის გატანა მოახერხა, რაც ნამდვილად არ არის ურიგო შედეგი. ეს საკმაოდ კარგი კვოტაა – მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „აინტრახტი“ მე-17 ადგილზე გავიდა და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდა. თუმცა ისევე, როგორც მისი კლუბის, გეკასის შედეგიც ფატალურია, რადგან ბერძენმა მეორე წრეში სასტიკი რეგრესი განიცადა. თვითონ განსაჯეთ: მეორე წრის 17 შეხვედრაში მან მხოლოდ ორი გოლის გატანა მოახერხა. 14 გოლი პირველ წრეში, მხოლოდ 2 მეორეში – გეკასი სეზონის მეორე ნახევარში იმედგაცრუების საუკეთესო მაგალითი გახლდათ. ისევე, როგორც მთლიანად „აინტრახტი“ - ფრანკფურტელებმა პირველი წრე ცხრილის შუაში დაასრულეს და ევროპის ლიგის საგზურის მოპოვებაზე ოცნებობდნენ, მაგრამ მეორე წრეში მხოლოდ 8 ქულას მოუყარეს თავი და გავარდნენ.

ელიტაში შარშან აღზევებული „კაიზერსლაუტერნი“ კი გავარდნას გადაურჩა და ეს პირველ რიგში „ეშმაკების“ ახალი ნახევარმცველის, კრისტიან ტიფერტის დამსახურებაა, რომელმაც გასულ სეზონში 17 (!) საგოლე პასი გააკეთა. მასთან ერთად აუცილებლად უნდა ვახსენოთ პოლონელი მარჯვენა მცველი **ლუკაშ პიუჩეკიც**, რომელმაც ერთი წლის წინ დორტმუნდის „ბორუსიას“ ბერლინის „ჰერტადან“ მიაშურა. პიუჩეკი დორტმუნდელებმა ტრავმირებული **პატრიკ ოვომოიელას** შემცვლელად იყიდეს და პოლონელმა იმდენი ქნა, რომ ოვომოიელა ძირითადი შემადგენლობიდან ფაქტობრივად სამუდამოდ ამოაგდო. პიუჩეკმა ძალიან კარგი სეზონი ჩაატარა და ის ფაქტი, რომ „ბორუსია“ გერმანიის ჩემპიონი გახდა, სხვებთან ერთად, მისი დამსახურებაცაა.

ნორმალური სეზონი ჰქონდა რაულსაც, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ „შალკემ“ გერმანიის ჩემპიონატში თავი ვერაფრით გამოიჩინა, 13 გოლის გატანა შეძლო. იმავეს ნამდვილად ვერ ვიტყვით დიეგოზე, რომელმაც „ვოლფსბურგში“ ვერაფერი გააწყო და ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ 2009 წლის გერმანიის ჩემპიონს დატოვებს.

„ბაიერნის“ ყოფილი მეკარე და ერთ დროს **ოლივერ კანის** შემცვლელად მონათლული **მიხაელ რენზინგი** ამ სეზონის პირველ ნახევარში უკლებლად იყო – „ბაიერნიდან“ წასვლის შემდეგ სამსახურის შოვნა ძალიან გაუჭირდა. ზამთარში რენზინგი „კიოლნმა“ აიყვანა და მიხაელმაც დაამტკიცა, რომ კარგი კიპერია. „თხები“ მეორე ბუნდესლიგაში რომ ავარდნენ, სხვებთან ერთად ეს რენზინგის დამსახურებაცაა. იმედები გაამართლა მისმა თანაკლუბელმა **კრისტიან აიხნერმაც**, რომელმაც „კიოლნს“ **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუედან“ მიაშურა. ქების ღირსები არიან მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ ახალწვეულები **ჰავარდ ნორდტვეიტი** და **მარტინ შტრანცლიც**.

ზაფხულის ახალწვეულები

ფეხბურთელი	თ	გ	შეფ
თეოფანის გეკასი (აინტრ.)	34	16	3.82
რაული (შალკე)	34	13	3.57
იენს ჰეგელერი (ნიურნბერგი)	34	3	3.47
ტიმო სიმონსი (ნიურნბერგი)	34	2	3.43
პაციო ვესტერმანი (ჰამბურგი)	34	2	3.97
რუბენტ ლეონარდოსი (ფორტ.)	33	8	3.58
მაჯამადუ იდრისუ (ბორუსია მ)	33	5	3.84
კრისტიან ტიფერტი (კაიზერს.)	33	2	2.98
ლარს ზტინდლი (ჰანოვერი)	33	2	3.75
ლუკაშ პიუჩეკი (ბორუსია დ)	33	0	3.09
მარტინ ჰარნიკი (შტუტგარტი)	32	9	3.68
მეჯ d ეძიჩი (ნიურნბერგი)	32	3	3.52
სებასტიან რუდი (ჰოფენჰაიმი)	32	1	3.38
სიმონ კიპარი (ვოლფსბურგი)	32	1	3.80
კრისტოფ მეტცელდერი (შალკე)	32	1	3.80
კრისტიან გენტნერი (შტუტგ.)	31	5	4.02
ფინ ბარტელსი (ზანკტ პაული)	31	2	4.02
კრისტიან ფუხსი (მაინცი)	31	0	3.15
სიდნი სეი (ლევერკუზენი)	30	7	3.41
დიეგო (ვოლფსბურგი)	30	6	3.53
კენნეტ მლაკა (ჰოფენჰაიმი)	30	4	4.0
ლუის ჰოლგი (მაინცი)	30	4	3.29
მატო ჟაჟალო (კიოლნი)	30	2	3.94

ზამთრის ახალწვეულები

ფეხბურთელი	თ	გ	შეფ
დავიდ ალაბა (ჰოფენჰაიმი)	17	2	3.59
მარტინ შტრანცლი (ბლაიბ.)	17	1	3.26
მიხაელ რენზინგი (კიოლნი)	17	0	2.74
კრისტიან აიხნერი (კიოლნი)	17	0	3.65
ჰავარდ ნორდტვეიტი (ბლაიბ.)	16	1	3.69

● ვოლფსბურგი

მაგათი: ველიტონი და კრანჩარიც!

მგლებს ბევრი ფული აქვთ და რა ენაღვლებათ...

ტრანსფერებში გერმანიაში ყველაზე მეტად „ვოლფსბურგი“ აქტიურობს. დღე არ გავა, რომ **ფელიქს მაგათის** კლუბზე ახალი ჭორი თუ მართალი არ გავრცელდეს. როგორც იცით, **გრაფიტეს** „ალ აჰლიში“ გადასვლა ფაქტობრივად გადაწყვეტილია. ბრაზილიელი თავდამსხმელის შეცვლა კი მაგათს ბრაზილიელითვე სურს და თვალი მოსკოვის „სპარტაკის“ 24 წლის ფორვარდ **ველიტონს** დაადგა, რომელსაც „რუსეთის სახალხო გუნდთან“ კონტრაქტი 2012 წლის 30 ივნისამდე აკავშირებს.

ველიტონის გარდა, „დესპოტ ფელიქსს“ პოლონური კლუბის, „კრაკოვიას“ ფეხბურთელ **მატეუშ კლიხის** გადაბირებაც უნდა – „ვოლფსბურგერ ალგემაინე ცაითუნგის“ ცნობით, ახალგაზრდა პოლონელი გამთამაშებელი გერმანიაში სამედიცინო შემოწმების გასავლელად ამ კვირაშივე ჩავა. 21 წლის კლიხმა პოლონეთის ჩემპიონატის 27 მატჩში 4 გოლი გაიტანა, 5 ივნისს კი პოლონეთის ეროვნულ ნაკრებში დებიუტიც ჰქონდა (2:1 არგენტინასთან). ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ვოლფსბურგს“ კლიხი 1.5 მილიონი ევრო დაუჯდება.

რამდენიმე კვირაა, რაც მაგათი ტოტენჰემელი **ნიკო კრანჩარის** ტრანსფერზეც მუშაობს, დაცვის ცენტრის გაძლიერება კი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული „აინტრახტის“ მცველით, **მარკო რუსით** უნდა. ფელიქსს **მაიკ ფრანცისა** და კიოლნელი **პედრო ჟერომელის** ყიდვა უნდოდა, მაგრამ პირველმა „ჰერტას“ მიაშურა, უკანასკნელმა კი თქვა, „კიოლნიდან“ წასვლას არ ვაპირებო. რაც შეეხება წამსვლელებს: გრაფიტეს შემდეგ, გადაწყვეტილია, რომ „ვოლფსბურგს“ თურქი შემტევი ნახევარმცველი **თუნჯაი სანლიც** დატოვებს, რომელიც სავარაუდოდ ისევ „ფენერბაჰჩეში“ დაბრუნდება.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

● ესპანეთი

ბარსა თავს მორიგი ტიტულით იწონებს

ტიტულებზე დაგეშილნი

„ბარსელონას“ ახალი ამოცანა ცხადზე ცხადია - ზედიზედ მეოთხედ პრიმერადივიზიონის ტიტულის მოგება. ამით ხოსეპ გვარდიოლა იოჰან კრუიფის „დრიმ თიმის“ მიღწევას გაიმეორებს. ორიოდე დღის წინათ, ეს ჟერარდ პიკემ ინტერვიუშიც თქვა, მაგრამ ძალიან ძნელი რამ არის ზედიზედ ოთხი ჩემპიონატის მოგება, მით უმეტეს, ისეთ ლიგაში, როგორიც ესპანური პრიმერაა...

როგორც დრიმ თიმი

პეპ გვარდიოლას ხშირად უთქვამს ინტერვიუებში, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ესპანეთის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაა. *„ჩემპიონთა ლიგა უფრო გლამურულია, მაგრამ ტურნირი, რომელიც ყველაზე ნათლად გვიჩვენებს, რომელია წლის საუკეთესო გუნდი, ლა ლიგაა“.* პეპი, რაც კი „ბარსაში“ დაინიშნა, სიტყვის კაცია - ყოველწლიურად ამტკიცებს, რომ ესპანეთში „ბარსელონაა“ საუკეთესო. ახლა კი იოჰან კრუიფის დროინდელი გუნდის რეკორდის გამეორებაც შეუძლია - „მფრინავმა ჰოლანდიელმა“ კატალონიური გრანდი გააჩემპიონა 1991, 1992, 1993 და 1994 წლებში.

კრუიფის მიღწევა ექსტრაორდინარულთა კატეგორიიდანაა - პრიმერაში მხოლოდ ორი (უკეთესი) შემთხვევაა დაფიქსირებული, მადრიდის „რეალმა“ 1961 წლიდან ზედიზედ ხუთი ტიტული მოიგო და იგივე 80-იან წლებში გაიმეორა - 1986 წლიდან მოყოლებული ზედიზედ ხუთჯერ მოიგო ლა ლიგა.

ევროპული ანალოგების ძიებაში

ახლა ვნახოთ, როგორ არის საქმე ამ მხრივ ევროპის მოწინავე საფეხბურთო ქვეყნებში. ინგლისში ასეთი შემთხვევა საერთოდ არ ყოფილა - ზედიზედ სამჯერ მოიპოვეს ტიტული „ჰადერსფილდ თაუნმა“, „არსენალმა“, „ლივერპულმა“ და „მანჩესტერ იუნაიტედმა“ (ორჯერ). იგივე სიტუაციაა გერმანულ ბუნდესლიგაშიც - სამ-სამჯერ ზედიზედ მოიგეს პირველობა „ბაიერნმა“ (სამჯერ) და მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“.

იტალიაში ამ სეზონში „მილანს“, რომ არ მოეგო თანაქალაქელ „ინტერს“ საოცარი მიღწევა ექნებოდა საამაყოდ - თუმცა „ინტერმა“ ზედიზედ ხუთი ჩემპიონატის მოგება იკმარა. 30-იან წლებში უნდა დავბრუნდეთ, რომ სერია A-ს სხვა გუნდი გავიხსენოთ, რომელმაც ზედიზედ ხუთი ტურნირის მოგება შეძლო - ეს „იუვენტუსია“. 40-იან წლებში ტურინის მეორე გუნდმა, „ტორინომ“ ზედიზედ 4 ტიტული მოიგო.

80-იანი წლების ბოლოდან მარსელის „ოლიმპიკმა“ ზედიზედ 4 ლიგა 1 მოიგო, მაგრამ „ლიონთან“ ახლოსაც ვერ მივა მოწინავე საფეხბურთო ქვეყნებში (ვგულისხმობთ ხუთეულს) - 2003 წლიდან მოყოლებული 2008 წლის ჩათვლით (6 ჩემპიონატი) „ლიონი“ ფრანგული ოლიმპოდან ვერავინ ჩამოაგდო.

პეპის მეგოლეები

მას შემდეგ, რაც გუნდს სათავეში ხოსეპ გვარდიოლა ჩაუდგა, „ბარსამ“ ჯამში 449 გოლი გაიტანა, აქედან 138 **ლეო მესის** ანგარიშზეა და, ბუნებრივია, ის კლუბის ბომბარდირია სამი სეზონის ჯამში. საოცარია, როგორი პროგრესიით მიდის არგენტინელის ბომბარდირული მაჩვენებლები: პეპისთვის პირველ სეზონში ლეომ 38 გოლი გაიტანა, შემდეგ - 47 და ბოლოს - 53!

გვარდიოლას ერთ-ერთი აღმოჩენა - **პედრო როდრიგესი** ბომბარდირთა დავაში მეორეა - 45 გოლით, მესამეზე **ბოიან კრკიჩია** - 29. სხვათა შორის, 20 წლის კრკიჩი ერთ რამეში ყველას სჯობს, მათ შორის მესისაც, მას გოლის გასატანად ყველაზე ნაკლები დრო ესაჭიროება მოედანზე. „ბარსას“ დღევანდელი კონტინგენტიდან მეოთხე ადგილზე **დავიდ ვილიამ** გადაინაცვლა, რომელსაც ზურგს მხოლოდ ერთი სეზონი უმაგრებს - 23 გოლი.

ვილიაზე მეტი აქვთ გატანილი ფეხბურთელებს, რომლებიც აღარ ირიცხებიან კატალონიურ გრანდში - კამერუნელმა **სამუელ ეტოომ** 36 გოლი გაიტანა. არადა, გვარდიოლას გუნდში სულ ერთი სეზონი დაჰყო. **ტიერი ანრიმ** 30 გოლი გაიტანა, აქედან 26 2008/09 წლების სეზონში, ოთხი კი მომდევნოში.

გვარდიოლას გუნდში გოლები მხოლოდ ფორვარდებს არ გააქვთ - მცველებმა და ნახევარმცველებმა ჯამში 109 გოლი გაიტანეს. მათგან გამორჩეული **ჩავია**, რომელმაც სამ სეზონში 22 გოლი მიითვალა, შემდეგ მოდის **სეიდუ კეიტა** - 18. მცველებიდან **დანი ალვესსა** (13) და **ჟერარდ პიკეს** (11) გამოვარჩევთ. „ბარსელონა B-დან“ ძირითად გუნდში 8 გოლი გაიტანეს, აქედან 4 **ტიაგო ალკანტარას** ანგარიშზეა.

სულ კი 449 გოლი 29 ფეხბურთელის ანგარიშზეა.

● ვალენსია

პარეხომ რეალიც ახეირა და ხეტაფეც

გუშინ „ვალენსიას“ ოფიციალურმა საიტმა დაადასტურა ტრანსფერი, რომლის შესახებ ადრეც ვწერდით - „ღამურებმა“ „ხეტაფეს“ 22 წლის ნახევარმცველი **დანიელ პარეხო** გადაიბირეს. პარეხო ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს, რომელსაც ვადა 2016 წლის ივნისის ბოლოს გაუვა. „ვალენსია“ მადრიდულ კლუბს პარეხოს სანაცვლოდ 6 მილიონ ევროს გადაუხდის.

პარეხოს ხელში ჩასაგდებად „ვალენსიას“ ჯერ „რეალთან“ მოუწია მოლაპარაკების გამართვამ. საქმე იმაშია, რომ პარეხომ ამ გუნდში 4 წელი გაატარა და „რეალს“ პარეხოს გამოსყიდვის ექსკლუზიური უფლება ჰქონდა. ასე რომ, პარეხოს ტრანსფერიდან „რეალმაც“ იხეირა - თანხის 30% მას დარჩა.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

● ინტერვიუ. კრიშტიანო რონალდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიშტიანო რონალდო რეალს და მადრიდს სიყვარულს ეფიცება

ლისაბონში მყოფი კრიშტიანო რონალდო „კადენა კოპეს“ გაესაუბრა. ინტერვიუში პორტუგალიელმა კატეგორიულად უარყო ხმები მისი „მანჩესტერ სიტიში“ ან სხვა რომელიმე კლუბში სავარაუდო გადასვლის შესახებ. 26 წლის რონალდომ გასული სეზონი გააანალიზა და ჟოზე მოურინიო შეაქო.

- „რეალმა“ ვერც წელს შეძლო ჩემპიონთა ლიგის მოგება, თუმცა კი მიზანთან ახლოს მივიდა...

- მსურს, „რეალთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგა მოვიგო, რომელიც გუნდისთვის საიუბილეო, მეათე იქნება. ძალიან კარგად ვიცი, რა ხდებოდა ბოლო სეზონებში მადრიდში და, დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ქალაქი გარეთ გამოვა, თუკი ჩვენ ჩემპიონთა ლიგას მოვიგებთ. მაგრამ არ შეიძლება მხოლოდ ამ მიზნით ცხოვრება, ეს ოცნების ასრულებას გაგვირთულებს, რადგან ცნობილია, რომ სჯობს რაც შეიძლება ნაკლებად შებოჭილმა ითამაშა და, ადრე თუ გვიან, ჩვენ აუცილებლად მოვიგებთ მეათედ ჩემპიონთა თასს.

- რას ელით მომავალი სეზონისგან?

- დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ სეზონში ბრწყინვალე მოგებები გველის. ბიჭებს ამაში ეჭვიც არ გვეპარება, ისევე, როგორც ჩვენს მწვრთნელს, რომელიც ყოველ კლუბში, სადაც მოღვაწეობდა, მეორე წელს უფრო დიდ მიზნებს აღწევდა, ვიდრე სადებიუტო სეზონში. სხვათა შორის, ჩემთვისაც მეორე სეზონი „რეალში“ გაცილებით ხავრიელი გამოდგა. გჯეროდეთ, ტიტულები იქნება - ჩვენ იმის პოტენციალიც გვაქვს, რომ ყველა ტურნირი მოვიგოთ, სადაც კი ვითამაშებთ.

- რას იტყვით ჟოზე მოურინიოზე?

- მოურინიომ უკვე დაამტკიცა, რომ საუკეთესოა სხვადასხვა მოწინავე ლიგაში მოღვაწეობით. საუკეთესო სწორედ ისაა, ვინ ამას არაერთხელ დაამტკიცებს. ჩვენს მწვრთნელს ძლიერი ხასიათი აქვს, მისი მენტალიტეტი გამარჯვებული ადამიანისაა. მასთან მუშაობა ძალიან მომწონს და მსურს, რაც შეიძლება დიდხანს დარჩეს „რეალში“. ეს უკვე ფაქტია, რომელიც ყველამ დაიჯერა - მოუ დიდი პროფესიონალია. მოურინიოსთან ერთად ჩვენ ყველანი კიდევ „გავიზრდებით“.

- ბოლო დროს ხშირად გაიგებთ, რონალდო საოცარი ხელფასის სანაცვლოდ „რეალს“ დატოვებსო...

- არა, „რეალის“ დატოვებას არ ვაპირებ. ყოველ შემთხვევაში, ახლა არა. „რეალი“ „ბარსელონას“ მადრიდის გამო ვარჩიე, სადაც თავს ბრწყინვალედ ვგრძნობ. ჩემი ნება რომ იყოს „სამეფო კლუბთან“ 10-წლიან კონტრაქტს მოვაწერდი ხელს და კარიერასაც იქ დავასრულებდი. „რეალი“ ყოველთვის მომწონდა, „ბარსელონაში“ და სხვა კლუბებში გადასვლის შანსი მქონდა, მაგრამ „რეალი“ სულ სხვაა. როცა გადაწყვეტილებას ვიღებ, ფული მთავარი არაა.

- „რეალში“ ახალი სეზონიდან ახალწვეულები იქნებიან, რას იტყვით მათზე?

- ახალწვეულებს პირადად ძალიან კარგად დავხვდები და მათ ჩემი დახმარების იმედი უნდა ჰქონდეთ. კალეხონმა ლა ლიგა ძალიან კარგად იცის, ხოლო შაჰინი და ალთინთოფი დიდი პოტენციალის ფეხბურთელები არიან.

- ჯერ არ გადაწყვეტილა ადებაიორის საკითხი, თქვენი ნება, რომ იყოს, რას იზამდით?

- ძალიან ვაფასებ ემანუელ ადებაიორს. ის არა მარტო კარგი ფეხბურთელია, არამედ კარგი მეგობარიც. ის და მარსელო გუნდში ხალისის შემომტანნი არიან.

- ამბობენ, „რეალში“ შეიძლება აგუერო, ნეიმარი და კოენტრაუ ვიხილოთ, მათზე რას გვეტყვით?

- კუნ აგუერო და ნეიმარი ძალიან კარგი ფეხბურთელები არიან. კუნი უკვე ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში, ხოლო ნეიმარი მომავალში გახდება მსოფლიო დონის ვარსკვლავი. კოენტრაუზე რა გითხრათ - ის ჩემი მეგობარია და ჩემი აზრით, ახლა პორტუგალიურ ლიგაში მოთამაშე საუკეთესო პორტუგალიელი ფეხბურთელია. ძალიან ამბიციურია და მოურინიოს მისი ეს თვისება ყველაზე მეტად მოსწონს. ვფიქრობ, კოენტრაუ „რეალის“ კარგი შენაძენი იქნება.

საირმეს დაბადება 40 წლის შემდეგ
განახლებული კურორტი საირმე!

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მიმდინარე წლის ივლისში განახლებული კურორტი საირმე უკვე პირველ დამსვენებლებს მიიღებს. სამკურნალო, მინერალური და თერმული წყლებით მდიდარი საბადოები, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები, მთის კლიმატი – ეს ყველაფერი ერთად გვხვდება ბალნეოლოგიურ კურორტ საირმეში, რაც მას მთელ ევროპაში გამოარჩევს და უნიკალურს ხდის.

3-ვარსკვლავიანი სასტუმრო, რომელიც მსოფლიო სტანდარტებს პასუხობს სასტუმრო კომფორტული ნომრებით-ყველა ნომერში არის ტელეფონი, საკაბელო ტელევიზია, სწრაფი ინტერნეტი და სრული საყოფაცხოვრებო კომფორტი, თანამედროვე ავეჯით.

ბუნებრივი თერმული წყლების კურორტი უდაბნო - ევროპული სტანდარტების სპა ცენტრი.

უფრო მეტს, საირმის განახლებული კომპლექსის შესახებ ვებგვერდის:
www.sairme.com.ge
შეიტყობთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა. დისკვალიფიკაცია



დათუნაშვილი სამი წლით მოკვეთეს

არასპორტული საქციელისთვის დასჯილ ქართველ სპორტსმენთა რიგებს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე **გიორგი დათუნაშვილიც** მიემატა, რომელიც საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ სამწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ასეთი სასჯელი სპორტსმენმა გივი კარტოზიასა და ვახტანგ ბალავაძის სახელობის „ოქროს დიდ პრიზზე" ჩადენილი არასპორტული საქციელისთვის დაიმსახურა - მეოთხედფინალში ირანელ **საეიდ აბდვალისთან** შეხვედრაში მსაჯ **ალეკო პატარქალიშვილს** ხელი დაარტყა. ჩხუბი დიდ არეულობაში გადაიზარდა, მასში ტრიბუნებიც ჩაერთნენ, თუმცა ინციდენტი მალევე განიმუხტა.

დათუნაშვილი სამუდამო დისკვალიფიკაციას მხოლოდ იმიტომ გადაურჩა, რომ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის დებულება მსგავს უმკაცრეს განაჩენს არ ითვალისწინებს. თუმცა ფედერაცია ამ ხარვეზის გამოსწორებას აპირებს და მომავალში არც ასეთი სახის სასჯელია გამორიცხული. ამ სამი წლის განმავლობაში დათუნაშვილი ვერც ოფიციალურ ტურნირებში იჭიდავებს და ვერც ნაკრებთან ერთად ივარჯიშებს. თან დააკვირდებიან და თუ ისევ ჩაიდენს არასპორტულ საქციელს, მაშინ სანქციებიც გამკაცრდება და არაა გამორიცხული, მერე უკვე სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯონ.

სამწუხაროდ, სპორტსმენთა მხრიდან დისციპლინის დარღვევის ფაქტები ბოლო ხანებში ძალიან გახშირდა. ან იქნებ არც მოუმატია, უბრალოდ, ადრე მალავდნენ და მსგავს ფაქტებზე არავინ ლაპარაკობდა, ახლა კი წესრიგის დამრღვევთა დასჯის მოთხოვნით სპორტის მმართველი ორგანოები გამოდიან. ფეხბურთსა და ძიუდოში გატარებული უმკაცრესი სადამსჯელო ღონისძიებების შემდეგ, როცა რამდენიმე სპორტსმენი სამუდამოდ მოკვეთეს სპორტიდან, ეტყობა, უკვე ჭიდაობის ჯერი დადგა. ამ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით კი გეტყვით, რომ გიორგი დათუნაშვილი შედარებით ახალი კადრია ბერძნულ-რომაულ ნაკრებში. ქომაგი უფრო კარგად მის ძმას, 74 კილოგრამში ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთ ლიდერ **ზურაბ დათუნაშვილს** იცნობს, რომელიც ათიოდ დღეში ევროპის ჩემპიონატზეც იჭიდავებს.

ირაკლი თავაძე

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

1 ივნისის ნომერში ლელო წერდა:

„ჩვენი საზოგადოება სამართლიანადაა შეშფოთებული იმით, რაც ქართულ სპორტში ბოლო დროს ხდება. ერთმანეთის მიყოლებით თავჩენილი ზღვარგადასული ემოციები და ღირსების გაკრიმინალება სპორტის არაერთ სახეობაში დაფიქსირდა. ამ ამბების პარალელურად საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი ათლეტების ხელმოცარვა კი, გინდა არ გინდა, ეროვნული სპორტის ქომაგში იმის ეჭვს ბადებს, რომ ნაკრებ გუნდებში დისციპლინა თვითდინებაზეა და უპასუხისმგებლობაც აშკარაა.

ზემოხსენებულ ამბებთან დაკავშირებით საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ არაერთ პიროვნებას უკვე გაუჩნდა სურვილი, „ლელოს" მეშვეობით თავისი გულისტკივილი გაგვიზიაროს: „ილუპება ქართული სპორტი!"

არა, ჩვენ ასე ნამდვილად არ ვფიქრობთ, საშიშროებას კი ვგრძნობთ. ვაღიარებთ და ვადასტურებთ, რომ საფრთხის ფესვები დაუხანებლად უნდა ამოიძირკვოს. ნურავინ იფიქრებს, რომ ეს ფესვები მხოლოდ ნაკრებ გუნდებში ან ცალკეულ კლუბებშია. ასე რომ, ყველგან - სპორტსმენთა აღზრდა-დაოსტატების ყველა დონეზე და თითოეულ რგოლშია აუცილებელი მუშაობის სისტემის გარდაქმნა და სრულყოფა, პასუხისმგებლობის ამაღლება"...

ლ

ხელმოწერის მსურველთა საყურადღებოდ!

„ლელოზე" ხელმოწერის გასაფორმებლად ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ ჩვენი საგამომცემლო სახლის სააგენტოს ელვა.ჯი. სურვილის მიხედვით სააგენტოს წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ ორგანიზაციაში ხელმოწერის ნებისმიერი რიცხვიდან გასაფორმებლად. გაზეთის დროული და უკლებლივ მოწოდება გარანტირებულია.

დარეკეთ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი.

მშვილდოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

შემადგენლობა ოფიციალურად გაცხადდა

საქართველოს მშვილდოსანთა ნაკრების კორეელმა მწვრთნელმა **ან იონ სეუნმა** ოფიციალურად დაასახელა ქალთა გუნდის შემადგენლობა, რომელიც 3-10 ივლისს ტურინში მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებს: **ხათუნა ნარიმანიძე, ქრისტინე ესებუა, ასმათ დიასამიძე**. არსებითად, მან ეს სამეული ადრევე შეარჩია, მაგრამ ანთალიაში ჩატარებულ მსოფლიოს თასს მაინც დაელოდა. იმის მიუხედავად, რომ იქ **ლანა ვერულიძემ** ურიგოდ არ იასპარეზა - შესარჩევში მხოლოდ ნარიმანიძეს ჩამორჩა, პლეი ოფში კი ერთადერთი იყო ჩვენი გუნდიდან, ვინაც ორი რაუნდი გაიარა, მწვრთნელმა ადრინდელ განაცხადში ცვლილება მაინც არ შეიტანა.

კორეელის გადაწყვეტილებით, ტურინში მხოლოდ ქალთა ნაკრები გამოვა, რადგან ვაჟების მაჩვენებლები იმდენად ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტებს, მათი წაყვანა უაზრობაა. ტურინში ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის ლიცენზიებიც თამაშდება, რისთვისაც მთავარია არა ადრინდელივით პირად პირველობაში, არამედ გუნდურში მოპოვებული წარმატება - აქ ნაკრებმა პლეი ოფში ერთი წრე მაინც უნდა გაიაროს ანუ რვა საუკეთესოს შორის მოხვდეს. ამ შემთხვევაში საგზური მის სამივე წევრს გადაეცემა.

შეგახსენებთ, რომ გუნდურ პირველობაში პლეი ოფში 16 საუკეთესო გუნდი გადის. ჩვენებს ამ სიაში მოხვედრა არ უნდა გაუჭირდეთ, მაგრამ საჭიროა, რაც შეიძლება მაღალი ადგილით შევიდეთ, პლეი ოფში უფრო სუსტ მეტოქეს რომ შევხვდეთ. თუ იმ რვა მოწინავე გუნდს შორის ბრიტანეთიც მოხვდება, რომელსაც მასპინძლობის გამო საგზურები ავტომატურად ეკუთვნის, მაშინ IX-XVI ადგილებზე გასული გუნდები დამატებით ცალკე ტურნირს ჩაატარებენ, მისი გამარჯვებული ნაკრები კი ასევე მიიღებს ლიცენზიას. დაგვეთანხმებით, ახლებური წესით საგზურის მოპოვება ბევრად გართულებულია ადრინდელთან შედარებით, როცა ლიცენზიას ჯერ პირად პირველობაში 64, მერე კი 44 მონაწილე იღებდა. ახლებური წესის ერთადერთი უპირატესობა ისაა, რომ ახლა თუ ამ ბარიერს დასძლევ, ერთბაშად სამ საგზურს იღებ, მაშინ კი ყველას ცალ-ცალკე უნდა მოეპოვებინა. ოლიმპიადაზე სამი მონანილე იმას ნიშნავს, რომ იქაც შეგეძლება გამოსვლა გუნდურ პირველობაში. აქვე შეგახსენებთ, რომ მშვილდოსან ქალთა ნაკრები დღემდე ერთადერთია, ოლიმპიადაზე გუნდურ პირველობაში რომ გამოსულა - სიდნეიში.

ჩვენები იტალიაში 22 ივნისს გაფრინდებიან და ჩემპიონატის დაწყებამდე ტურინში შეკრებას გაივლიან. ოფიციალური ვარჯიში 3 ივლისსაა დანიშნული, შესარჩევი ეტაპის შეხვედრები კი 4-5 ივლისს გაიმართება. თუმცა მანამდე - 1-2 ივლისს ტურინში მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი გაიმართება, რომელსაც ჩვენი ფედერაციის გენერალური მდივანი **არტემ სანიშვილი** დაესწრება.

ირაკლი თავაძე

პროფესიული კრივი

მისტერ ნოკაუტი ნოკაუტში

დღეისათვის ერთადერთმა ქართველმა მსოფლიოს ჩემპიონმა პროფესიონალ მოკრივეებში, **ავთანდილ ხურციძემ** წარმატებით შეინარჩუნა ტიტული. კრივის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBO) ქამრისათვის ბრძოლაში „ჩაქუჩას" მეტოქე კიევის სპორტის სასახლეში კოლუმბიელი **დიონისიო მირანდა** იყო. ორთაბრძოლა 3 წუთსაც კი არ გაგრძელებულა, ჩვენებურმა ერთხელ ნოკდაუნში, შემდეგ კი ნოკაუტში გაგზავნა სამხრეთამერიკელი. ბრძოლის შემდეგ უკრაინულ არხთან საუბარში ხურციძემ აღნიშნა, რომ ჩინებულ ფორმაშია, მეტოქე შესწავლილი ჰყავდა და საბოლოო გამარჯვებას გეგმავდა, თუმცა მაინც არ მოელოდა, რომ ყველაფერი ასე მალე და იოლად დასრულდებოდა.

ავთანდილ ხურციძეს პროფესიულ რინგზე 29 ორთაბრძოლიდან 25 მოგებული აქვს (2 ფრე და 2 წაგება). ნოკაუტით კი მან თავისი მე-15 მატჩი მოიგო. არადა, მეტსახელი „მისტერ ნოკაუტი" სწორედ მირანდას შეარქვეს (რომელსაც 21შეხვედრიდან 18 ნოკაუტი აქვს მოგებული).

სამი თვის წინათ თბილისის სპორტის სასახლეში ქუთაისელმა **ავთანდილ ხურციძემ**, რომელსაც კრივის სამყაროში „ტორნადოდ" იცნობენ, პოლონელი **მარიუშ სენდროვსკი** 12-რაუნდიან ბრძოლაში დაამარცხა და IBO-ს (კრივის საერთაშორისო ორგანიზაცია) ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. „ტორნადომ" მაშინ, გამარჯვების მიუხედავად, გულშემატკივრებს პირობა - მეტოქეს ნოკაუტით მოვუგებო, - ვერ შეუსრულა. სამაგიეროდ, როგორც ვნახეთ, კიევის სპორტის სასახლეში მიაღწია საწადელს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ვაჟა დანელია

განცხადება

საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაცია მ. წ. 30 ივნისს ატარებს რიგგარეშე ყრილობას ფედერაციის ახალი პრეზიდენტის არჩევასთან დაკავშირებით.

პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე განცხადება მიიღება 25 ივნისამდე სამბოს ფედერაციაში.

მისამართი: ჭავჭავაძის 49 ა.

სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ძალაძების და რაიონების საყურადღებოდ!

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი ყველასათვის

მკლავთა ჭიდილი

14 ივნისს, საქართველოში ინვალიდების უფლებების დაცვის დღეს ქუთაისში შესაძლებლობაშეზღუდულთათვის მიძღვნილი რამდენიმე ღონისძიება გაიმართა. 2002 წლიდან ამ დღეს ტრადიციულად ტარდება ტურნირი შესაძლებლობაშეზღუდულ მკლავჭიდელთა შორის. წლეულს ქალაქის ღია პირველობაში ადგილობრივებთან ერთად ფოთელი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. სულ 30 მსურველი ჩაება შეჯიბრებაში, რომელიც საქართველოს ინვალიდთა ფედერაცია „აღორძინება 2002"-ის თაოსნობით და იმერეთის მკლავჭიდისა და ათლეტიზმის ფედერაციის ხელშეწყობით გაიმართა, სპონსორობა კი ქუთაისის მერიამ ითავა.

ფინალურ ორთაბრძოლებს ქუთაისის ვიცე-მერი **დავით გორდელაძე** და ქალაქის საკრებულოს თავჯდომარის მოადგილე **ლევან კირკიტაძე** დაესწრნენ. ისინი შესაძლებლობაშეზღუდულ სპორტსმენებს გვერდში დგომასა და ხელშეწყობას დაჰპირდნენ. კირკიტაძის თქმით **ვახტანგ ახობაძეს**, რომელიც ამ ტურნირშიც გამორჩეული იყო, უკვე დაენიშნა ყოველთვიური სტიპენდია და მიმდინარეობს მუშაობა, რომ შესაძლებლობების ფარგლებში უახლოეს მომავალში სხვა სპორტსმენებიც წახალისდნენ.

ტურნირი საინტერესო სანახავი გამოდგა. ზემოხსენებულმა ვახტანგ ახობაძემ ყველა მეტოქე ძალზე იოლად დაამარცხა. ფინალში კი ელვისებურად, დაახლოებით ხუთ წამში გაიმარჯვა - ისე რომ, ფოტორეპორტიორებმა ამ ორთაბრძოლის კადრის გადაღებაც ვერ მოასწრეს.

გამარჯვებულები და პრიზიორები

60კგ. 1. ვახტანგ ახობაძე, 2. გიორგი შურგულაია, 3. დავით რუბენია.

70კგ. 1. ირაკლი თოლორდავა, 2. მირიან ჭანტურია, 3. რევაზ ჩიქოვანი.

+80კგ. 1. რამაზ შალამბერიძე, 2. ვაჟა ჩინჩალაძე, 3. პაატა გარუჩავა.

მძიმე (მარცხენები): 1. ზურა ბუცხრიკიძე, 2. თემურ აფხაძე, 3. თემურ ჭეიშვილი.

დავით პოხრეიძე
ქუთაისიდან

ჭადრაკი

ხუთწლიანი პროგრამა დაამტკიცეს

სკოლებში სავალდებულო საგნად ჭადრაკის სწავლებას ბოლო დროს მთელ მსოფლიოში უდიდესი ყურადღება ექცევა. არც არის გასაკვირი, რადგან ექსპერიმენტებით დადასტურდა, რომ იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც ჭადრაკი ისწავლება, მოსწავლეთა მოსწრება და ცოდნის ხარისხი საგრძნობლად მაღალია. ბრიუსელში ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტი **სილვიო დანაილოვი** და მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი **გარი კასპაროვი** განათლების, კულტურის, მრავალეროვნებისა და ახალგაზრდების საკითხებში ევროკავშირის კომისარ **ანდროულა ვასილიოუს** შეხვდნენ და განიხილეს ერთობლივი პროექტი ჭადრაკი სკოლაში. ისინი საბოლოო ვარიანტს ევროპარლამენტს 20 სექტემბერს წარუდგენენ. უნდა ითქვას, რომ საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია (პრეზიდენტი **გია გიორგაძე**) კარგა ხანია, სკოლებში ბრძენთა თამაშის დასამკვიდრებლად იღვწის და წარმატებითაც. სწორედ ამ საკითხზეც იყო მსჯელობა გუშინ ფედერაციის გამგეობის სხდომაზე, სადაც საქართველოში ჭადრაკის განვითარების ხუთწლიანი (2012-2016) პროგრამა დაამტკიცეს.

ფედერაციის პრეზიდენტმა დიდოსტატმა გია გიორგაძემ დამსწრეთ სილვიო დანაილოვის მადლობის წერილიც გააცნო: მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ევროპის საჭადრაკო კავშირის სახელით მადლობა გადაგიხადოთ თბილისში ქალთა მე-12 ინდივიდუალური ჩემპიონატისა და ქუთაისში სწრაფ ჭადრაკში კონტინენტის პირველობის შესანიშნავი ორგანიზებისთვის. ჩვენ ვაფასებთ იმ დიდ შრომას, რომელიც საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ გაწია ამ შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩასატარებლად,- წერს ევროკავშირის თავკაცი.

ვაჟა დანელია

ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა

ქუთაისში 20 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობაზე გუშინ მეოთხე ტურის პარტიები გათამაშდა. გოგონებში ერთპიროვნული ლიდერი **ქეთი წაწალაშვილი** მეორე ადგილზე მყოფ **მერი არაბიძეს** დაუზავდა, თუმცა, ყაიმის მიუხედავად, მეწინავეობა შეინარჩუნა. აი, არაბიძეს კი **მარიამ ჭოლაძის** მძლეველი **სალომე ხაჟომია** წამოეწია და მასთან მეორე-მესამე ადგილებს იყოფს. 2,5 ქულა მოაგროვა **სოფო ხუციძემ,** რომელმაც **მარიამ წულაია** დაამარცხა.

ვაჟებში ისევ ორხელისუფლებიანობაა - **დავით ბენიძესა** და **დავით ლომსაძეს** 3,5-3,5 ქულა აქვთ. გუშინ ისინი ერთმანეთს ყაიმზე შეუთანხმდნენ. 3-3 ქულა მოაგროვეს **ნინო ხომერიკმა** და **ირაკლი ჯანიაშვილმა.** ნინომ **ნოე თუთისანს** აჯობა, ირაკლიმ **ბექა ახალაძე** დაჯაბნა.

დღეს მე-5 ტურში ლიდერთაგან ითამაშებენ: ხაჟომია (3)-წაწალაშვილი (3,5), არაბიძე (3)-ხუციძე (2,5); ბენიძე (3,5)-ხომერიკი (3), ჯანიაშვილი (3)-ლომსაძე 93,5).

- ყველა ორთაბრძოლა დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობს, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ჩემპიონები თანატოლთა შორის მსოფლიოს პირველობის საგზურებს დაიმსახურებენ, - გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა **ალეკო არსენიძემ,** - მოასპარეზეებს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის ყველა პირობა აქვთ შექმნილი. მე-4 ტურიდან განსაკუთრებით წაწალაშვილი-არაბიძის პარტია მინდა გამოვყო. არაბიძემ შუა თამაშში პოზიციურ უპირატესობას მიაღწია, მაგრამ სხვადასხვა ფერის კუთა ენდშპილში წარმატებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და მეტოქეებიც მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს. იმედია, შეჯიბრებას ინტრიგა ბოლო ტურამდე არ მოაკლდება.

ვაჟა დანელია

პლაჟბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი

წარუმატებელი სტარტი

იტალიის დედაქალაქ რომში დაწყებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართული წყვილები **საქა-რთველო** და **გეორ-გია** წარუმატებლად ასპარეზობენ.

ქალთა შეჯიბრებაში საქა-რთველო წილისყრამ D ჯგუფში გაანაწილა. ჩვენმა ფრენბურთელებმა, რომლებიც 28-ე ნომრად არიან განაწილებული, პირველი შეხვედრა ნაკლებად ცნობილ, 45-ე ნომრად განთესილ ნორვეგიულ დუეტ **მაასეიდე-ინგრიდთან** წააგეს ორ სეტში - 19:21, 16:21.

მეორე მატჩში მეტოქე ბევრად ძლიერი იყო, მსოფლიოს ჩემპიონატის ფავორიტი ჰოლანდიური დუეტი **კეიზერი-ვან იზრაელი,** რომელიც მე-4 ნომრადაა განთესილი. საქა-რთველომ ჰოლანდიელებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა ორ სეტში დამარცხდა - 19:21, 19:21.

დღეს ჩვენი დუეტი ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩს 21-ე ნომრად გამწესებულ ფინელ დებ **ნისტრიომებთან** გამართავს.

ორი მატჩიდან ერთი მოიგო და ერთიც წააგო გეორ-გიამ. არადა, ჩვენმა ვაჟებმა, რომლებიც 31-ე ნომრად არიან განთესილი, ასპარეზობა გამარჯვებით დაიწყეს. მათ პირველ თამაშში 42-ე ნომრად განთესილი ავსტრალიელები **ბოემი-კაპა** ორ სეტში დაამარცხეს - 21:16, 21:14.

მეორე შეხვედრაში გეორ-გიამ ვერაფერი გააწყო 18 ნომერ ბრაზილიურ დუეტ **ტიაგო-ჰარლისთან** - 0:2 (13:21, 19:21). დღეს ჩვენი ფრენბურთელები ჯგუფის ფავორიტს, მეშვიდე ნომრად განთესილ ამერიკულ დუეტ ფურბინგერ-ლუცენას ეთამაშებიან.

წიგნის თარო

გამოცემა თბილისის დინამოს დიდებულ გამარჯვებაზე

თბილისის „დინამოს" მიერ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მოპოვების 30 წლის იუბილესადმი მიძღვნილი წიგნი გამოსცა გამორჩენილი ფეხბურთელის, **ვიტალი დარასელიას** ბავშვობის მეგობარმა, აფხაზეთიდან დევნილმა და ამჟამად მოსკოვში მცხოვრებმა **ჯამბულ უბილავამ** ასევე სოხუმიდან და ოჩამჩირიდან დევნილი მეგობრების თანადგომით.

წიგნში გამოქვეყნებულია საინტერესო მასალები 1981 წლის თბილისის დინამოელების შესახებ. კერძოდ, დაბეჭდილია **ვიქტორ პონედელნიკის, ვალენტინ ივანოვის, ლეონიდ ტრახტენბერგის, გენადი ლოგოფეტის, რენატ დასაევის, ანზორ კავაზაშვილის** და სპორტული მიმომხილველის **გიორგი თვალთვაძის** სტატიები და მოსაზრებები. განსაკუთრებით ყურადღება გამახვილებულია **დავით ყიფიანის** როლზე თბილისის „დინამოს" უდიდეს წარმატებაში, მის რთულ და საინტერესო ცხოვრებაზე. წარსულში მოსკოვის „სპარტაკისა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების ცნობილი ფეხბურთელი გენადი ლოგოფეტი წერს, რომ 1982 წლის დასაწყისში მან ცნობილ ფეხბურთელთან და მწვრთნელთან **ვლადიმერ ფედოტოვთან** ერთად სთხოვა სსრკ-ის ნაკრების მწვრთნელს **კონსტანტინე ბესკოვს,** მიეწვია დავით ყიფიანი ნაკრებში და მას ეთამაშა ტანდემში **იური გავრილოვთან.** ლოგოფეტის სიტყვებით, ბესკოვი და ნაკრების ტრიუმვირატის მეორე მწვრთნელი **ვალერი ლობანოვსკი** არ დასთანხმდნენ ამ წინადადებას და ესპანეთში მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანეს მხოლოდ გავრილოვი.

ცნობილია, რომ 1982 წლის გაზაფხულზე საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოებისა და სპეციალისტების გამოკითხვებით დავით ყიფიანი შედიოდა პლანეტის ხუთ საუკეთესო ფეხბურთელს შორის და მისმა არმიწვევამ სსრკ-ის ნაკრებში და არწაყვანამ ესპანეთში მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია მთელ ევროპაში. მაშინაც სპეციალისტები საბჭოთა კავშირში და დასავლეთში აღნიშნავდნენ, რომ ბესკოვმა და ლობანოვსკიმ დაუშვეს სერიოზული შეცდომა, როდესაც დავით ყიფიანი არ მიიწვიეს ნაკრებში.

"ლელოს" მკითხველებს შევახსენებთ, რომ სსრკ-ის ნაკრებში ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშობდა თბილისის „დინამოს" 4 ფეხბურთელი: **ალექსანდრე ჩივაძე** („დინამოს" და ნაკრების კაპიტანი), **თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია** და **რამაზ შენგელია.** ესპანეთში არ წაიყვანეს აგრეთვე **ვლადიმერ გუცაევი,** რომელიც 1981 წელს მადრიდში ჩატარებული სუპერტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს: იმ ტურნირში თამაშობდნენ მადრიდის „რეალი", მიუნხენის „ბაიერნი", ჰოლანდიის AZ-67 და თბილისის „დინამო".

წიგნში წარმოშობით ოჩამჩირელი, ამჟამად მოსკოვში მცხოვრები მეცნიერი ომარ ჟვანია წერს, რომ ვიტალი დარასელიას ფეხბურთის სიყვარულთან ერთად ახასიათებდა დიდი შრომისუნარიანობაც. ჟვანია იგონებს, რომ სკოლის მოსწავლე ვიტალი დარასელია ასწრებდა ფეხბურთის თამაშს ოჩამჩირის სპორტსკოლაში და... მუშაობას ადგილობრივ სტამბაში დედასთან ერთად. ვიტალი არიგებდა გაზეთებს წარმოება-დაწესებულებებში, იღებდა ჯამაგირს და ამით შეჰქონდა თავისი წვლილი ოჯახის ბიუჯეტში.

ნიჭიერი და მორიდებული ჭაბუკი თბილისის „დინამოში" 17 წლისა მიიწვიეს. 1976 წლიდან იყო ამ სახელოვანი გუნდის ძირითად შემადგენლობაში.

წიგნში ასევე დაბეჭდილია მასალა თბილისის „დინამოს"' იმდროინდელ ფიზიოთერაპევტ **ანზორ გაბიტაშვილზე,** რომელმაც 1981 წელს დიუსელდორფიდან თბილისში ჩამოიტანა ის ბურთი, რომლითაც დინამოელებმა მოუგეს თამაში „კარლ ცაისს".

წიგნის პრეზენტაციას მოსკოვში ესწრებოდნენ **ვიქტორ ცარიოვი, ალექსანდრ ბუბნოვი, ანზორ კავაზაშვილი, ლევ იაშინის** მეუღლე **ვალენტინა იაშინა,** ფიფას არბიტრი **სერგეი ჰუსეინოვი,** მოსკოვში მცხოვრები ქართველი ფეხბურთელი **ვლადიმერ შელია, ირაკლი გელენავა, გურამ გოგოლაშვილი,** მომღერალი **ირაკლი ფირცხალავა,** ქართული საცეკვაო ანსამბლი „იბერია". ღონისძიების ორგანიზატორი თავად ჯამბულ უბილავა იყო.

თენგიზ პაჭკორია

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ NBA-ᲨᲘ

ᲤᲔᲠᲓᲐ ᲖᲐᲖᲐᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ნაკრების ცენტრი **ზაზა ფაჩულია** ყურადღების ცენტრში 2010-11 წლების NBA-ს პლეი ოფებისასაც მოექცა. მისი დახმარებით „ატლანტა ჰოქსმა“ მერვედფინალიდან **დუაით ჰოვარდის** „ორლანდო მეჯიქი“ გამოაგდო, ხოლო მომდევნო ეტაპზე „ჩიკაგო ბულსთან“ ღირსეულად დამარცხდა.

ზაზამ გულიანი თამაშით „ატლანტას“ ჟურნალ „360“-ის თავფურცელზე მთავარი ადგილი დაიმსახურა (თუმცა მწვრთნელ **ლარი დრიუს** ვერ დააჯერა, რომ სასტარტო ხუთეულშიც იმსახურებდა ადგილს). ჟურნალის მე-18 გვერდზე ფაჩულიას შესახებ საინტერესო სტატიაა, რომლის ავტორი **ტომ ფერდა** შორიდან უვლის...

„თბილისი მე-5 საუკუნეში დაარსდა. იგი საქართველოს დედაქალაქია, უძველესი ისტორიისა და მდიდარი კულტურის მქონე ქვეყნისა, რომლის მოსახლეობა ცნობილია თავისი მტკიცე ხასიათით. ამ მშვენიერ, მთაგორიან რეგიონში, რომელიც სსრ კავშირის ნაწილი იყო, დაიბადა „ატლანტა ჰოქსის“ ცენტრი ზაზა ფაჩულია.

საინტერესოა, როგორ იქცა საქართველოში გაზრდილი ფაჩულია ატლანტაში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ სპორტსმენად? ან როგორ გადააბიჯა თბილისის ქვებით მოკირწყლული ქუჩებიდან საკალათბურთო მოედანზე?

ამერიკელი ახალგაზრდები კოლეჯების ლიგაში თავის გამოჩენით ცდილობენ NBA-ს გუნდების ყურადღების მიპყრობას. ზაზამ სხვა გზით იარა.

- თბილისში, თურქულ სკოლაში ვსწავლობდი, როცა თურქეთის ნაკრები ჩვენს ეროვნულ გუნდთან სათამაშოდ ჩამოვიდა და ჩემს სასწავლებელსაც ეწვია, 14 წლისა ვიყავი, სკოლის ეზოში კალათბურთს ვთამაშობდი. თურქი მწვრთნელები დაინტერესდნენ და სასწავლებლის დირექტორს ჩემი ვინაობა გამოჰკითხეს. შემდეგ ჩემთანაც მოვიდნენ და თურქეთში სათამაშოდ გადასვლა შემომთავაზეს, - იხსენებს ზაზა.

საქმის მშობლებთან განხილვის შემდეგ ზაზამ გადაწყვიტა, რომ დრო იყო მეგობრებს გამომშვიდობებოდა და პროფესიული კარიერისთვის სერიოზულად მიეხედა, რაც ოცნების ახდენისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო.

- ზუსტად ერთ კვირაში, 1998 წლის თებერვალში სტამბოლში ჩავედი, - განაგრძობს ზაზა, - ჩემი მშობლები ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ განათლებას. ამიტომ, თურქეთშიც კარგად ვსწავლობდი, თუმცა ამ ქვეყანაში ჩასვლის მთავარი მიზანი კალათბურთი იყო.

3,5-მილიონიანი საქართველოდან 8-მილიონიან სტამბოლში გადასვლამ ახალგაზრდა ფაჩულიას ცნობიერებაში ერთგვარი კულტურული შოკი გამოიწვია, თუმცა სხვა გზა არ იყო, ახალ გარემოსაც უნდა შეჰგუებოდა, ენაც უნდა დაეხვეწა და ხალხთან ურთიერთობებიც სათანადოდ აეწყო.

მალე იგი „ულქერში“ ჩაირიცხა. უფროსი ასაკის კალათბურთელებთან უწევდა გამოსვლა, იდაყვების მოშველიებითა და მეტისმეტი მონდომების წყალობით კარგად უმკლავდებოდა მათ. სათამაშო დროის მატებასთან ერთად ზაზა კვალიფიკაციასაც იმაღლებდა და სტატისტიკასაც დღითი დღე იუმჯობესებდა. მან „ულქერის“ მაისურა ადრეულ ასაკში მოირგო და სტამბოლელებს 4 წელი ემსახურა. ქართველმა „ულქერში“ 73 მატჩი ჩაატარა და გუნდს პრეზიდენტის თასის მოგებაში ორჯერ დაეხმარა (2001 და 2002 წლებში).

ზაზას ყოველთვის გვერდში ედგა დედა, მარინა.

- დედაჩემიც კალათბურთელი იყო. ამიტომ, სპორტის ამ სახეობას ჩვენი ოჯახი დიდ პატივს სცემდა. მის გარდა კიდევ არაერთი ადამიანი იყო, ვინც პატარაობიდან მეხმარებოდა.

საქართველო პატარა ქვეყანაა, სადაც სპორტის №1 სახეობა ფეხბურთია. თუმცა, როცა სხვა თანატოლებზე ერთი თავით მაღალი ხარ და შენს გენებში კალათბურთია, ფეხბურთზე წინ სპორტის „ტანმაღალ სახეობას“ დააყენებ, როგორც ეს ზაზამ გააკეთა. მაგრამ მხოლოდ მის ოჯახში როდი იყო კალათბურთი პოპულარული - საქართველოს ხომ მდიდარი საკალათბურთო ტრადიციები აქვს:

- სპორტის ეს სახეობა საქართველოში ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. 60-იან წლებში თბილისის „დინამოს“ დიდი წარმატებები ჰქონდა, ხოლო სსრ კავშირის ნაკრებში არაერთი ქართველი ასპარეზობდა, რომლებიც ყოველწლიურად სხვადასხვა სიმაღლეს იპყრობდნენ, - მოკლე ისტორიული ექსკურსის ავტორიც ფაჩულიაა.

13 წლის ზაზა 2 მეტრი სიმაღლისა იყო. ამჟამად 212 სმ-ია. საინტერესოა, რა ასაკში მოიმატა ყველაზე მეტად?

- არ მქონია პერიოდი, სიმაღლეში სწრაფად მომემატებინოს. ნელ-ნელა ვიზრდებოდი, თუმცა ყოველთვის თანატოლებზე მაღალი ვიყავი. სიმაღლე გენეტიკურად მაქვს, მშობლებისგან.

ჰოდა, ტანმაღალი ქართველი NBA-ს სკაუტებმა ადრეულ ასაკში შენიშნეს. ისინი ამბობდნენ: თურქეთში თამაშობს ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელსაც გამოარჩევს თამაშის აგრესიული სტილი, ფიზიკური სიძლიერე და ფარქვეშიდან სროლის სიზუსტე („ულქერში“ 2002-03 წლების სეზონში საშუალოდ 9.4 ქულას აგროვებდა, თამაშიდან 57.5 პროცენტიანი სიზუსტით ისროდა). სკაუტთა შეფასებებზე დაყრდნობით 2003 წლის დრაფტზე ფაჩულია „ორლანდო მეჯიქმა“ 42-ე ნომრად აიყვანა. შედეგად 19 წლის ზაზა საქართველოში დაბადებული მეოთხე კალათბურთელი იყო, ვინც NBA-მდე მიაღწია (სტეფანიას, ცაკალიდისისა და ცქიტიშვილის შემდეგ).

„ორლანდოსა“ და „მილუოკიში“ გატარებული არცთუ ეფექტური ორი სეზონის შემდეგ ზაზა „ატლანტაში“ ჩაირიცხა და პირველივე სეზონში სასტარტო ცენტრად იქცა. 2005-06 წლების სეზონში იგი საშუალოდ 11.7 ქულასა და 7.9 მოხსნას აგროვებდა (78 მატჩში). ჯორჯიის შტატში გატარებული 5 წლის განმავლობაში ზაზამ ფანებში დიდი პატივისცემა, ხოლო თანაგუნდელებში მებრძოლის რეპუტაცია დაიმსახურა. მის შეუპოვრობას არაერთხელ აღუფრთოვანებია „ატლანტას“ ქომაგი, ისე როგორც 2008 წლის პლეი ოფში - ფაჩულიამ ბოსტონელ კევინ გარნეტთან რომ იჩხუბა.

მომდევნო წელს, თვალჩალურჯებულმა ქართველმა „ჰოქსის“ რეკორდი დაამყარა: „მაიამისთან“ 12 ქულა და 18 მოხსნა მოაგროვა და „ატლანტას“ გასვლით საპლეიოფო მატჩებში 12-წლიანი წაგებათა სერია შეაწყვეტინა. მისი ბრძოლოსუნარიანობა თანაგუნდელებსაც გადაედოთ და „ატლანტამ“ „მაიამის“ ბარიერი დაძლია.

ზაზა მოედნის მიღმაც საინტერესოა. ცნობილია მისი მისწრაფება გემრიელი კერძებისა და მოდისადმი. ამ საკითხებში ღრმად ჩახედულობის გამო ზაზა ჟურნალ „ჰუპსის“ სტილისტ-რედაქტორად მიიწვიეს. იგი რესტორნის მფლობელიცაა: დაწესებულებას, რომელიც გემრიელი კერძებითაა ცნობილი, თავიდან „ენო“ ერქვა, თუმცა ზაზამ სახელი შეუცვალა - „5Th Street Cafe“ დაარქვა.

ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲝᲡᲘᲔ

ᲖᲐᲖᲐ ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐ

დაიბადა: 10.02.1984
სიმაღლე: 211 სმ.
წონა: 127 კგ.

ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐ

1999-2003 ულქერი (თურქეთი)
2003-04 ორლანდო
(NBA, 42 ნომერი დრაფტზე)
2004-05 მილუოკი (NBA)
2005-11 ატლანტა (NBA)

ᲕᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ფარს უტევს მე-20 სკოლის ფორვარდი თენგიზ ხუციშვილი

ᲙᲝᲛᲐᲠᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲒᲐᲗᲘᲕᲚᲔᲑᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲐ და განათლების სამინისტროებს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე შეირჩა 8 პრიორიტეტული სახეობა. ყველა სკოლა ვალდებულია, ერთ-ერთი აირჩიოს. პრიორიტეტულ სახეობათა შორისაა კალათბურთიც. სწორედ კალათბურთში დასახელდა დღეს თბილისის გამარჯვებული.

დიღომში მდებარე თბილისის „დინამოს“ საკალათბურთო დარბაზში თბილისის საჯარო სკოლებს შორის საუკეთესოები გამოვლინდნენ. გამარჯვებულები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლადო ვარძელაშვილმა,** მინისტრის მოადგილე **დავით ნამგალაურმა,** კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა** და საქართველოს ეროვნული ნაკრების კალათბურთელმა **თორნიკე შენგელიამ** დააჯილდოეს.

ვაჟებს შორის გამართული ტურნირი ვაკე საბურთალოს რაიონის წარმომადგენელმა „კომაროვის“ სკოლის გუნდმა მოიგო, რომელმაც მთაწმინდა-კრწანისის რაიონის მე-20 საჯარო სკოლა 25:7 დაამარცხა. მესამე ადგილზე კი გლდანი-ნაძალადევის წარმომადგენელი გავიდა. გოგონებში ჩემპიონობა არავის დაუთმო ვაკე-საბურთალოს რაიონის, 192-ე საჯარო სკოლის გუნდმა, რომელმაც ფინალში 18:8 გლდანი-ნაძალადევის გუნდი დაამარცხა. მესამე ადგილზე კი მთაწმინდა-კრწანისის გუნდი გავიდა.

ეს იყო აღნიშნული ტურნირის დასკვნითი დღე, თორემ შეჯიბრებები კარგა ხანია მიმდინარეობს და მასში თბილისის თითქმის ყველა სკოლა მონაწილეობდა. თავდაპირველად რაიონების პირველობები ჩატარდა. თითოეულმა რაიონმა საუკეთესო სკოლა გამოავლინა, რის შემდეგაც გაიმართა ფინალური ტურნირი. ასე და ამგვარად, გამოვლენილია დედაქალაქის საუკეთესო სკოლა, რომელსაც საქართველოს დანარჩენი რეგიონების გამარჯვებულებიც დაემატებიან და ბოლოს ფინალური ტურნირიც გაიმართება, რომელიც საქართველოს საუკეთესო სკოლას გამოავლენს. სპორტისა და განათლების სამინისტროთა მხარდაჭერით ტურნირს ორგანიზებას საქართველოს კალათბურთის ფედერაცია გაუწევს.

ლადო ვარძელაშვილი:

- თბილისის საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის სპორტის 8 სახეობაში შეჯიბრება მიმდინარეობს, რაც ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და სპორტის პოპულარიზაციას უწყობს ხელს. გარდა ამისა, მწვრთნელებს საშუალება აქვთ ნიჭიერი ბავშვები აღმოაჩინონ. მომავალ წელს ტურნირი საქართველოს მასშტაბით ჩატარდება და მასში მონაწილეობას ყველა საჯარო სკოლა მიიღებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ბესიკ ლიპარტელიანი:

- სასიამოვნოა, რომ გამოკითხვის შემდეგ საჯარო სკოლების დიდმა ნაწილმა სათამაშო სახეობებიდან კალათბურთი აირჩია. ეს ტურნირი ხელს შეუწყობს ნიჭიერი ბავშვების გამოვლენას, რომლებსაც მაქსიმალურად დავეხმარებით. ერთი მხრივ ბავშვები სპორტით არიან დაკავებულები, მეორე მხრივ კი სურვილის შემთხვევაში პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბების შესაძლებლობა ეძლევათ.

www.gbf.ge

IRB-ს ერთა თასი

არგენტინასთან ათი ცვლილებაა

დღეს საქართველოს ნაკრები ბუქარესტში IRB-ს ერთა თასის გათამაშებაში მეორე ტურის მატჩს გამართავს. „ბორჯღალოსნების“ მეტოქე არგენტინის A ნაკრები იქნება, რომელმაც პირველი თამაში ჩვენთვის კარგად ნაცნობ პორტუგალიის ეროვნულ გუნდთან 21:25 წააგო.

საქართველოს ნაკრების შოტლანდიელმა თავკაცმა **რიჩი დიქსონმა** გუნდის ძირითადი შემადგენლობა ძირფესვიანად შეცვალა. სამხრეთაფრიკელებთან მოასპარეზე გუნდიდან არგენტინელებს მატჩის პირველი წუთებიდანვე მხოლოდ ხუთი, **ვასილ კაკოვინი, ილია ზედგინიძე, ვიქტორ კოლელიშვილი, ლაშა ხმალაძე** და **ირაკლი ჩხიკვაძე** დაუპირისპირდებიან. ძირითადი შემადგენლობის დარჩენილ ათ მოთამაშეს პირველ მატჩში ან არ უთამაშია, ანაც შეხვედრაში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო.

ეროვნულ ნაკრებში დებიუტი ექნებათ „ყოჩების“ მორაგბეებს, შერკინების კვაჭ **შალვა მამუკაშვილს** და ცხრა ნომერ **გიორგი ბეგაძეს**. განაცხადში არ არიან და არგენტინელებთან არ ითამაშებენ **მალხაზ ურჯუკაშვილი, კარლენ ასეიშვილი, გიორგი ჯიმშელაძე** და **ზვიად მაისურაძე.**

აღსანიშნავია, რომ ამ შემადგენლობით საქართველოს ნაკრებს არასდროს უთამაშია. საინტერესო იქნება, როგორ გაართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას პირველხაზელები კაკოვინი, მამუკაშვილი და „ბარბაროსებიდან“ დაბრუნებული **დავით ქუბრიაშვილი.** დიდი ხნის შესვენების შემდეგ კვლავ ეძლევათ ნაკრებში დამკვიდრების შანსი შუამარბებს **ალექსანდრე თოდუას** და **რეზო გიგაურს.**

ფულბეკ მალხაზ ურჯუკაშვილის ადგილს კი ამჯერად მისი ძმისშვილი, **ბექა ურჯუკაშვილი** დაიკავებს. პირველად ითამაშებენ წყვილში ცხრა ნომერი გიორგი ბეგაძე და მგეზავი **ლაშა ხმალაძე.**

თამაში თბილისის დროით 18 საათზე დაიწყება.

საქართველო: 15. ბექა ურჯუკაშვილი, 14. ლექსო გუგავა, 13. ალექსანდრე თოდუა, 12. რეზო გიგაური, 11. ირაკლი ჩხიკვაძე, 10. ლაშა ხმალაძე, 9. გიორგი ბეგაძე. 1. ვასილ კაკოვინი, 2. შალვა მამუკაშვილი, 3. დავით ქუბრიაშვილი , 4. ილია ზედგინიძე, 5. გიორგი ნემსაძე, 6. სიმონ მაისურაძე, 7. ვიქტორ კოლელიშვილი, 8. დიმიტრი ბასილაია.

16. აქვსენტი გიორგაძე, 17. გოდერძი შველიძე, 18. ვახტანგ მაისურაძე, 19. გივი ბერიშვილი, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. ირაკლი გიორგაძე, 22. ბესიკ ხამაშურიძე.

არგენტინა A: 15. რომან მირალესი, 14. ფერნანდო ლუნა, 13. ლისანდრო გომესი, 12. მაქსიმილიანო ნანინი, 11. ბელისარიო აგუსა, 10. ბენჟამინ მადერო, 9. სანტიაგო მენდესი. 1. ფრანსისკო პიჩინინი, 2. ანდრეს ბორდოი, 3. გერმან არაოზა, 4. ჰუგო შეირანო, 5. სანტიაგო გუზმანიი, 6. იგნასიო პესამი, 7. ტომას დე ლა ვეგა, 8. ანტონიო აუალი.

16. მაურისიო გუიდონე, 17. ფრანსისკო გომეს კოდელა, 18. ფელიპე არანგურენი, 19. ტომას ლეონარდი, 20. მარტინ ლენდახო, 21. სანტიაგო იგლესიასი, 22. ხოაკინ ტუკულეტი.

საბურნირო მდგომარეობა

1. სამ.აფ. კინგზი - 4 ქულა, 2. პორტუგალია - 4, 3. რუმინეთი - 4, 4. ნამიბია - 1, 5. არგენტინა A - 1, 6. საქართველო - 0

IRB-ს ერთა თასი

15 ივნისი

საქართველო-არგენტინა A, რუმინეთი-სამ.აფ. კინგზი, პორტუგალია-ნამიბია

19 ივნისი

საქართველო-ნამიბია, პორტუგალია-სამ.აფ. კინგზი, რუმინეთი-არგენტინა A

ზე რაგბი

ფრანსუა ჰაუგარის ლელო

ოთხმა პლეი ოფი გაინაღდა, სამი იბრძვის

ზე რაგბის რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩა. პლეი ოფში თამაშის უფლება კი ოთხ გუნდს, ბრისბენის „რედსს“, კეიპთაუნის „სტორმერზს“, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზს“და ოქლენდის „ბლუზს“ აქვს განაღდებული. დარჩენილი ორი ადგილისთვის კი სამი, პრეტორიის „ბლუ ბულზი“, დურბანის „ნატალ შარქსი“ და სიდნეის „ვორათაზი“ იბრძვის.

ბოლოსწინა ტურში „ვორათაზმა“ უმოტივაციო დანიდინის „ჰაილენდერზს“ უმასპინძლა და იოლად მოუგო 33:7. სიდნეელებმა ყველაფერი იღონეს საპრემიო ქულის მოსაპოვებლად. მათ მეტოქეს ხუთი ლელო გაუტანეს, რომელთაგან სამი შუამარბის **ტომ კარტერის** ანგარიშზეა.

„ვორათაზი“, რომელიც ახლა 52 ქულით მეშვიდე ადგილზეა, ბოლო ტურში შინ ეთამაშება ასევე უმოტივაციო კანბერის „ბრამბიზს“. მასპინძლები, სავარაუდოდ, აუცილებლად პრემიალური ქულით მოიგებენ, რაც საშუალებას მისცემს, 57 ქულა დააგროვონ და საპლეიოფო ექვსეულში შეაღწიონ.

ამის ალბათობა ძალიან დიდია, რადგან სატურნირო ცხრილში მის წინ მყოფ პრეტორიის „ბლუ ბულზი“ და „ნატალ შარქსი“ ბოლო ტურში ერთმანეთის წინაშე წარდგებიან. ამ მატჩში ფრე ხელს მასპინძლებს, „ლურჯ ხარებს“ აძლევს, თუმცა ეს ხელს არ უშლის „ვორათაზს“, ერთი სიტყვით „ნატალ შარქსმა“ სტუმრად აუცილებლად უნდა მოიგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში პლეი ოფის მილმა დარჩება.

პრეტორიელებმა ბოლოსწინა ტურში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს სტუმრად, კეიპთაუნში „სტორმერზთან“ - 19:16. მატჩი უაღრესად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. პირველი ტაიმი ფრედ 6:6 დამთავრდა. მატჩში გარდამტეხი, 65-ე წუთზე „ბლუ ბულზის“ ცხრა ნომრის **ფრანსუა ჰაუგარის** ლელო აღმოჩნდა. მგეზავმა მორნი სტეინმა გარდასახვა ზუსტად დაარტყა, რასაც ათ წუთში საჯარიმოც მიაყოლა და მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე სტუმრები 13 ქულით დაწინაურდნენ.

„სტორმერზმა“ მატჩის დასკვნით მონაკვეთში შესანიშნავად ითამაშა, თუმცა მაქსიმუმი, რაც მოახერხა, ანგარიშის სამ ქულამდე შემცირება იყო.

დიდი ბრძოლა გადახდა სტუმრად იოჰანესბურგის „ლაიონზთან“ დურბანის „ნატალ შარქსს“. პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლი გუნდი აბსოლუტურად უმოტივაციო „ლომებთან“ 46-ე წუთისთვის 21 ქულით აგებდა - 30:9.

როგორც ჩანს, მასპინძლებმა ნაადრევად ირწმუნეს გამარჯვება, დურბანელებიც მარცხის საფრთხემ გამოაფხიზლა და მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე ანგარიშის გაქვითვა მოახერხეს - 30:30.

სტუმართა გუნდში კვლავ საუკეთესო იყო მგეზავი **პატრიკ ლამბიე,** რომელმაც ერთი ლელო, სამი საჯარიმო და სამი გარდასახვა გაიტანა (20 ქულა). მასპინძელთაგან კი თავი გამოიჩინა მესამეხაზელმა **კობუს გრობელაარმა,** მის ანგარიშზე ორი ლელოა. მგეზავმა **ბუჩ ჯეიმზმა** კი სამ-სამი საჯარიმო და გარდასახვა მიითვალა.

სიმბოლური ნაკრები: 15. ქართლი ბეილი, 14. ჯეი პი პიტერსენი, 13. ტომ კარტერი, 12. პეტ მაკკეები, 11. ზაკ გუილდფორდი, 10. პატრიკ ლამბიე, 9. იანო ვერმაკი. 1. დინ გრეილინგი, 2. სტივენ მური, 3. ჩარლი ფაუნუინა, 4. ბრედ თორნი, 5. ვიქტორ მეტფილდი, 6. კობუს გრობელარი, 7. დევიდ პოქოკი, 8. კირან რიდი.

XVII ტური

A ჯგუფი

ბრამბიზი-მელბურნ რებლზი 32:17, ვორათზი-ჰაილენდერზი 33:7, ფორსი-რედსი 21:24

საბურნირო მდგომარეობა

1. რედსი - 62 ქულა, 2. ვორათზაი - 52, 3. ფორსი - 33, 4. ბრამბიზი - 33, 5. მელბურნ რებლზი - 23.

XVIII ტური

მელბურ რებლზი-ფორის, ვორათაზი-ბრამბიზი

B ჯგუფი

ჩიფსი-ჰარიკენზი 18:18, კრუსეიდერზი-ბლუზი 23:16

საბურნირო მდგომარეობა

1. კრუსეიდერზი - 57 ქულა, 2. ბლუზი - 56, 3. ჰაილენდერზი - 45, 4. ჰარიკენზი - 41, 5. ჩიფსი - 40.

XVIII ტური

ბლუზი-ჰაილენდერზი, ჩიფსი-რედსი, კრუსეიდერზი-ჰარიკენზი

C ჯგუფი

ლაიონზი-ნატალ შარქსი 30:30, სტორმერზი-ბლუ ბულზი 16:19

საბურნირო მდგომარეობა

1. სტორმერზი - 58 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 53, 3. ბლუ ბულზი - 53, 4. ჩიტაზი - 39, 5. ლაიონზი - 25.

XVIII ტური

ბლუ ბულზი-ნატალ შარქსი, ჩიტაზი-სტორმერზი

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

საქართველოს ჩემპიონატი, I ლიგა

პირველი წრე ბათუმმა მოიგო

საქართველოს ჩემპიონატის I ლიგაში პირველი წრის ბოლო, მე-7 ტურის შეხვედრები გაიმართა. ბუნებრივია, რომ განსაკუთრებულ ინტერესს გათამაშების ლიდერების თბილისის „ჯიქებისა“ და „ბათუმი XV“ -ის დაპირისპირება იწვევდა. ორივე გუნდმა ექვსი შეხვედრიდან ექვსივე მოიგო და დიდ დიღომში, „ვისოლის“ სარაგბო სტადიონზე უნდა გარკვეულიყო, რომელი მათგანი არის უმაღლეს ლიგაში დაწინაურების რეალური კანდიდატი.

თამაში რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში წარიმართა, თუმცა გუნდებს ცდა არ დაუკლიათ, რომ შესანიშნავი რაგბი ეთამაშათ. „ჯიქების“ ახალგაზრდა მორაგბეებით დაკომპლექტებულმა გუნდმა ბოლომდე, დიდი ჟინით იბრძოლა, თუმცა ბათუმელთა გამოცდილებას მაინც ვერაფერი მოუხერხეს და 15:24 წააგეს.

შედეგად „ბათუმი XV“ სატურნირო ცხრილში ერთპიროვნულად გალიდერდა. მომდევნო ტურში ბათუმელები სტუმრად დაუპირისპირდებიან აუტსაიდერ ოზურგეთის „არწივებს“, რომელმაც პირველი წრის ბოლო ტურში სტუმრად წააგო „თი ბი სი“-სთან 5:33. ეს უკანასკნელი მეორეადგილოსან „ჯიქებს“ ორი ქულით ჩამორჩება.

„ჯიქები“ მე-8 ტურში ქუთაისის „ბაგრატს“ უმასპინძლებს, რომელმაც ფოთში დაძაბულ ბრძოლაში სძლია „რაინდებს“ - 19:11. ტურის კიდევ ერთ შეხვედრაში „ხულიგანამ“ სამოყვარულო გუნდი დევები დაამარცხა 36:5.

I ლიგა

VII ტური

თი ბი სი-არწივები 33:5, დევები-ხულიგანა 5:36, რაინდები-ბაგრატი 11:19, ჯიქები-ბათუმი XV 15:24

საბურნირო მდგომარეობა

1. ბათუმი XV - 14 ქულა, 2. ჯიქები - 12, 3. თი ბი სი - 10, 4. ხულიგანა - 8, 5. ბაგრატი - 6, 6. დევები - 4, 7. რაინდები - 2, 8. არწივები - 0.

VIII ტური

არწივები-ბათუმი, ჯიქები-ბაგრატი, რაინდები-ხულიგანა, დევები-თი ბი სი

მეტოქეები

კრის კაზიტერი დაბრუნდა

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქეს, შოტლანდიის ეროვნულ ნაკრებს წამყვანი მორაგბე **კრის კაზიტერი** დაუბრუნდა. შეგახსენებთ, რომ „სკოტების“ ერთ-ერთი ლიდერი „ბრიტანელ ლომებს“ ახლდა შარშან გამართულ ტურნეში ნლეულს კი ტრავმებმა დატანჯა და თითქმის მთელი სეზონი გაუცდა.

კაზიტერმა ფორმის აღდგენის მიზნით ასეთ ხერხს მიმართა, -ავსტრალიაში, ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე სარაგბო ქვეყანაში გაემგზავრა და იქ რანგით დაბალი დივიზიონის კლუბში ჩაირიცხა, სადაც ხშირად უწევდა თამაში. ახლახან, კრისი „ნარშავების“ მთავარ მწვრთნელ **ენდი რობინსონს** „გამოეცხადა“ და აცნობა, რომ სრულიად გამოჯანმრთელდა და ჩინებულ ფორმაშია.

„ავსტრალიაში შესანიშნავად მოვემზადე. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მუხლი სრულიად აღარ მაწუხებს. ნაკრები მზადებას მომავალ ორშაბათს გლაზგოში იწყებს და ძალიან მიხარია, რომ ჩვენი მაღალი დონის სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ მომიწევს ვარჯიში. მზადების დასკვნითი ეტაპი აგვისტოში დაიწყება და იმ დროისთვის ვეცდები მაქსიმალურად კარგ ფორმაში ვიყო. კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ იმავეს ეცდება შეკრებაზე გამოძახებული ორმოცივე მორაგბე. ეროვნულ ნაკრებში მსოფლიოს თასზე თამაში, ხომ ნებისმიერი მორაგბის ოცნებაა“- თქვა კრის კაზიტერმა.

msy-gov-ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

გერმანელის პროგრესი

ლონდონსა და ბირმინგემში კვირას გადადებული ფინალები მეორე დღეს გაიმართა, შესაბამისად, ATP-სა და WTA-ის განახლებული რეიტინგები მოგვიანებით გამოქვეყნდა და მას დღევანდელ ნომერში გთავაზობთ.

ლონდონის ფინალში მასპინძელმა **ენდი მიურეიმ ჟო-ვილფრიდ ცონგა** სამ სეტში დაამარცხა და კარიერაში მე-17 გამარჯვებას მიაღწია. ბრიტანელისთვის ეს ტიტული პირველია შარშანდელი ოქტომბრიდან მოყოლებული, სადაც მან ფინალში შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** დაამარცხა.

ბირმინგემში კი **საბინ ლისიცკიმ** გადამწყვეტ მატჩში სძლია **დანიელა ჰანტუხოვას**. ამისთვის მას ორი სეტის ჩატარება დასჭირდა. გერმანელმა ის ჩოგბურთი აჩვენა, რომლითაც 2009 წელს იწონებდა თავს, როცა მსოფლიოს რეიტინგში 22-ე ნომერი იყო. ამის შემდეგ საბინმა სერიოზული ტრავმა მიიღო და კლასიფიკაციაში ძალიან დაბლა დაეშვა. სხვათა შორის, ბირმინგემში მოგებით ლისიცკიმ სერიოზული პროგრესი განიცადა - 110-ე ადგილიდან 62-ე პოზიციამდე აიწია ზემოთ.

ჰანტუხოვასთან ფინალში გერმანელი ძალიან კარგად აწვდიდა - მის მონოდებაზე სულ ცხრა გეიმი გათამაშდა და საბინმა მხოლოდ 11 ქულა დათმო. ლისიცკიმ კარიერაში მეორე ტიტული მოიპოვა, დანიელამ კი, რომელმაც ცოტა ხნის წინ როლან გაროსზე მსოფლიო რეიტინგის ლიდერი **კაროლინ ვოზნიაცკი** გამოთიშა ბრძოლას, წელს ფინალში მეორედ ითამაშა, თუმცა ტაილანდის ქალაქ პატაიაში ნაჩვენები შედეგის გამეორება ვერ შეძლო.

ATP

AEGON Championships

ლონდონი (ბრიტანეთი). ბალახი
საპრიზო ფონდი: 627 700 ევრო

1/2 ფინალი

ენდი მიურეი (ბრიტ, 2)-ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 5) 3:6, 7:6, 6:4.

WTA

AEGON Classic

ბირმინგემი (ბრიტანეთი). ბალახი
საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი

1/2 ფინალი

საბინ ლისიცკი (გერ)-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) 6:3, 6:2.

რეიტინგები

ATP	
1(1). რაფაელ ნადალი (ესპ)	12 070
2(2). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	12 025
3(3). როჯერ ფედერერი (შვეიც)	9 230
4(4). ენდი მიურეი (ბრიტ)	6 855
5(5). როგინ სიოდერლინგი (შვედ)	4 595
6(6). დავიდ ფერერი (ესპ)	4 150
7(7). ტომას ბერდიხი (ჩეხ)	3 490
8(8). გაელ მონფილსი (საფ)	2 780
9(9). მარდი ფიში (აშშ)	2 335
10(10). ენდი როდიკი (აშშ)	2 200
11(11). იურგენ მელცერი (ავსტრია)	2 175
12(12). ვიქტორ ტროიცკი (სერ)	1 930
13(13). რიშარ გასკე (საფ)	1 925
14(14). სტანისლას ვავრინკა (შვეიც)	1 900
15(15). ნიკოლას ალმაგრო (ესპ)	1 875
16(16). ჟილ სიმონი (საფ)	1 745
17(17). მიხაილ იუჟნი (რუს)	1 740
18(18). ფლორიან მაიერი (გერ)	1 600
19(19). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)	1 585
20(20). ხუან-იგნასიო ჩილა (არგ)	1 475

WTA	
1(1). კაროლინ ვოზნიაცკი (დან)	9 915
2(2). კიმ კლაისტერსი (ბელ)	8 215
3(3). ვერა ზვონარევა (რუს)	7 935
4(4). ნა ლი (ჩინ)	6 196
5(5). ვიქტორია აზარენკა (ბლრ)	5 920
6(6). მარია შარაპოვა (რუს)	5 021
7(7). ფრანჩესკა სკიავონი (იტა)	4 646
8(8). პეტრა კვიტოვა (ჩეხ)	4 018
9(9). მარიონ ბარტოლი (საფ)	3 740
10(10). სამანტა სტოსური (ავსტრა)	3 405
11(11). ანდრეა პეტკოვიჩი (გერ)	3 280
12(12). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	3 210
13(13). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)	3 056
14(15). ა. პავლიუჩენკოვა (რუს)	3 055
15(10). ელენა იანკოვიჩი (სერ)	3 050
16(18). იულია გორგეზი (გერ)	2 560
17(17). კაია კანეპი (ესტ)	2 466
18(19). ანა ივანოვიჩი (სერ)	2 400
19(18). იანინა ვიკმაიერი (ბელ)	2 350
20(20). შუაი პენგი (ჩინ)	2 300

ATP. ფულადი ჯილდოები	
1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	5 853 733
2. რაფაელ ნადალი (ესპ)	4,372,699
3. როჯერ ფედერერი (შვეიც)	2 283 551
4. ენდი მიურეი (ბრიტ)	2,056,319
5. დავიდ ფერერი (ესპ)	1 582 631
6. როგინ სიოდერლინგი (შვედ)	1 165 887
7. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ)	827,661
8. ნიკოლას ალმაგრო (ესპ)	797 419
9. ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ)	696,379
10. სტანისლას ვავრინკა (შვეიც)	645,968
11. რიშარ გასკე (საფ)	638 776
12. ვიქტორ ტროიცკი (სერ)	634,906
13. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)	627,825
14. ბოგ ბრაიანი (აშშ)	611,839
14. მაიკ ბრაიანი (აშშ)	611,839
16. ხუან-იგნასიო ჩილა (არგ)	596 417
17. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)	591,053
18. იურგენ მელცერი (ავსტრია)	579 592
19. ენდი როდიკი (აშშ)	566,550
20. ფლორიან მაიერი (გერ)	562,848

WTA. ფულადი ჯილდოები	
1. ნა ლი (ჩინ)	3 117 713
2. კიმ კლაისტერსი (ბელ)	2 312 066
3. კაროლინ ვოზნიაცკი (დან)	2 068 929
4. ვიქტორია აზარენკა (ბლრ)	1 933 884
5. მარია შარაპოვა (რუს)	1 406 125
6. პეტრა კვიტოვა (ჩეხ)	1 371 134
7. ფრანჩესკა სკიავონი (იტა)	1 270 551
8. მარიონ ბარტოლი (საფ)	964 933
9. ვერა ზვონარევა (რუს)	953 161
10. ანდრეა პეტკოვიჩი (გერ)	751 079
11. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)	693 628
12. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	588 739
13. ფლავია პენეტა (იტა)	570 468
14. მარია კირილენკო (რუს)	542 170
15. შუაი პენგი (ჩინ)	527 331
16. იულია გორგეზი (გერ)	520 416
17. ა. პავლიუჩენკოვა (რუს)	509 712
18. სამანტა სტოსური (ავსტრა)	509 144
19. ელენა იანკოვიჩი (სერ)	506 502
20. ხისელა დულკო (არგ)	493 662

ATP-ის ახალი შეფი ეყოლება

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) პრეზიდენტი **ადამ ჰელფანტი** წლის ბოლოს დატოვებს თანამდებობას, - წერს სააგენტო „როტერი“.

იწურება მისი სამწლიანი ხელშეკრულება, ახლის გაფორმება კი ჰელფანტმა არ ისურვა. ATP-დან წასვლის შემდეგ პრეზიდენტი სხვა სფეროში აპირებს მოღვაწეობას. ATP-ის ხელმძღვანელმა დაარწმუნა ყველა, რომ მას არანაირი პრეტენზია არ აქვს დირექტორთა საბჭოსთან და მისი წასვლა მხოლოდ პროფესიული მიზეზებით არის გამოწვეული.

ასოციაციამ მადლობა გადაუხადა ჰელფანტს წარმატებული სამუშაოსთვის, განსაკუთრებით მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის პერიოდში. იმ რთულ მომენტში ამერიკელმა ჩინოვნიკმა შეძლო კონტრაქტების გაფორმება ორ მსხვილ სპონსორთან.

ჰელფანტის შემცვლელის ძებნას უახლოეს მომავალში დაიწყებენ.

ჩოგბურთი. ტურნირები

ვენუსი გამარჯვებით დაბრუნდა

ლონდონისა და ბირმინგემის ფინალების პარალელურად, ჰოლანდიის ჰერტოგენბოშსა და ბრიტანეთის ისტბურნში უიმბლდონისწინა ბოლო რეპეტიცია დაიწყო.

ჰერტოგენბოშში მამაკაცთა ბადეში ორმა განთესილმა ვერ გააღწია მეორე წრეში, თანაც ერთ-ერთი მათგანი ტურნირის პირველი ნომერი იყო. **ნიკოლას ალმაგრომ** 14 ეისი ჩააწოდა - ორჯერ მეტი, ვიდრე მისმა მეტოქემ **მიხაელ ბერერმა**. თითქმის თანაბარ თამაშში ესპანელს საერთო ჯამში ერთით მეტი ქულაც ჰქონდა აღებული, მაგრამ ამ ჩოგბურთელთა მეორე დაპირისპირებაში მეორედ გერმანელი გამოვიდა გამარჯვებული - ბერერი აგრძელებს ბრძოლას.

წააგო ტურნირის მეექვსე ნომერმა, ფრანგმა **ადრიან მანარინომ**, რომელმაც თანამემამულე **ნიკოლა მაუს** ვერაფერი მოუხერხა. აღსანიშნავია **დმიტრი ტურსუნოვის** მოგება **რობერტ კენდრიკზე**. აღსანიშნავი იმითმ, რომ რუსმა ჩოგბურთელმა ATP-ის ტურნირის ძირითად ბადეში თებერვლის შემდეგ პირველი შეხვედრა მოიგო. არ უნდა დავივიწყოთ **მარკოს ბაღდატისის** გამარჯვება **არნო კლემანთან** მატჩში. კვიპროსელმა შვიდი ეისი ჩააწოდა და ამ ფრანგთან მეშვიდე დუელში მეხუთე გამარჯვებას მიაღწია.

ჰოლანდიური ტურნირის ქალთა ბადეში ნაკლები მოულოდნელობა იყო. როგორც ჩანს, სეზონის პირველ ნაწილში ჩავარდნის შემდეგ ფორმაში შედის იტალიელი **ფლავია პენეტა**. აპენინელს მეტოქედ უკრაინელი **ალიონა ბონდარენკო** ჰყავდა, რომელმაც მაქსიმალურად გაუადვილა საქმე ფავორტს. ბონდარენკომ პირველი მოწოდებით ქულების 55 პროცენტი აიღო, მეორეთი - 50 და ვერც ერთი ეისი ვერ მოაწოდა. ასეთი „სტაბილურობით“ ბალახის კორტებზე წარმატების მიღწევა შეუძლებელია.

დღის მოვლენად შეიძლება მოინათლოს კორტზე **კიმ კლაისტერსის** დაბრუნება. ბელგიელს კარიერაში 41 ტიტული აქვს მოგებული და აქედან მხოლოდ ორჯერ ბალახისასაფრიან კორტებზე. კიმი **მონიკა ნიკულესკუს** ხვდებოდა და პირველ სეტში თავად შეიქმნა სერიოზული პრობლემები. პარტიის მსვლელობისას 4:2 დაწინაურების შემდეგ, ბელგიელმა ზედიზედ სამი გეიმი წააგო, მაგრამ, როცა რუმინელი სეტზე აწვდიდა, კლაისტერსი გონს მოეგო და თავად მოიგო მიჯრით სამი გეიმი, რამაც მას სეტში გამარჯვება მოუტანა. მეორე პარტიაში უფრო მარტივად იყო საქმე, ოღონდ შეხვედრისთვის წერტილის დასმა კიმმა მხოლოდ მეხუთე მატჩბოლიდან მოახერხა. აღსანიშნავია, რომ ბელგიელს აქ 2003 წელს აქვს ტიტული მოგებული და მას შემდეგ პირველად გამოჩნდა ჰერტოგენბოშის ბალახზე. კლაისტერსმა გვაჩვენა, რომ სავსებით ჯანმრთელია - უიმბლდონის წინ ეს ყველაზე მნიშვნელოვანია.

ტურნირის მეორე ნომერმა **სვეტლანა კუზნეცოვამ** საათ-ნახევარში დაძლია მასპინძელ **არანჩა რუსის** წინააღმდეგობა. კლაისტერსის მსგავსად, სვეტლანამაც გაირთულა ცხოვრება, როცა 12-დან შვიდი ბრეიკ-პოინტის გამოყენება ვერ შეძლო. საერთო ჯამში კი ჰერტოგენბოშში კუზნეცოვას მაინც დამაჯერებელი სტარტი გამოუვიდა.

ასევე აღვნიშნავთ **იანინა ვიკმაიერის** გამარჯვებას **ალბერტა ბრიანტიზე** - მეორე სეტი ბელგიელმა „მშრალი“ ანგარიშით მოუგო იტალიელს. მოულოდნელი შედეგებიდან, პირველ რიგში, გამოვყოფთ **კიმიკო დატეს** მოგებას რუს **მარია კირილენკოსთან** მატჩში. ამ უკანასკნელს ბრეიკ-პოინტების რეალიზაციის ძალიან დაბალი პროცენტი ჰქონდა - ცხრიდან ორი და ამის გამო გამოეთხოვა ტურნირს, სადაც ის მეექვსე ნომრად იყო განთესილი.

■ ■ ■

ისტბურნში მამაკაცთა ტურნირზეც პირველმა წრემ რამდენიმე განთესილი ჩოგბურთელი იმსხვერპლა. ერთ-ერთი მათგანი იყო მეორე ნომერი **ალექსანდრ დოლგოპოლოვი**, რომელსაც წლის დასაწყისში ავსტრალიის ღია პირველობაზე გაბრწყინების შემდეგ თამაში არ მისდის. დოლგოპოლოვის მეტოქე **კარლოს ბერლოკი** საკუთარ მოწოდებაზე უფრო შედეგიანი იყო, მეტოქისაზე კი ათი ბრეიკ-პოინტი მიიღო და ნახევარი გამოიყენა. სხვათა შორის, ამ სეზონში უკრაინელმა გრუნტზე არგენტინელ მეტოქეს ძალიან დამაჯერებლად მოუგო, მაგრამ ბალახზე ყველაფერი პირიქით მოხდა.

ტურნირის მეშვიდე ნომერმა **პაბლო ანდუხარმა** 78 წუთში წააგო რუს **იგორ კუნიცინთან**, მაგრამ აქ გასაკვირი არაფერია - ამ ესპანელი ჩოგბურთელის მთავარი წარმატებები გრუნტის საფარს უკავშირდება. ასევე გამოვყოფთ **რადეკ შტეპანეკის** რთულ გამარჯვებას **კოლენ ფლემინგსთან**. საინტერესოა, რომ **ანდრეას სეპისა** და **ტობიას კამკეს** სამსეტიანი მატჩი საათ-ნახევარში ჩაეტია და იტალიელმა საბოლოოდ გამარჯვებულმა დატოვა კორტი.

ქალთა ტურნირში მთავარი მოვლენა იყო **ვენუს უილიამსის** დაბრუნება. სახელოვან ამერიკელს სერიოზული კონკურენტი ჰყავდა გერმანელი **ანდრეა პეტკოვიჩის** სახით. საინტერესო იყო ერთი მომენტი. პეტკოვიჩმა წელს ავსტრალიის ღიაზე დაამარცხა უფროსი უილიამსი და სწორედ იმ მატჩის შემდეგ შეწყდა ამერიკელის კარიერა ოთხი თვით. ასე რომ, ვენუსს რევანშის აღებაზე უნდა ეზრუნა და ეს გამოუვიდა კიდეც - ამერიკელმა სამ სეტში გაიმარჯვა.

დღემ მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა. ავსტრალიელმა **სამანტა სტოსურმა** რუსი **ნადია პეტროვა** დაამარცხა, სხვათა შორის, პირველად მათი შეხვედრების ისტორიაში. **ვიქტორია აზარენკას** კი სერიოზული ბრძოლის გადატანამ მოუწია **შუაი პენგთან** მატჩში. ჩინელმა თითქმის ორი საათი გაძლო, მაგრამ ბოლოს მაინც დანებება მოუხდა. **იარმილა გაიდოშოვას** 12 ეისი არ ეყო **აგნიეშკა რადვანსკასთან** მატჩში, **მარია ხოსე მარტინეს სანჩესმა შაარ პეერი** დაამარცხა, **პეტრა კვიტოვამ** კი ცხრა ორმაგი შეცდომის მიუხედავად გზიდან ჩამოიცილა **ანასტასია სევასტოვა**.

ცურვა

რეკორდი ზვიგენების ფონზე



სარეკორდო გაცურვა

საოცარი ამტანობა გამოავლინა 48 წლის ავსტრალიელმა მოცურავე **პენი პალფრიმ**. ამ ქალმა მარათონულ გაცურვაში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. პალფრიმ კაიმანის ორ კუნძულს - ოაჰუსა და კაუაის შორის 108 კილომეტრი დისტანცია დაფარა და ამისთვის 40,5 საათი დასჭირდა.

გაცურვის დროს ავსტრალიელს არ გამოუყენებია სპეციალური ბადე, რომელსაც ზვიგენებისგან თავდაცვისთვის იყენებენ, არადა, ეს მტაცებლები ადგილობრივ წყლებში მრავლად არიან. დისტანციის გაცურვისას პალფრის საკუთარი გუნდი კატერით თან მიჰყვებოდა და ზვიგენებს იგერიებდა. მაშველების გარდა კატერზე მწვრთნელი **სტივ მიუნატონსი** იმყოფებოდა.

ასევე აღნიშვნის ღირსია ის, რომ პალფრიმ 108 კილომეტრი შეუსვენებლად გაცურა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ჰოკეი. NHL. ჰლეი ოფი. ფინალი

ბოსტონი ზეიმობს

მეშვიდე მატჩი იქნება

„ბოსტონ ბრუინზმა“ გაიმარჯვა მეექვსე მატჩში და გაათანაბრა ანგარიში სტენლის თასის ფინალურ სერიაში. სეზონის ლაურეატი ხუთშაბათს ვანკუვერში მეშვიდე მატჩში გამოვლინდება.

„დალას მავერიქსის“ მიერ NBA-ის ჩემპიონატის ექვს მატჩში მოგების შემდეგ „ვანკუვერსაც“ შეეძლო ნაადრევად დაესრულებინა სეზონი ჰოკეის ეროვნულ ლიგაში. ამისთვის „კენაქსს“ გუშინ ბოსტონში უნდა მოეგო, თუმცა სტატისტიკა კანადური კლუბის წინააღმდეგ იყო. ფინალურ სერიაში ორივე გუნდი ასპროცენტიან შედეგს აჩვენებს საკუთარ მოედანზე. თუ „ვანკუვერმა“ ეს მოგებები დიდი გაჭირვებით მოიპოვა (1:0, 3:2 ო, 1:0), „ბოსტონმა“ საკუთარ კედლებში ორჯერ გაანადგურა მეტოქე (8:1, 4:0). გარდა ამისა, „ბრუინზს“ პლეი ოფში ბოლო 10 მატჩიდან ცხრა ჰქონდა მოგებული.

მეხუთე მატჩში გამარჯვების შემდეგ „ვანკუვერი“ ისე იყო დარწმუნებული საბოლოო გამარჯვებაში, რომ თასის მოგებისადმი მიძღვნილი აღლუმის ტრანსლაციის წინასწარ გაყიდვა მოინდომა. თუმცა ლიგის ხელმძღვანელობამ აუკრძალა კანადელებს ამის გაკეთება, რადგან NHL-ის იურისდიქციის თანახმად, ლიგაში ასეთი რამეები არ იყიდება.

მეექვსე მატჩის წინ ვარჯიში გამოტოვა „ვანკუვერის“ ცენტრფორვარდმა **რაიან კესლერმა**, მაგრამ „კენაქსის“ მთავარი მწვრთნელის **ალან ვინიოს** თქმით, ჰოკეისტს ყველაფერი წესრიგში აქვს, უბრალოდ მას დამატებითი დასვენების დღე გამოუყვეს. ასევე არ მიუღიათ მონანილეობა ბოლო მეცადინეობაში **დენ ჰამჰუისსა** და **ჯეფ ტამბელინის**.

„ბოსტონის“ დამრიგებელი **კლოდ ჟულიენი** ოპტიმისტურად იყო განწყობილი: *„არ მგონია, რომ ბოლო მატჩის წაგების გამო ჩემი ჰოკეისტები პანიკამ მოიცვა. ყველა ჰოკეისტი მაქსიმალურად კონცენტრირებულია. მათ კარგად ესმით შექმნილი სიტუაცია. როცა გარკვეული გამოცდილება გაგაჩნია, იცი როგორ მოიქცე ასეთ კრიტიკულ მომენტებში. ჩვენ კი ასეთი გამოცდილება საკმარისად გვაქვს“*, - თქვა მწვრთნელმა.

ჟულიენი მართალს ამბობდა. უკვე პირველ პერიოდში მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო.

მეექვსე წუთზე **ბრედ მარშანმა** ჩაგდების ზონიდან მოულოდნელი დარტყმით გააწბილა **რობერტო ლუონგო**. 35 წამში ტაბლოზე 2:0 ეწერა - **რიჩ პეევერლიმ** ცენტრალურ ზონაში მიიღო შაიბა, ცისფერი ხაზი გადაკვეთა და შაიბა დასარტყმელად **მილან ლუჩიჩს** დაუტოვა, რომელმაც აჯობა ვანკუვერელთა მეკარეს. მასპინძლებმა ამაზე გაჩერება არ მოისურვეს. ზუსტად ორწუთ-ნახევრის შემდეგ „ბოსტონმა“ რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა: **ენდრიუ ფერენსმა** ძლიერად და რაც მთავარია, ზუსტად გაისროლა ცისფერი ხაზიდან. მესამე გაშვებული შაიბის შემდეგ ლუონგომ კარი სათადარიგო მეკარე **კორი შნაიდერს** დაუთმო. მაგრამ ვერც მან შეაჩერა „დათვების“ შეტევები. მეკარის შეცვლიდან სულ რაღაც ერთი წუთი გავიდა და მასპინძლებმა ანგარიში გამანადგურებული გახადეს: **მაიკლ რაიდერმა ტომაშ კაბერლეს** დარტყმულს დაუხვედრა ყვანჯი. „ვანკუვერი“ მხოლოდ პერიოდის ბოლოსკენ მოვიდა გონს და რამდენიმე სახიფათო შეტევა განახორციელა, მაგრამ ამ წუთებში ბრწყინვალე იყო მეკარე **ტიმ ტომასი**.

და მაინც, ტომასმა ვერ მიითვალა მორიგი „შათაუტი“. მესამე პერიოდის დასაწყისში **ჰენრიკ სედინმა** ერთი საპასუხო შაიბა გაიტანა, ცოტა ხანში კი შეეძლო მეორეჯერაც გამოეჩინა თავი, მაგრამ შაიბა ძელს მოარტყა. „ვანკუვერმა“ ვერ გაიტანა, სამაგიეროდ, კიდევ ერთხელ გაუმართლათ მასპინძლებს - **მარკ რეკიმ** შორეული ძელისკენ გაუშვა შაიბა, სადაც მის გადაცემას **დევიდ კრეისი** გამოეხმაურა - 5:1. მატჩის ბოლოს „ვანკუვერმა“ მეორედ შეძლო ტომასის კარის აღება - შაიბა **მაქსიმ ლაპიერის** ანგარიშზეა. მაგრამ მეტის გაკეთება სტუმრებმა ვერ შეძლეს - 5:2. სერიაში ანგარიში 3:3 გახდა. ასე რომ, სტენლის თასის მფლობელი მეშვიდე მატჩში გაირკვევა.

„ვამაყობ ჩემი პარტნიორებით, - განაცხადა მატჩის შემდეგ სერიის ყველაზე ასაკოვანმა მოთამაშე მარკ რეკიმ. - *ჩვენ ერთ გუნდად ვიბრძოლით, მთელი სეზონი შესანიშნავ ჰოკეის ვაჩვენებდით. დღეს აუცილებლად გამარჯვება გვჭირდებოდა და მიზანს მივაღწიეთ. ახლა წინ გადამწყვეტი მეშვიდე მატჩი გველოდება“.*

„ვანკუვერის“ მთავარმა მწვრთნელმა წაგება ლუონგოს არ გადააბრალა. *„მას გასახდელში არაფერს ვეტყვი. ის პროფესიონალია და მომზადების უმაღლესი დონე აქვს. ის ითამაშებს მეშვიდე მატჩში. ჩვენ წავაგეთ და სამწუხაროდ, ვერაფერს გავაწყობთ. ეს ფურცელი უკვე გადავშალეთ და ახლა მაქსიმალურად კარგად მოვემზადებით საშინაო მატჩისთვის“*, - განაცხადა ვინიომ.

ფინალი. VII მატჩი

ბოსტონი-ვანკუვერი	**5:2**

4:0, 0:0, 1:2

გოლები: 1:0 მარშანი-9 (რეკი, საიდენბერგი), 2:0 ლუჩიჩი-5 (პეევერლი, ბოიჩუკი), 3:0 ფერენსი-4 (რაიდერი, რეკი), 4:0 რაიდერი-8 (კაბერლე), 4:1 ჰ. სედინი-3 (დ. სედინი, ერჰოფი), 5:1 კრეისი-12 (რეკი, კაბერლე), 5:2 ლაპიერი-3 (დ. სედინი, ჰანსენი).

სერია: 3-3

● კალათბურთი

გარბახოსა ნაკრებს დაემშვიდობა

34 წლის ესპანელმა ვეტერანმა **ხორხე გარბახოსამ** სპეციალური პრესკონფერენცია მოიწვია და სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა.

სულ ნაკრების მაისურით გარბახოსას 166 მატჩი აქვს ჩატარებული. მისი საერთაშორისო კარიერა 11 წელს ითვლის. ასე რომ, ხორხე ვერ დაეხმარება ესპანეთის ნაკრებს ევრობასკეტზე, რომელიც ლიტვაში გაიმართება. ამის შესახებ ეროვნული გუნდის დამრიგებელი **სერჯო სკარიოლო** უკვე ოფიციალურად არის ინფორმირებული.

გარბახოსა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონია, 2007 წელს ევროპის ვიცეჩემპიონი, 2008 წელს კი პეკინის ოლიმპიადის ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა. ხორხე ბოლო ათწლეულის განმავლობაში ერთ-ერთ საუკეთესო ესპანელ კალათბურთელად არის მიჩნეული.

წლევანდელი სეზონი გარბახოსამ „უნიკახაში“ ითამაშა, სადაც საშუალოდ 23 წუთში 7.2 ქულასა და 4.2 მოხსნას აგროვებდა.

ხორხე გარბახოსა

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ევრო 2011

UNDER 21

შვეიცარია-ისლანდია	**2:0**
დანია-ბელარუსი	**2:1**

რუსეთი

ტომი-სპარტაკი	**1:1**
ამკარი-ტერეკი	**1:0**
ლოკომოტივი-ნალჩიკი	**3:1**
ზენიტი-როსტოვი	**4:0**
კრილია-ყუბანი	**1:0**
ცსკა-ანჟი	**3:0**
კრასნოდარი-ვოლგა	**4:2**
რუბინი-დინამო	**3:0**

II დივიზიონი

ლ. ენერგია-გაზპრომი	**0:1**
ს. ენერგია-ალანია	**1:1**
ენისეი-ჟემჩუჟინა	**4:2**
სიბირი-ჩერნომორეცი	**0:0**
კამაზ-ტორპედო	**3:2**
მორდოვია-ბალტიკა	**3:1**
ნ. ნოვგოროდი-ფაკელი	**3:1**
შინიკი-ურალი	**1:2**
ტორპედო (ვ)-ხიმკი	**3:3**
დინამო (ბრ)-გაზოვიკი	**1:1**

ესტონეთი

კურესაარე-პაიდე	**1:0**
აიაქსი-ტრანსი	**0:7**
ლევადია-ვილიანდი	**2:1**
კალევი-ფლორა	**0:1**
ტამეკა-კალიუ	**2:3**

კალათბურთი

გერმანია

ალბა-ბამბერგი	**87:67**

რუსეთი

ნ. ნოვგოროდი-ენისეი	**95:68**
კრ. კრილია-სპარტაკი	**101:90**
ლოკომოტივი-უნიქსი	**70:77**

ესპანეთი

ბილბაო-ბარსელონა	**55:64**

ერეკლეს ბიგბლუმინგი

ფენერბაჰჩე-გალათასარაი	**71:72**

ჩოგბურთი

ATP. ისტბურნი

სლაბინსკი-ანდერსონი	**5:7, 3:6**
იანგი-კოქსი	**6:1, 7:5**
შუტლერი-სტახოვსკი	**6:3, 6:2**
მარჩენკო-ჟილი	**6:1, 6:3**
ნიშიკორი-კირილოვი	**7:5, 6:1**
დევარმანი-გარსია ლოპესი	**6:3, 6:4**
ცონგა-ისტომინი	6:2, 7:5
ჰიუიტი-**ო. როხუსი**	2:6, 0:6

ATP. პერტოგენბოში

ნიემინენი-მ. გონსალესი	**7:5, 6:1**
ჰუტა გალუნგი-რაისტერი	**6:2, 3:6, 7:5**
ბოგომოლოვი-შარდი	**3:6, 6:4, 7:6**
რასელი-ხირალდო	**6:7, 3:6**
მალისე-ფალა	**6:3, 6:1**
დოდიგი-ჰაიდერ მაურერი	**6:4, 6:3**
გაბაშვილი-მარტი	**7:6, 6:3**
ჰაასე-ზვერევი	**6:3, 6:4**

WTA. პერტოგენბოში

მარინო-ლარსონი	**5:7, 5:7**
ვინჩი-ჰერცოგი	**6:4, 6:2**
ბერტენსი-ერანი	**6:7, 1:6**
დომინგეს ლინო-დატე	**6:7, 0:6**
დოკიჩი-კუდრიავცევა	**6:0, 6:4**
კლაისტერსი-ოპრანდი	**6:7, 3:6**

WTA. ისტბურნი

მაკაროვა-ლუჩიჩი	**6:1, 3:6, 6:4**
გორჯესი-ივანოვიჩი	**4:6, 3:6**
რეზაი-ბალტაჩა	**2:6, 1:6**
კანეპი-სკიავონე	**6:7, 1:6**
პირონკოვა-ს. უილიამსი	**6:1, 3:6, 4:6**
ბარტოლი-საფაროვა	**6:3, 3:6, 7:6**
ზვონარევა-უოტსონი	**6:3, 6:3**
ჰანტუხოვა-ჟენგი	**6:4, 6:4**
ნა ლი-პაჩეკი	**7:5, 6:4**

● TV პროგრამა

15 ივნისი. ოთხშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 სუპერ-მატჩი. გერმანიის ჩემპიონატი. კიოლნი-ბაიერნი.
12:00 ჩემპიონის გზა. ინგლისის ჩემპიონატი. ბლექპული-მანჩესტერ იუნაიტედი.
14:00 ჩემპიონის გზა. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-აიაქსი.
16:00 სუპერ-მატჩი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. დენ ჰაგი-როდა.
18:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:00 ჩემპიონის გზა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლილი.
21:00 სეზონის შეჯამება. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი.
22:30 სპორტის ვარსკვლავები.
23:00 სეზონის შეჯამება. იტალიის ჩემპიონატი. მილანი.
00:00 ჩემპიონის გზა. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ბილბაო.

GMG-სპორტი

10:00 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. ჩინეთი-გერმანია. შვეიცარია.
12:40 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. იტალია-კუბა. შვეიცარია.
14:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. III დღე. ჰერტოგენბოში. ჰოლანდია (LIVE).
22:00 ცურვა. ხმელთაშუა ზღვის სერია (Mare Nostrum). Iეტაპი. ბარსელონა. ესპანეთი.

SPORT+

04:00 ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. ფინალი. ვანკუვერი-ბოსტონი. მეშვიდე მატჩი (LIVE).

EUROSPORT

14:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).
18:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. III დღე. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).

EUROSPORT-2

18:00 რაგბი. IRB-ის ერთა თასი. შესარჩევი. იაგუარები (არგენტინა)-საქართველო (LIVE).
20:00 რაგბი. IRB-ის ერთა თასი. შესარჩევი. რუმინეთი-აფრიკელი მეფეები (სამხრეთ აფრიკა) (LIVE).
22:00 რაგბი. IRB-ის ერთა თასი. შესარჩევი. ნამიბია-პორტუგალია (LIVE).

● ამბები

ფორმულა 1

მარლბორო ისევ ფერარისთანაა

იტალიურმა საჯინიბო „ფერარიმ“ და თამბაქოს კომპანია „ფილიპ მორისმა“ 2015 წლის ბოლომდე გააგრძელეს მოქმედი ხელშეკრულება.

„სკუდერიას“ მანქანებზე Marlboro-ის ბრენდის რეკლამა 1984 წელს გაჩნდა, რამდენჯერმე შეიცვალა დიზაინი, შარშან კი საერთოდ გაქრა, რისი მიზეზიც ევროკავშირის მიერ თამბაქოს რეკლამაზე დაწესებული შეზღუდვა გახდა.

თუმცა ბრენდის დასახელება დარჩა გუნდის სახელწოდებაში - 2015 წლის ბოლომდე „ფერარის“ სრული სახელწოდება იქნება - Scuderia Ferrari Marlboro.

ლოტუს-რენოს ახალი დირექტორი ეყოლება

„ლოტუს-რენოს“ ხელმძღვანელობამ გუნდის სტრუქტურაში ცვლილების განხორციელება გადაწყვიტა. კერძოდ, თანამდებობას დატოვებს სპორტული დირექტორი **სტივ ნილსენი**.

მან ამ გუნდში 10 წელს იმუშავა. სტივის კონტრაქტი ამ წლის ბოლომდე იქნება ძალაში, ასე რომ, მას შეუძლია სეზონის დასრულებამდე დარჩეს „ლოტუს-რენოში“.

ნილსენის გაშვების გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც A1GP-ის სარბოლო სერიის ერთ-ერთ ხელმძღვანელს **ჯონ უიკჰემს** გუნდში მუშაობის ეფექტურობის შემონმება დაავალეს.

კალათბურთი

მილოცვა შეცდომით

ამერიკულმა გაზეთმა The Miami Herald-მა შეცდომით მიულოცა NBA-ის ჩემპიონობა „მაიამი ჰიტს“. იმ ნომერში, რომელშიც „მაიამის“ მეექვსე მატჩში წაგებაზე იყო მოთხრობილი, სარეკლამო განცხადება გავიდა - მკითხველს სპეციალური საჩემპიონო მაისურების შეძენით სთავაზობდნენ „ჰიტის“ გამარჯვების აღნიშვნას.

გამოცემის ვებგვერდზე გამოქვეყნდა განცხადება, რომელშიც წერია, რომ რეკლამა საგაზეთო ნომერში შეცდომით მოხვდა. განცხადებაში The Miami Herald მკითხველს ბოდიშს უხდის.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● კალათბურთი. ინტერვიუ დირკ ნოვიცკისთან

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს...

„მაიამი ჰიტთან“ გადამწყვეტი მატჩის შემდეგ „დალას მავერიქსის“ ლიდერმა და ფინალური სერიის MVP-მ დირკ ნოვიცკიმ განაცხადა, რომ უჭირს მომხდარის დაჯერება. გერმანელმა მადლობა გადაუხადა გულშემატკივრებს დახმარებისთვის და ახსნა, რის ხარჯზე გამოსტაცა „დალასმა“ ტიტული ფლორიდელთა „დიდ ტრიოს“.

- ახლა შეგიძლიათ თქვათ, რომ კარიერა შედგა?

- ნანილობრივ. ყველა მნვერვალი ჯერ დაპყრობილი არ არის. უკვე დიდი ხანია NBA-ში ვთამაშობ, ბევრჯერ ვყოფილვარ პლეი ოფში, მაგრამ ფინალში არასოდეს გამიმარჯვია. ვფიქრობ, წარმატების მიღწევის სურვილი იყო ჩემი მოტივაცია მრავალი წლის განმავლობაში, ის მაიძულებდა მუდმივ პროგრესსა და სრულყოფისაკენ სწრაფვას. მე რომ უფრო ადრე გავმხდარიყავი მსოფლიოს საუკეთესო ლიგის ჩემპიონი, ალბათ, დღეს ვარჯიშებზე ასეთი მონდომებული არ ვიქნებოდი. არც 38.3 ტემპერატურით გავიდოდი მოედანზე.

- მატჩის შემდეგ ძალიან თბილად მიესალმეთ კიდს...

- ძალიან მიხარია ჯეისონის გამო. ის ნამდვილი მებრძოლია. ამაში თქვენც დარწმუნდებოდით. ის ორჯერ ახერხებდა ფინალამდე მისვლას, მაგრამ მხოლოდ ახლა, 38 წლის ასაკში შეძლო საჩემპიონო ბეჭდის მოგება. ახლა ჩვენ ჩემპიონები ვართ - ამ ემოციებისა და შეგრძნებების სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. მინდა ყველა პარტნიორს, სამწვრთნელო შტაბსა და კლუბის მენეჯმენტს მადლობა გადავუხადო. თითოეული მათგანი საუკეთესოდ აკეთებდა თავის საქმეს და ამან მიგვიყვანა მწვერვალამდე.

- მეოთხე მოთამაშე გახდით ისტორიაში, ვინც პირველი ტიტული სოლიდური კარიერული მონაგარის (22 792 ქულა) შემდეგ მოიპოვეთ...

- როგორც ამბობენ - „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“. ძალიან მინდოდა გამარჯვება, რადგან ეს ჩემი კარიერის მთავარი მიზანი იყო. ყველა ჩვენი ვარჯიში ან მატჩი სწორედ ერთი მიზნისკენ იყო მომართული - ტრიუმფი პლეი ოფში. მნიშვნელობა არ აქვს რამდენ ქულას აგროვებ, მთავარია, რომ შენი გუნდი მიდის მთავარი მიზნისკენ. ამ სეზონში ტაისონ ჩენდლერის მოსვლამ „მავერიქსი“ კიდევ უფრო გააძლიერა. ფინალურ სერიაში ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო. პეჯა სტოიაკოვიჩი ყოველთვის მეხმარებოდა შეტევაში. ერთი სიტყვით, თქვენ ხედავთ, რომ შარშან ზაფხულში „დალასთან“ კონტრაქტის გახანგრძლივებით სწორი გადაწყვეტილება მივიღე. და საერთოდაც, ჩვენ ამ სეზონში საუკეთესო გუნდი გვყავს!

- ხუთი წლის წინ ფინალში თქვენი გუნდი 2:0-ს იგებდა და მესამე მატჩში სოლიდურ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ „მაიამის“ ზედიზედ ოთხი შეხვედრის მოგების საშუალება მისცა. იმ ფინალის „რიმეიქში“ ყველაფერი პირიქით მოხდა, ერთადერთი განსხვავება იმაში იყო, რომ „ჰიტი“ 2:1-ს იგებდა.

- თქვენ გინდათ გაიგოთ, როგორ მოვახერხეთ ეს? ყველაფერი საკმაოდ მარტივია - ჩვენ ხასიათი გამოვავლინეთ, არ დავნებდით კრიტიკულ მომენტში და მთელი სერიის განმავლობაში ერთ გუნდად ვთამაშობდით. უბრალოდ ჩვენ ძალიან გვინდოდა გამარჯვება. რატომღაც ვფიქრობდი, რომ მესამე შანსი აღარ იქნებოდა. ძალიან მოვინდომეთ, მკაცრად ვასრულებდით მწვრთნელის მითითებებს, საჭიროების შემთხვევაში იმპროვიზაციაც გვქონდა... ამ ყველაფრით ფსიქოლოგიური უპირატესობა მოვიპოვეთ ფლორიდაში დაბრუნებამდე.

- რის ხარჯზე დაამარცხეთ ისეთი „მონსტრები“, როგორებიც არიან უეიდი, ჯეიმსი და ბოში?

- ჩვენმა „ზონამ“ ბევრი პრობლემა შეუქმნა მეტოქეს. ვცდილობდით „დიდი ტრიო“ განგვედევნა საკუთარი ფარიდან, შეგვეკვეცა მათთვის სივრცე და გვეიძულებინა დისტანციიდან ესროლათ. ბუნებრივია, ასეთი დონის ვარსკვლავების წინააღმდეგ ბოლომდე კონცენტრაციის შენარჩუნება და ჩანაფიქრის ზედმიწევნით შესრულება ძალიან რთულია. გარკვეული დრო დაგვჭირდა ამ ამოცანის გადასაჭრელად და ვფიქრობ, საბოლოოდ გამოგვივიდა კიდეც.

- მეექვსე მატჩის შემდეგ თქვენს შშობლიურ ვიურცბურგში, ალბათ, ჭკუიდან შეიშალნენ...

- არა მგონია. გერმანელები მშვიდები არიან, თანაც მატჩი ევროპისთვის გვიან ღამით მიმდინარეობდა. დილით ყველანი სამსახურში არიან წასასვლელები. ბუნებრივია, გერმანიაში ბევრი ქომაგი მყავს, უცნაური იქნებოდა ასე რომ არ ყოფილიყო. ჩემს სამშობლოში „მავერიქსი“ ძალიან უყვართ. დიდი მადლობა მათ. მთელი კარიერის განმავლობაში, როცა NBA-ში ბევრი არავინ მიცნობდა, გერმანელები ყოველთვის მხარს მიჭერდნენ და წინსვლას მაიძულებდნენ. ასევე აქტიურად მგულშემატკივრობენ ნაკრებში თამაშის დროს. მოუთმენლად ველი იმ მომენტს, როცა საჩემპიონო თასით ხელდამშვენებული ჩავალ მშობლიურ ქალაქში. ეს ფანტასტიკური სანახაობა იქნება.

● ფორმულა 1

ფეჯელი და ანრი დაძმობილდნენ

ფორმულა 1-ის მოქმედი ჩემპიონი **სებასტიან ფეტელი** კანადის გრანპრის შემდეგ საფეხბურთო კლუბ „ნიუ იორკ რედ ბულს“ ეწვია, რომელშიც თამაშობს ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი **ტიერი ანრი**. „რედ ბულის“ პილოტის ვიზიტი საფეხბურთო გუნდის მომზადების პროცესში მონაწილეობის სურვილით იყო განპირობებული.

„ჩემი წარმატების საიდუმლო საკმაოდ მარტივია - დაძაბული მუშაობა და ბრწყინვალე გუნდი. სპორტის ყველა სახეობა მიყვარს. პირველად გამიჩნდა საფეხბურთო გუნდთან ვარჯიშის შესაძლებლობა და ამაზე უარს არ ვიტყოდი. ვიცნობ ტიერი ანრის და ჩემთვის დიდი სიამოვნებაა მის გვერდით ყოფნა. ჩემი აზრით, ის დიადი ფეხბურთელია“, - განაცხადა ფეტელმა.

სებასტიანმა გუნდთან ერთად მთელი დღე დაჰყო, სრული დატვირთვით ივარჯიშა და ულაპარაკოდ ასრულებდა გუნდის მთავარი მწვრთნელის **ჰანს ბაკეს** მითითებებს. ვარჯიშის შემდეგ ანრიმ ფეტელს საკუთარი მაისურა აჩუქა, გერმანელმა კი - ფრანგს „რედ ბულის“ სარბოლო კომბინეზონი.

ტიერი და სება

კუბიცას ამ სეზონში ელიან

პოლონელი **რობერტ კუბიცა** თებერვლის ავარიის შემდეგ თანდათან იბრუნებს საბრძოლო კონდიციებს. რა თქმა უნდა, საბოლოო გამოჯანმრთელებამდე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი. „ლოტუს-რენოს“ პილოტი რეაბილიტაციის სერიოზულ პროგრამას გადის, დღეს ის გენუაში ტრავმირებულ ხელზე საბოლოო ოპერაციას გაიკეთებს, მის მენეჯერს **დანიელე მორელის** კი მიაჩნია, რომ კუბიცას წელსვე შეეძლება რბოლებში დაბრუნება. სავარაუდოდ, ეს სეზონის ბოლოს მოხდება.

„აღდგენითი პროცესი პოზიტიურად მიმდინარეობს, მარჯვენა ფეხი წესრიგშია. პრობლემა მხოლოდ ამაში რომ ყოფილიყო, ის დღესვე შეძლებდა რბოლებში მონაწილეობას.

ყავარჯნებიანი კუბიცა

ჩვენ ოპტიმისტურად ვუყურებთ სეზონის ბოლოს საჭესთან დაბრუნების შესაძლებლობას. ნებისმიერ შემთხვევაში, სიმულატორის მეშვეობით კუბიცა თავად მიხვდება, შეძლებს თუ არა 2011 წელს დაბრუნებას“, - ამბობს მორელი.

ბოლო დროს გავრცელდა ჭორი „ლოტუს-რენოს“ მფლობელებსა და პილოტის მენეჯმენტს შორის კონფლიქტის შესახებ. მიუხედავად ამისა, საჯინიბოს ხელმძღვანელი ერიკ ბუიერ აცხადებს, რომ მოუთმენლად ელის პოლონელის დაბრუნებას: *„რობერტი ჩვენი გუნდის მთავარი ნევრია. ჩვენ მას ახი პროცენტით ვუჭერთ მხარს, ოღონდ ის სრულად უნდა გამოჯანმრთელდეს, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს. ჩვენ განვიხილავთ ამ საკითხს მის მენეჯერთან. ამ პრობლემის გამო ძალიან ვღელავთ, მაგრამ მირჩევნია კუბიცას გადაწყვეტილებას დაველოდო და ამის შემდეგ მოვახდინო გუნდის გეგმების კორექტირება“.*

პოლონურ ვებგვერდზე Fakt.pl-ზე ავარიის შემდეგ კუბიცას პირველი ფოტოები დაიბეჭდა.

ბაბონი ლუისს იცავს

საბენტო „როიტერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში კანადის გრანპრის გამარჯვებული **ჯენსონ ბატონი** „მაკლარენში“ თავისი თანაგუნდელის **ლუის ჰემილტონის** გამოსვლას გამოეხმაურა. ჯენსონმა მხარდაჭერა გამოთქვა თანამემამულის მიმართ, რომელსაც ბოლო დროს სულ უფრო ხშირად აკრიტიკებენ მართვის აგრესიული სტილის გამო.

„ლუისი ხშირად ხვდება საგაზეთო სათაურებში. ძირითადად იმის გამო, ის მართლაც ძალიან კარგი პილოტია. ჰემილტონი მებრძოლი სპორტსმენია და ნაწილობრივ, „მაკლარენში“ ჩემი მისვლა იმითაც იყო განპირობებული, რომ მინდოდა ფორმულა 1-ის ერთ-ერთ უნიჭიერეს პილოტთან ერთ გუნდში ვყოფილიყავი.

მასთან ტრასაზე კონკურენცია საინტერესოა. ძალიან დიდ პატივს ვცემთ ერთმანეთს. ეს იმაში გამოიხატება, რომ შარშანაც და წელსაც არაერთი ბრძოლა გავმართეთ ტრასაზე და ყოველთვის ვუტოვებდით ერთმანეთს ადგილს მანევრირებისთვის. არ ვეთანხმები ნიკი ლაუდას. დიახ, ლუისი მართლაც აგრესიული პილოტია და ცდილობს ნებისმიერი შესაძლებლობა გამოიყენოს. ხანდახან ის მართალია, ხანდახან - არა, როგორც ყველა დანარჩენი, მათ შორის მეც. უბრალოდ, ის უფრო ხშირად ხვდება ასეთ ინციდენტებში, ვიდრე სხვები.

ძალიან ვწუხვარ იმის გამო, რომ კანადაში ლუისს დავეჯახე. ჩვენ უკვე განვიხილეთ ის ინციდენტი - ასეთი რამ რბოლებისას ხშირად ხდება. მე არ ვიცოდი, რომ იმ ადგილას ჰემილტონი იყო, ის მიტევდა და სამწუხაროდ, ჩვენ ერთმანეთს შევეჯახეთ. თანაგუნდელების შეჯახება ყველაზე ცუდი რამაა, რაც შეიძლება რბოლებისას წარმოიდგინო, მაგრამ ყველაფერზე დავილაპარაკეთ და საკითხი მოგვარებულია. ლუისი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ფინიშის შემდეგ ჩემთან მოვიდა და გამარჯვება მომილოცა“, - ამბობს ჯენსონ ბატონი.

თანაგუნდელები

ალონსო იმედიანადაა

კანადის გრანპრიზე **ფერნანდო ალონსომ** ამ სეზონში პირველად ვერ შეაღწია ქულათა ზონაში, რამაც კიდევ უფრო გაართულა ესპანელისთვის სიტუაცია ტიტულისთვის ბრძოლაში.

ამჟამად ალონსო **სებასტიან ფეტელს** 92 ქულით ჩამორჩება და მხოლოდ მეხუთე ადგილს იკავებს საერთო ჩათვლაში. თუმცა ნანდო დანებებას არ აპირებს იქამდე, სანამ ტიტულის მოპოვების თუნდაც მათემატიკური შანსი იარსებებს.

„ბრძოლაზე უარს არ ვამბობთ. ჯერ კიდევ არსებობს მათემატიკური შანსი. გასულ წლებში არერთხელ გვინახავს ლიდერების მიერ წაგებული რბოლები. 2010 წელს ჰემილტონი გამოეთიშა მონაცასა და სინგაპურის ეტაპებს, მე კი ამ რბოლების მოგება მოვახერხე. თუ ფეტელი ორჯერ ვერ მივა ფინიშთან და მე გავიმარჯვებ, ჩამორჩენა მკვეთრად შემცირდება.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენ სიტუაციას ვერ ვაკონტროლებთ. „რედ ბულის“ წარუმატებლობები გვჭირდება ტრიუმფის მისაღწევად. თუ ასე არ მოხდა, ამ გუნდს შეგვიძლია ჩემპიონობა ნაადრევად მივულოცოთ. ყოველ რბოლაზე მაქსიმალური კონცენტრაციით უნდა გავიდეთ, პოდიუმებსა და გამარჯვებებზე უნდა ვიფიქროთ“, - განაცხადა „მარკასთან“ ინტერვიუში ალონსომ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა